

კავკასიის ბილიკები: ხევისურეთი

სამხრეთ საქართველოს მოკლე მიმოხილვით.



წინამდებარე წიგნი გამოიცა პროექტ „ფშავ-ხევსურეთის
რეგიონის ტურისტული მიკრო-კომპანიების მხარდაჭერის“
ფარგლებში

პროექტი თანადაფინანსებულია პოლონეთის
რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ
პოლონეთის საგარეო დახმარების პროგრამის
ფარგლებში 2012 წ.



პოლონეთის დახმარება

პროექტი განხორციელებულია ერთობლივად ქართველი
და პოლონელი პარტნიორების მიერ

„პოლონეთის ტურიზმისა და მხარეთმცოდნეობის
ასოციაციის სამთო ტურიზმის ცენტრალური ბიურო“
“PTTK COTG“



სოციალურ-კულტურული ასოციაცია
„ხიდი საქართველოსთან“



ქალაქ დუშეთის გამგეობა

ხევსურეთის ალორძინების ასოციაცია

წინამდებარე პუბლიკაცია გამოხატავს მხოლოდ ავტორის
შეხედულებებს და არ შეიძლება ჩაითვალოს პოლონეთის
რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს
ოფიციალურ პოზიციად.

სარჩევი

გია ლაფაური

მოკლე მიმოხილვა 5

საქართველო და ქართველები. ქართველები – უძველესი მეტალურგები. ხმები წარსულიდან. ისტორიის ფურცლებიდან. ??? ბუნება. ქართული სამზარეულო. ღვინის ქვეყანა. თბილისი. ??? კახეთი. ეროვნული პარკები. საქართველოს სამხედრო გზა – ისტორიული ხევი. რუკები.

არჩილ ქიქოძე, ამირან არაბული, შოთა არაბული

ხევსურები 63

ხევსურეთი. ხევსურების ისტორია. ხევსური ეროვნული გმირები. საომარი აღჭურვილობა. დიპლომატია. მიგრაცია. ციხე-კოშკები. მეურნეობა. ტალავარი (ტანსაცმელი). ხალხური მედიცინა. ყოფითი კულტურა სწორფრობა. ქორწილი. სამგლოვიარო რიტუალი. პოეზია. სარწმუნოება. მითოლოგია.

შამილ შეტეკაური, არჩილ ქიქოძე

ბუნება 109

ფშავ-ხევსურეთი. კლიმატი. ნიადაგი. ფლორა და მცენარეულობა.

ზურაბ ჭინჭარაული

ტურიზმი 131

ფშავ-ხევსურეთის ტურისტული შეთავაზება. ტურისტული მარშრუტები ხევსურეთისა და დიდი კავკასიონის კალთებზე. ფშავ-ხევსურეთის ტრასების აღწერა.

კავკასიის ბილიკები: ხევსურეთი
სამხრეთ საქართველოს მოკლე მიმოხილვით.

რედაქტორები: გუბაზ ლეთოდიანი, ცისანა პაიჭაძე,
მიხეილ მანთიძე, ბესსა ქართლელიშვილი,
მაგდალენა ნოვაკოვსკა

ფოტოგრაფები (გვერდების მიხედვით):
ლუკა ადიკაშვილი: 154, 155
ამირან არაბული: 71, 72, 76-78, 80, 89, 93
ზურაბ ჭინჭარაული: 8, 136, 156
მაცეიე ხშანოვსკი: 85, 131, 140, 149, 150, 151
კატაჟინა ძიადურ: 135
არჩილ ქიქოძე, ყდა და ყდის შიდა გვერდები: 1, 8, 67, 69,
70, 82, 83, 86, 88, 95, 98, 105-110, 114, 115, 122, 125, 128,
134, 152, 158,
ორნელა კრულ: 5, 13, 17, 22, 24, 27, 35, 37, 38,
გია ლაფაური: 159
გიორგი რაჯებაშვილი: 127, 129,
შამილ შეთეკაური: 118, 119, 123, 126
პაატა ვარდანაშვილი: სატიტულო გვერდი, პაგეს: 9, 11, 14,
15, 18, 20, 21, 23, 26, 28-34, 36, 39-66, 68, 75, 79, 81, 84,
87, 90-92, 94, 96, 99-101, 111, 113, 116, 117, 121, 124, 143,
147,
ანნა ვარმინსკა: 10, 25

ნიგნი მომზადებულია ჯგუფი „სიესტას“ მიერ
გამომცემელი | ქეთევან კილურაძე
ტექნიკური უზრუნველყოფა | გვანცა მახათაძე
გამომცემულია 2012, თბილისი
© გამომცემლობა „სიესტა“, 2012

ISBN 978-83-62473-21-2

გამომცემლობა შპს „სიესტა“
თბილისი, ვ. ანჯაფარიძის ქ. 16



ტელ./ფაქსი: +995 32 292 31 49; +995 32 227 07 08

ელ-ფოსტა: books@siestagroup.ge

www.siestabooks.blogspot.com; siesta.com.ge

საქართველო
მოკლე მიმოხილვა



საქართველო და ქართველები

ევროპისა და აზიის საზღვარზე, უძველეს სავაჭრო-სატრანსპორტო გზაჯვარედინზე, აბრეშუმის გზას რომ უწოდებენ, კავკასიის ყელზე, ოდითგანვე სახლობდნენ აბორიგენი ქართველები. საქართველოს ესაზღვრება: რუსეთის ფედერაცია, აზერბაიჯანი, სომხეთი და თურქეთი.

საქართველო უძველესი ისტორიისა და კულტურის მქონე ქვეყანაა.

საქართველო მდიდარია ბუნებრივი რესურსებით. მცირე ფართობის მიუხედავად (69 700 კვ.კილომეტრი), ის ცნობილია მრავალფეროვანი ლანდშაფტითა და ზღაპრულად ლამაზი ბუნებით.

საქართველო გეოპოლიტიკური მდებარეობით ყოველთვის იყო ხიდი დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის. საქართველოში დიონისური და აპოლონური ძალები ერთმანეთს უპირისპირდებიან და ერწყმიან, არა მხოლოდ, როგორც დასავლური და აღმოსავლური, არამედ, როგორც რაციონალური და ირაციონალური, ინტელექტუალური და სენსუალური. ვინ არიან ქართველები? ევროპელები თუ აზიელები? ისინი ყოველთვის ევროპისკენ ისწრაფვოდნენ, თუმცა უცხო არ იყო აზიური კულტურა. დასავლეთისა და აღმოსავლეთის გავლენის მიუხედავად, ქართული კულტურა მუდამ ინარჩუნებდა თვითმყოფადობას.

სამხრეთ საქართველოში, დმანისში აღმოაჩინეს პირველი ევრაზიელების – 1 800 000 წლის წინანდელი ადამიანების, ჰომო ერექტუსის ნაშთები.

კავკასიის აბორიგენი მოსახლეობა უძველეს სამიწადმოქმედო კულტურის მატარებლად მიიჩნევა. საქართველოში აღმოჩენილია 18-მდე ხორბლისა და სხვა მარცვლოვანი კულტურების ნაშთები.

ქართველები – უძველესი მეტალურგები

ქართველებს ძველ სამყაროში იცნობდნენ, როგორც განთქმულ მეტალურგებს. მათ მიერ ორიგინალური მეთოდით დამზადებული სპილენძის, ბრინჯაოს, რკინისა თუ ოქროს ნაკეთობები ადასტურებენ სავაჭრო კავშირებს შუმერებთან, ხეთებთან, ეგვიპტელებთან და სხვა, ახლა უკვე გამქრალ ცივილიზაციებთან. საყურადღებოა, რომ ბერძნები რკინას დღესაც „ხალიბუსს“ უწოდებენ, რაც ერთ-ერთი ქართული ტომის სახელია.

თბილისიდან სამხრეთით, დმანისთან ახლოს, სადაც დღესაც მოიპოვებენ სპილენძსა და ოქროს, აღმოჩნდა მსოფლიოში ერთ-ერთი პირველი, 6 000 წლის წინანდელი ოქროს საბადო.

ხმები წარსულიდან

მსოფლიოს უძველეს ენათა შორის ერთ-ერთი ქართულია. ქართულ ლექსიკასა და ტოპონიმიკაში დღესაც შეხვდებით აწ უკვე გამქრალი ცივილიზაციების, შუმერულ-აქადურ, ხათურ-ხეთური წარმომავლობის სიტყვებს.

ქართული დამწერლობის ნიმუშები უძველესი დროისაა, ზოგიერთი მათგანი, სავარაუდოდ, ჩვ. წ. აღ.-ით I-III საუკუნეებით თარიღდება. გამოიყენებოდა (ხანდახან ერთოვლადაც) სამი განსხვავებული დამწერლობის ტიპი: ასომთავრული, ნუსხა-ხუცური და მხედრული. მათგან უძველესია ასომთავრული, მხედრული კი დღევანდელი ქართული დამწერლობაა.



ნათლობის უძველესი რიტუალი, რომელიც დღესაც სრულდება ხევსურეთში

ქართულმა მრავალხმიანმა სიმღერებმა ფრავმენტული სახით შემოგვინახა ძველთაძველი ჰიმნები, სადიდებელ-საგალობლები, რომლებშიც შუმერთა თუ ხეთთა ღმერთების სახელები, ეპითეტები და საწესო ლოცვებია მოხსენებული. როგორც ცნობილია, ისინი პროტოქართველთა ღმერთებიც იყვნენ, მაგალითად: არალე, არმაზი, კვირია, ლალე, ნანინა, ლილე.

ისეთი ეპიკური ნაწარმოებები, როგორებიცაა თქმულებები ამირანზე (მსგავსია პრომეთეს მითისა), დევებზე („დემონები“, „ბოროტი სულები“), გიგანტ ადამიანებზე, დემონებისგან განმათავისუფლებელ კოპალაზე, ნართებზე და სხვებზე, ჩვენამდე მოღწეულია ზეპირად გადმოცემული კავკასიური ლეგენდების მეშვეობით.

საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, განსაკუთრებით მთიან რეგიონებში, ჯერ კიდევ შემორჩენილია მდიდარი ეთნოგრაფიული მასალა, რომელიც ახლაც ცოცხლობს ძველთაძველ რიტუალებში, დღესასწაულებსა და საწესო ხელოვნებაში. ასეთია: ხატობა, ათენგენობა, ლაშარობა, გომიწრობა, თეთრი გიორგობა, ნატვრის ხის კულტი და მრავალი სხვა.



პეტროგლიფები კისტანის კოშკზე

ისტორიის უამრავ საიდუმლოს ინახავს კავკასიის მთები. ბევრი მათგანის ამოხსნა ალბათ მომავალში თუ იქნება შესაძლებელი. ერთ-ერთი ასეთია პეტროგლიფები, რომლებიც კავკასიონის მთავარი ქედის გასწვრივ, ღრმა ხეობებში მოქცეულ, მისტიკთა და იდუმალების ბურუსით მოცულ თუშეთში, ხევსურეთსა და სხვა რეგიონებში მრავლადაა მიკვლეული. ხევსურეთის ერთ-ერთ მიტოვებულ სოფელ კისტანში, საბრძოლო კოშკებზე არსებული გაუშიფრავი ნიშან-წარწერები ემთხვევა დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე, ძველი ფრიგიის დედაქალაქის-გორდიონის, გათხრებისას აღმოჩენილ კედლებსა და რიტუალურ ქვებზე ამოკვეთილ იდიოგრამებს. ქვაზე ამოკვეთილ კავკასიურ ნახატ-სიმბოლოებს ბევრი საერთო აქვს ესპანეთის ბასკეთის, ასევე ეტრუსკულ და მიკენურ პეტროგლიფებთან.

ისტორიის ფურცლებიდან

დაახლოებით 3200 წლის წინ ქართული ტომების გაერთიანებებით 2 სახელმწიფო შეიქმნა, დიაოხი და კოლხა. ორივე სახელმწიფოს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა მაშინდელ მსოფლიოსთან. განსაკუთრებით ზღვისპირა კოლხეთს (ეგრისს) გაცხოველებული სავაჭრო ურთიერთობები ჰქონდა ძველ ბერძნებთან, ეგვიპტელებთან, ფინიკიელებთან, სპარსელებთან და სხვა ხალხებთან. აქედან გაჰქონდათ ოქრო, რკინა, გემთმშენებლობისათვის საჭირო ხე-ტყე, ღვინო, საყოფაცხოვრებო ნივთები. კოლხეთში ვერცხლის მონეტაც კი იჭრებოდა „კოლხური თეთრის“ სახელწოდებით.

ძვ. წ. აღ.-ით 65 წელს პომპეუსის სარდლობით, მაშინდელი მსოფლიოს უძლიერესი რომის იმპერიის, რკინის ლეგიონები მოადგნენ საქართველოს. სისხლისმღვრელი ბრძოლების შემდეგ ქართველებმა ზავი ითხოვეს. მომდევნო წლებში ისინი რომაელთა საუკეთესო მეგობრებად და მოკავშირეებად გვევლინებიან. იმპერატორმა ანტონინუს პიუსმა უპრეცედენტო ნაბიჯიც კი გადადგა, ქართველი მეფის, ფარსმან II ქველის, ცხენზე

უფლისციხე - ადრექრისტიანული დასახლება საქართველოში



ამხედრებული ქანდაკება დადგა რომში, მარსის ველზე, რომთან დაახლოება საქართველოსთვის დასავლური მსოფლმხედველობისა და კულტურისაკენ სწრაფვას ნიშნავდა.

???

საქართველო მიიჩნევა ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანად. აქ მოღვაწეობდნენ ანდრია პირველწოდებული და მოციქულები, სვიმონ კანანელი და მათათა. ქრისტიანული თემები უკვე I საუკუნიდან არსებობდა და მათ არავინ სდევნიდა, ისევე როგორც სხვა რელიგიების წარმომადგენლებს. სავაჭრო გზაზე გაშენებული ანტიკური დროის, ეკონომიკურად ძლიერი ქალაქები, უფლისციხე და ვანი, განთქმულნი იყვნენ სხვადასხვა რელიგიისა და ტაძრების სიმრავლით.

მომდევნო ეტაპი დგება IV საუკუნიდან, ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ. ქვეყნის წინაშე ახალი გამოწვევები ჩნდება.

326 წლიდან ქვეყანაში ოფიციალურად გამოცხადდა ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად. ეს ფაქტი დაკავშირებულია წმ. ნინო კაპადოკიელის, წმ. მეფე მირიანისა და წმ. დედოფალ ნანას სახელებთან. საქართველოში ინახება წმინდა ნაწილები: ქრისტეს კვართი, ღვთისმშობლის კვართი და სარტყელი.

VI საუკუნის შუა ხანებში წმინდა იოანე ზედაზნელის მეთაურობით საქართველოს ახლო აღმოსავლეთიდან, ცამეტი ასურელი მამის სახელით ცნობილი, ქრისტეს სჯულის მქადაგებელ-მოღვაწეთა ჯგუფი ეწვია. მათი მიზანი იყო ქრისტიანობის განმტკიცება-გავრცელება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, ამიტომაც წამოიწიეს მასშტაბური სამონასტრო მშენებლობები.

დღეს ქრისტიანობას საქართველოში ღრმად აქვს ფესვები გადგმული, რაშიც ცამეტმა ასურელმა მამამ დიდი წვლილი შეიტანა. ასურელ მამათა დაფუძნებული მრავალი სამონასტრო კომპლექსი გაბნეულია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე:



დავით გარეჯი, ხირსა, ალავერდი და მარტყოფი კახეთში; შიო-მღვიმე, ზედაზენი, წილკანი და ურბნისი ქართლში.

საქართველოს გარდა, ქართული მონასტრები შენდებოდა სირიაში, პალესტინაში, ათონის მთასა და სხვა მრავალ ადგილას.

საქართველოში 5 000-ზე მეტი ეკლესია-მონასტერია აღრიცხული, რომელთაც სახელმწიფო იცავს. თუ გავითვალისწინებთ ქვეყნის მცირე ტერიტორიას, ეს რიცხვი მდიდარი ისტორიული წარსულისა და მაღალი კულტურის აშკარა დასაბუთებაა.

ქრისტიანობამ ქვეყანას კარგთან ერთად ბევრი პრობლემაც მოუტანა. ბიზანტიის განადგურების შემდეგ საქართველო რეგიონში ერთადერთი ქრისტიანული ფორპოსტი აღმოჩნდა მუსლიმურ გარემოცვაში.

სხვადასხვა დროს ქვეყანამ განიცადა არაბთა, ირანელთა და თურქთა შემოსევები. ქვეყანა აღმავლობის გზას დაადგა XI საუკუნიდან, როდესაც საქართველოს მართავდა დავით IV აღმაშენებელი. მან გაატარა რეფორმები სხადასხვა სფეროში; ჩამოაყალიბა რეგულარული, 60 000-იანი არმია, მოიწვია რუს-ურბნისის საეკლესიო კრება და უღირს სასულიერო პირთაგან გაწმინდა ეკლესია, დაიმორჩილა ურჩი დიდებულები.

ამ პერიოდში ევროპელი ჯვაროსნები მძიმე ბრძოლებს აწარმოებდნენ „წმინდა მიწის“ გასათავისუფლებლად. მეფე ბაღდადის სტრატეგიული კავშირი ჰქონდა დავით აღმაშენებელთან. მეფე დავითი და ქართული მხედრობა ჯვაროსნებისთვის საიმედო მოკავშირეები იყვნენ.

1121 წლის 12 აგვისტოს, თბილისის ახლოს, დიდგორის ველზე, 56 000-იანმა ქართულმა ჯარმა დაამარცხა 300 000-იანი მუსლიმთა გაერთიანებული არმია.

მეფე დავითი არა მარტო ბრწყინვალე მეომარი და სტრატეგი, არამედ თავისი დროისათვის საკმაოდ განათლებული ადამიანიც იყო. ის ფლობდა რამდენიმე უცხო ენას, ღრმად ერკვეოდა რელიგიურ სწავლებებსა და ფილოსოფიურ მოძღვრე-



გელათი

ბებში, თავადაც წერდა ფილოსოფიური ხასიათის ნაშრომებს. მეფე დავითმა შეთხზა „გალობანი სინანულისანი“ – შუა საუკუნეების პოეზიის ნიმუში. დავითის დროს აიგო გელათის სამონასტრო კომპლექსი და დაარსდა გელათის აკადემია, უმაღლესი განათლებისა და სქოლასტიკის სწავლების ცენტრი. დავით აღმაშენებელი, საკუთარი სურვილისამებრ დაკრძალეს მონასტრის ერთ-ერთი კარიბჭის შესასვლელში.

XI-დან XIII საუკუნის დასაწყისამდე პერიოდი, დავით აღმაშენებლის მმართველობიდან თამარის მეფობის ხანის ჩათვლით, მიჩნეულია საქართველოს ისტორიის „ოქროს ხანად“.

ამ პერიოდში, მთელ ახლო აღმოსავლეთში საქართველო დომინირებდა, როგორც პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ცენტრი. სწორედ ამ ხანაში დაიწერა ცნობილი პოემა „ვეფხისტყაოსანი“.

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს კლდის არქიტექტურული კომპლექსი ვარძია. მისი მშენებლობა გიორგი III-ის დროს დაიწყო და თამარ-მეფის ხანაში დასრულდა. ეს ქალაქ-მონასტერი, მრავალი სათავსოთი, ცამეტსართულიან ტუფის ქანებში გამოჭრილ გამოქვაბულთა მთელ სისტემას წარმოადგენს, რომელიც ნახევარ კილომეტრზე გრძელდება. აქ იხილავთ იმ დროისათვის უნაკლო წყალგაყვანილობას, დერეფნებს, ქუჩებს, ეკლესიებს, „სატრაპეზოებს“, საიდუმლო გვირაბებს, „აფთიაქს“, საცხოვრებელ და სამეურნეო დანიშნულების სათავსოებს.

XIII საუკუნეში თათარ-მონღოლთა შემდეგ XIV ს-დან თემურ-ლენგის მრავალრიცხოვანმა შემოსევებმა ქვეყანა დაანგრა. განადგურდა მოსახლეობის დიდი ნაწილი. საქართველო სამ სამეფოდ და რამდენიმე სამთავროდ დაიშალა. ხოლო, XV საუკუნეში თურქთა მიერ ბიზანტიის იმპერიის განადგურებამ და აბრეშუმის გზის გადაკეტვამ გამოიწვია საქართველოს ეკონომიკურ-პოლიტიკური რეგრესი.

მომდევნო საუკუნეებშიც ირანთან და ოსმალეთთან გამუდმებულმა ომებმა ქვეყანა ფიზიკური გაქრობის საფრთხის წინაშე დააყენა. 1783 წელს მეფე ერეკლე II-მ რუსეთის იმპერიასა და აღმოსავლეთ საქართველოს შორის გააფორმა ხელშეკრულება, ეგრეთ წოდებული „გეორგიევსკის ტრაქტატი“. ამ დოკუმენტით საქართველო რუსეთის დახმარებით ირანისაგან და თურქეთისაგან თავის დაცვას ცდილობდა, თუმცა შედეგი სავალალო აღმოჩნდა. რუსეთმა მოიცილა რა უკანასკნელი მეფე გიორგი XII, გააუქმა მეფობა ჯერ აღმოსავლეთ საქართველოში, შემდეგ დასავლეთიც დაიპყრო და უმეტაწუროდ დარჩენილი ქვეყანა იმპერიას შეუერთა.

I მსოფლიო ომის შემდგომ რუსეთში განვითარებული მოვლენებით საქართველომ ისარგებლა და 1917 წელს დამოუკიდებ-



ლობა გამოაცხადა. თუმცა 1921 წელს ბოლშევიკურმა რუსეთმა დაიპყრო ქვეყანა და საბჭოთა რეჟიმი დაამყარა. ბოლშევიკთა ბატონობა საბჭოთა კავშირის დაშლამდე, 1991 წლამდე გაგრძელდა. საქართველომ კვლავ მოიპოვა დამოუკიდებლობა.

თუმცა მომდევნო წლებმა დიდი სიკეთე ვერ მოუტანეს ახალგაზრდა, დამოუკიდებელ სახელმწიფოს. აღმოცენებულმა კონფლიქტებმა, აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ რესპუბლიკებში, ასევე საშინაო პოლიტიკაში შექმნილმა ქოსმა, მკვეთრად გააუარესა საქართველოს მოსახლეობის მდგომარეობა. დადგა უშუქობის, უგაზობის, უმუშევრობის ხანა. ქვეყნის ინფრასტრუქტურა საჭიროებდა სრულ განახლებას. სიტუაცია დრამატული იყო. და მაინც, ქართველებმა კიდევ ერთხელ მოახერხეს ქართული სახელმწიფოებრიობის განმტკიცება ე.წ. „ვარდების რევოლუციის“ გზით, 2003 წლის ნოემბერში, როდესაც ქვეყანას სათავეში ჩაუდგა მიხეილ სააკაშვილი. ევროპის ქვეყნების დონის შესაბამისად განვითარდა სახელმწიფო სტრუქტურები. ქვეყანაში ცხოვრება უსაფრთხო გახდა, პოლიცია და სხვა სახელმწიფო სტრუქტურები გამართულად ფუნქციონირებენ. დღეს საქართველოში ბიზნესის წარმოება ბევრად ადვილია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. მთავრობა განსაკუთრებულად ცდილობს ტურისტებისა და პოტენციური ინვესტორების მოზიდვას.

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად საქართველოს ტერიტორიის 20% ოკუპირებულია. ომმა ვერ შეაჩერა პოზიტიური ძვრები ქვეყანაში. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი არ აღიარებს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთ ოსეთი არ შედის საქართველოს

იურისდიქციაში, საქართველო მაინც არის ლიდერი კავკასიის რეგიონში ქვეყნის თანამედროვე სტანდარტებით მართვისა და ევროპული ინტეგრაციისკენ სწრაფვის თვალსაზრისით.

2012 წლის ბოლოს საქართველო პირველი პოსტსაბჭოთა ქვეყანა გახდა, სადაც ხელუსუფლება დემოკრატიული არჩევნების გზით შეიცვალა. სააკაშვილის მთავრობის ნაცვლად ქვეყნის მართვის სადავეები აიღო კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“, მილიარდელი, ბიძინა ივანიშვილის წინამძღოლობით.

ბუნება

უძველესი ისტორიის გარდა უნიკალურია ქვეყნის ბუნებაც. აქ მრავლადაა ეროვნული პარკები. საქართველო თავისი ბუნებით, მშრალი კლიმატიდან, სავანით დაწყებული, სუბტროპიკული ზონებით, სუბალპური და ალპური ლანდშაფტებით დამთავრებული, ნამდვილი აღმოჩენაა ტურისტებისათვის.

მთავარი წყალგამყოფი ქედის-კავკასიონის ძირითადი მწვერვალებია:

შხარა (5068 მ), მყინვარწვერი (5033 მ), უშბა (4695 მ), ტებულოს მთა (4495 მ). ასევე დიდი მწვერვალებია შოდა, დიდი აბული, მეფისწყარო, თეთნულდი არჯვეანი და სხვა.

საქართველოში ყველაზე მაღალმთიანი სოფლებია:

რესი (2360 მ), გუდაური (2280 მ), ერმანი (2180 მ), დიკლო (2180 მ), უშგული (2160 მ) და ჯუთა (2160 მ).

საქართველოს წყლის დიდი რესურსები აქვს, ძირითადი ტბებია: პალიასტომი, ფარავანი, ტაბაწყური, კარწახი და რიწა.

საქართველოში ჩამოედინება მდინარეები:



უშბა



სათაფლია

მტკვარი, რიონი, ალაზანი, არაგვი, ენგური, ხრამი და სხვები. საქართველოში დიდი რაოდენობითაა სამკურნალო-მინერალური წყლები. მათგან ყველაზე ცნობილია „ბორჯომი“. ბორჯომს არ ჩამოუვარდება: „ლიკანი“, „ფლატე“, „საირმე“, „უწერა“, „ლუგელა“, „მენჯი“, „შოვისა“ და „ვეძას“ წყლები. ყველა გამოირჩევა განსაკუთრებული სამკურნალო თვისებებით.

თბილისის, წყალტუბოს, ახტალას თერმული წყლები და სამკურნალო ტალახი ცნობილია ბალნეოლოგიური თვისებებით.

შთამბეჭდავია თრუსოს მინერალური წყლების ჰეიზერები და კალციტიანი მდინარეები, აბუდელაურის, ტობავარჩხილისა და რიწის ალბური ტბები.

საოცარი სანახაობაა „პრომეთეს“, „სათაფლიისა“ და სხვა კარსტული მღვიმეები, მარტვილის „არწივის“ კანიონები და ვაშლოვანის კაცხის სვეტიტა და ქვაცანცალათი, აულებელ ციხე-სიმაგრედ წოდებული, „ბირთვისის“ კრატერული რელიეფი, ასევე „ტახტი თეფეს“ ტალახის ვულკანები ივრის ზეგანზე.

ქართული სამხარეული

განსაკუთრებით აღსანიშნავია, ქართული კერძები, რომლებიც გამოირჩევიან მრავალფეროვნებითა და ორიგინალური რეცეპტებით.

ქართული პოპულარული კერძებია: „ხინკალი“, „ხაში“, „საცივი“, „ქაბაბი“, „ფლავი“ და სხვა. კერძთა წარმოშობა-გავრცელება აბრეშუმის გზის დამსახურებაა. ამას ადასტურებს ზოგიერთი ქართული საწვინების სახელიც: ზაფრანა, რეჰანი, უცხო სუნელი და სხვა.

„ხაჭაპური“ – საქართველოს ყველა რეგიონში ამზადებენ განსხვავებულად. არსებობს: „იმერული“, „აჭარული“, „მეგრული“, „მოხევური“ ხაჭაპური.

„მწვადი“ – ნაკვერჩხალზე შემწვარი, სამფურზე აგებული ხორცი. განსაკუთრებულია კახური „მწვადი“, რომელსაც ვაზის ხმელ ტოტებზე, „წალამზე“ წვავენ.

ქართული წვნიანებიდან და სოუსებიდან სპეციფიკური და გამორჩეულია:

„ჩიხირთმა“ – ქათმის ბულიონი ღვინის ძმრით, ნივრით და სანელებლებით შეკმაზული.

„ბობზაში“ – წვნიანი ცხვრის ან ძროხის ხორცით, ცხარე სანელებლებით გაზავებული.

„ბაჟუ“ – ნივრით, ნივრით, ზაფრანით, უცხო სუნელითა და ხმელი ქინძით შეზავებული შესქელებული სოუსი, თევზისა და ხორციანი კერძებისათვის.

„ჩანახი“ – ცხვრის ხორცის, პომიდვრის, ნივრის კბილებით, ბადრიჯნისა და კარტოფილის წვნიანი, რომელიც თიხის ქოთანში მზადდება.

„ჩაქაფული“ – ეს საგაზაფხულო წვნიანი კერძი ყველა გურმანის მოწონებას იმსახურებს. თეთრ ღვინოში ჩათუშულ ბატკნის ან ხბოს წვრილად დაკეპილ ხორცს, მრავალნაირი მწვანე ნილეულით, მკვასზე ტყემლით, ტარხუნით, ახალი ხახვით და ნივრით აზავებენ.

„ტყემალი“ – მუავე, მოტკბილო ან ცხარე საწებელი სხვადასხვა კერძისთვის.

ასევე გამორჩეულია ყურძნის წვენის, ფქვილისა და ნივრის, ან თხილის შიგთავსით დამზადებული „ჩურჩხელა“. ის მა-



ხევსური წვან მწვადს



ღალკალორიული საკვებია და დიდ ხანს ინახება. ამ თვისებების გამო „ჩურჩხელა“ სალაშქროდ მიმავალი მეომრებისთვის მზადდებოდა.

ღვინის ქვეყანა

რამდენიმე წლის წინ მეცნიერებმა დაადასტურეს ღვინის ქართული წარმოშობა, როდესაც აღმოაჩინეს ყურძნის წიბ-წები და ნაღვინევი თიხის ტურჭელი, რომლებიც ჩვენს წელთაღ-რიცხვამდე VI ათასწლეულს განეკუთვნებიან.

საქართველოში მეღვინეობის უძველესი ტრადიციების შესა-ხებ ძველ სამყაროში ჯერ კიდევ ჰომეროსამდე იყო ცნობილი. მასზე წერდნენ ქსენოფონტე, პლუტარქე, სტრაბონი და სხვები...

მთელს მსოფლიოში გავრცელებული ყურძნის 2 000-მდე ჯიშისაგან 600 ქართულია. მიიჩნევა, რომ დასახელება „vine“, „вино“, „wein“, „vin“ – ქართული „ღვინო“-დანაა წარმოშობილი.

შემთხვევითი არაა, რომ საქართველოში ქრისტიანობის მქა-დაგებელი წმინდა ნინო ვაზის ჯვრით მოძღვრავდა ხალხს. სა-ქართველოში ვაზი ოდითგანვე წმინდა ხედ მიიჩნეოდა.

მთელს მსოფლიოშია ცნობილი საფერავი, წინანდალი, მუ-კუზანი, ნაფარეული, ხვანჭკარა, ქინძმარაული და ქართული ღვინის სხვა სახეობები. ქართველები ღვინის დასაყენებლად და შესანახად უმარამაზარ თიხის ტურჭელს – „ქვევრს“ იყენებენ. ქვევრები „მარანში“, ყელამდე მიწაშია ჩაფლული. ღვინის და-ყენების ასეთი მეთოდი უნიკალურია და მსოფლიოში, მხოლოდ საქართველოში გვხვდება.



ძვევრი

უკანასკნელ წლებში გაიზარდა ღვინის ქარხნების რაოდენობა, რომლებიც აწარმოებენ როგორც ტრადიციულ, ქართულ, ასევე ევროპული ტიპის ღვინოებს.

საინტერესოა ქართული სუფრის ტრადიციები და ე.წ. „თამადის“ ინსტიტუტი. საქართველო წარმოუდგენელია ამ ტრადიციის გარეშე. ქართველები ზეიმობენ ბავშვის დაბადებას ღვინითა და სადღეგრძელოებით, ასევე ღვინით იხსენებენ გარდაცვლილებს, ისინი ნახევარ ჭიქა ღვინოს საფლავს ასხამენ, ხოლო მეორე ნახევრით „შესანდობარს“ სვამენ. სუფრა სადღეგრძელოების მკაცრად განსაზღვრულ თანამიმდევრობას წარმოადგენს. თამადა უძღვება სუფრას და სადღეგრძელოებს შესაბამისი თანამიმდევრობით ამბობს, ხოლო თანემეინახეები უსმენენ და ამ სადღეგრძელოებს თავისებურად განავრცობენ. არსებობს ტრადიციული სადღეგრძელოების მთელი სისტემა, რომელთა ფესვებიც უძველესი არქაული რიტუალური ლოცვებიდანაა ჩვენამდე მოღწეული. სუფრის მიზეზიდან გამომდინარე სადღეგრძელოები შეიძლება იყოს სხვადასხვაგვარი და იმპროვიზებულიც.

თბილისი

თბილისის, როგორც ქალაქის, შესახებ პირველ ცნობებს IV საუკუნის საისტორიო წყაროები: ქართული „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ და რომაული „ტაბულა პევტინგერიანა“ გვაწვდიან.

ამ დროისთვის თბილისი უკვე დამცავი გალავნებით გამაგრებულ სავაჭრო-ადმინისტრაციულ ქალაქს წარმოადგენდა.



მეტეხის ეკლესია და
ვახტანგ გორგასლის ქანდაკება

V საუკუნეში სამეფო ტახტი მცხეთიდან თბილისში გადმოიტანა და დედაქალაქად აქცია მეფე ვახტანგ „გორგასალმა“ (რაც სპარსულად მგლისთავიანს ნიშნავს). ლეგენდის მიხედვით, მეფე ტყეში ნადირობის დროს გადააწყდა გოგირდოვან წყაროებს. მას მოეწონა თბილი წყლები და ამ ადგილას ქალაქის გაშენება ბრძანა. დედაქალაქის სახელწოდება „ტფილისი“, დღევანდელი ფორმით „თბილისი“ სწორედ თბილი, გოგირდოვანი წყაროებისგან მომდინარეობს.

რეალურად კი მეფე ტერიტორიის სტრატეგიულმა მდებარეობამ მოიხიბლა, მან დედაქალაქის თბილისში გადმოტანით აბრეშუმის გზაზე სრული კონტროლის დამყარება და ირანული პოლიტიკური გავლენის შეჩერება მოახერხა.

VI საუკუნეში თბილისი დალაშქრეს ირანელებმა, VII საუკუნეში-არაბებმა. თბილისი ქართველი მეფის გავლენის ქვეშ მოექცა დავით აღმაშენებლის მმართველობისას, დიდგორის ბრძოლაში გამარჯვების შემდეგ. მან დაიბრუნა თბილისი და კვლავ აქცია ქვეყნის დედაქალაქად.

XIII საუკუნეში საქართველოს დაუძლურების შემდეგ თბილისმა დაკარგა ადრინდელი მნიშვნელობა. 1226 წელს ხვარაზმის სულთანმა ჯალალ ად-დინმა აიღო დედაქალაქი და მისი მაცხოვრებლები შეკრიბა მეტეხის ხიდიდან. დამპყრობლები აიძულებდნენ მათ ფეხით გაეთელათ ხატი. უმრავლესობა არ დაემორჩილა სულთნის ბრძანებას, ამიტომაც თავები მოჰკვეთეს და გვამები ხიდიდან გადაყარეს. ამ ადგილს კი დღეს „100 000 მოწამის“ სახელი ეწოდება.

მომდევნო საუკუნეებში თბილისი არაერთხელ დაინგრა და გაიძარცვა, განსაკუთრებით დაზიანდა თემურ-ლენგისა (1386 წ.) და ალა მაჰმად-ხანის შემოსევებისას (1795 წ.).

ქალაქი ისევ განვითარდა, როდესაც მთელი საქართველო (თბილისთან ერთად) რუსეთის ბატონობის ქვეშ აღმოჩნდა. XIX საუკუნის პირველი ნახევრიდან ის იხსენიებოდა როგორც „თბილისის გუბერნია“. იგი მთელი „ამიერკავკასიის“ ცენტრი იყო და სწრაფად ვითარდებოდა. იმ პერიოდში მისი გარეგნული იერი

სრულიად შეიცვალა, შენდებოდა როგორც ნეოკლასიკური – art nouveau-ს, ასევე ტრადიციული, აღმოსავლური გავლენის მქონე, ასობით ახალი შენობა. ქალაქი იქცა იმდროინდელ ინტელექტუალთა, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის და სხვათა სახლად.

„კომუნიზმის“ პერიოდში თბილისს დაემატა რამდენიმე უბანი, მაგალითად, ვაკე და საბურთალო, სადაც არის უნივერსიტეტთა უმრავლესობა. 1966 წელს კი გაიყვანეს მეტრო.

XVIII საუკუნის ისტორიკოსისა და გეოგრაფის, ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, ადრეულ ხანაში თბილისი ორ ნაწილად იყო გაყოფილი, ციხესიმაგრე „კალად“ და ზღუდემშემოვლებულ ქალაქური ტიპის დასახლებად – „ძველ თბილისად“. ციხის ერთ-ერთ კოშკში – „შაჰის ტახტში“, ობსერვატორია იყო მოწყობილი. ციხე „კალამ“ ჟამთა სიავეს, მტერთა მრავალ შემოსევას, დანგრევას, გადაკეთება-აღდგენას გაუძლო. XVII საუკუნიდან სახეცვლილი „ნარიყალას“ ნანგრევები დღესაც გადმოჰყურებს თბილისს.

ნარიყალასთან ახლოს დგას, 20 მეტრი სიმაღლის, „ქართლის დედის“ ძეგლი, რომელსაც ერთ ხელში ხმალი უჭირავს, მეორეში – ღვინის ფიალა, – ასეა გამობატული ქართული სტუმართმოყვარეობა და მტრისადმი დამოკიდებულება.

დედაქალაქში მრავალი ისტორიული ძეგლია, ერთ-ერთი უძველესია **„სიონის“ საკათედრო ტაძარი**. V საუკუნეში იგი ააგო მეფე ვახტანგ გორგასალმა. VI-VII საუკუნეების მიჯნაზე ერისმთავარმა ადარნასემ განაახლა. დღევანდელმა „სიონმა“, ძირითადად, XII საუკუნის დროინდელი სახით მოაღწია. ტაძარი საბოლოოდ აღდგა XIX საუკუნეში. ის მოხატა რუსმა სარდალმა და ხელოვანმა გ. გაგარინმა. წმ. ნინოს ჯვარი, თომა



თბილისის ხედი. მარჯვნივ დგას წმინდა სამების საკათედრო ტაძარი



მოციქულის თავის ქალა და სხვა მრავალი ქრისტიანული რელიკვია ინახება აქ.

ასევე V საუკუნისაა **მეტეხის ღვთისმშობლის ტაძარი**. ის 1289 წელს განუახლებია მეფე დემეტრეს. ტაძრის წინ დგას ქალაქის ერთ-ერთი ღირსშესანიშნაობა, მეფე ვახტანგ გორგასლის ძეგლი.

ანჩისათის ბაზილიკა თბილისში შემორჩენილი ერთ-ერთი უძველესი საეკლესიო ნაგებობაა. ეკლესიის სახელწოდება დაკავშირებულია XVII საუკუნეში, თურქეთიდან, ანჩის მონასტრიდან ჩამოსვენებულ მაცხოვრის ხელთუქმნელ ხატთან, რომელიც XII საუკუნის ცნობილმა ოქრომჭედელმა, ბექა ოპიზარმა შეამკო. ეკლესია ძლიერ დაზიანდა 1795 წელს ირანელთა ბოლო შემოსევის დროს. XIX საუკუნის დასაწყისში ის აღადგინეს და ხელახლა მოხატეს.

მამადავითის ეკლესია დგას მთაწმინდაზე. სახელწოდება „მთაწმინდა“ წარმოიშვა ათონის წმინდა მთის მიხედვით. მას მამადავითსაც უწოდებენ, რადგან VI საუკუნეში ამ მდინარეში ცხოვრობდა ცამეტ ასურელ მამათაგან ერთ-ერთი, წმ. მამა დავით გარეჯელი. 1929 წლიდან მამადავითის ეკლესიის ირგვლივ არსებული ტერასა ოფიციალურად გამოცხადდა მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონად. ეკლესიისგან მოშორებით, მაღლა არის მთაწმინდის გასართობი პარკი, მთის მწვერვალზე კი სატელევიზიო ანძა დგას. მთიდან შესანიშნავი ხედი იშლება.

თბილისში არსებული მრავალი სხვადასხვა რელიგიური მმართველების ტაძრებს შორის, ერთ-ერთი უძველესია ირანული, ზოროასტრული (მზადენური) ძეგლი „ათეშგა“, რომელიც V-VII საუკუნეებით თარიღდება. „ათეშ-გაჰ“, ანუ ცეცხლის ადგილი,



ჭრელი აბანო

ქალაქის ძველ რაიონში, კლდისუბანში დგას. ის მდებარეობს **ნარიყალას** გორაკის ფერდობზე, XIV-XVIII საუკუნეებში აშენებული ბეთლემის ორი ეკლესიის მახლობლად. ლესელიძის ქუჩაზე თქვენ შეხვდებით ქალაქის ყველაზე დიდ სინაგოგას. შორიახლოს, აბანოებთან არის მეჩეთი, რომელიც მიუთითებს იმ პერიოდზე, როდესაც მაჰმადიანები თბილისის მოსახლეობის დიდ ნაწილს შეადგენდნენ.

ეკლესია-მონასტრების გარდა, თბილისის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ღირსშესანიშნოაა გოგირდის აბანოები. XIII საუკუნის ისტორიული ცნობით, აქ 65 აბანო ყოფილა. ე.წ. აბანოთუბანი მდებარეობს ლესელიძისა და გორგასლის ქუჩების დაბლა. დღეისათვის დომინანტური კომპლექსია „ჭრელი აბანო“ მომინაქრებული ფილებით და მოპირკეთებული, შეისრულთაღოვანი მთავარი ფასადით.

თბილისის **სამების საკათედრო ტაძარი** მდებარეობს მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, სამრეკლოს ქუჩაზე. გრანდიოზული ეკლესია, დაახლოებით 100 მეტრი სიმაღლის, თბილისის რელიგიურ ნაგებობებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია. ის აკურთხეს 2004 წელს.

კუს ტბის გარდა, თბილისში კიდევ ორი ტბაა. ისინი პოპულარულია ადგილობრივ მაცხოვრებლებში, როგორც საზღვაო კურორტების კარგი შემცვლელი. ვაჟა-ფშაველას ქუჩის ჩრდილოეთით არის ლისის ტბა. თბილისის ზღვა მდებარეობს მტკვრის აღმოსავლეთ სანაპიროზე. იქ მოხვედრა შესაძლებელია „ღრმაღლის“ და „დიდუბის“ მეტროსადგურიდან. ორივე ადგილას უკვე არსებული ინფრასტრუქტურის ბაზაზე იგეგმება თანამედროვე ტიპის კომპლექსების აგება, რომლებიც 2013 წელს ამოქმედდება.

თბილისის ყველაზე საინტერესო მუზეუმებია:

საქართველოს ეროვნული მუზეუმი (რუსთაველის გამზ. №3; ტელ: (+995) 322998022) www.museum.ge

ეროვნულ მუზეუმში თავმოყრილია ქვეყნის მთელი საგანძური, მდიდარი ისტორიული, მხატვრული და სამეცნიერო კოლექციები. ასევე თქვენ შეგიძლიათ იხილოთ ოქროს ფონდში დაცული საინტერესო ექსპონატები. ვებგვერდზე შეგიძლიათ იხილოთ ინფორმაცია სხვადასხვა მუზეუმის შესახებ:

ხელოვნების მუზეუმი (ლ. გუდიაშვილის ქუჩა №1)

თბილისის ისტორიის მუზეუმი (სიონის ქუჩა №8)

ეთნოგრაფიული მუზეუმი ღია ცის ქვეშ (კუს ტბის გზატკეცილი 1)

აბრეშუმის მუზეუმი (გ. ცაბაძის №6) – აქ წარმოდგენილია უძველესი აბრეშუმის ნიმუშები, დაცულია ისტორიული წყაროები აბრეშუმის წარმოშობის და მისი წარმოების შესახებ; აგრეთვე, დოკუმენტები აბრეშუმის სავაჭრო გზის წარმოშობასა და მნიშვნელობაზე.

სახელმწიფო გალერეა („ცისფერი გალერეა“), ოპერისა და ბალეტის თეატრი, რუსთაველის თეატრი და ფილარმონია მდებარეობს თბილისის მთავარ, რუსთაველის გამზირზე.

რესტორნები:

თაღლაურა – ბაგრატიონის ხიდი, კოსტავას №77, გულიას ქუჩამ №1 („ორთაჭალის“ სადგურთან ახლოს)

მაჭახელა – ლესელიძის ქუჩა №26, მარჯანიშვილის №16, კოსტავას №77

მირზაანი – გორგასლის მოედანი №1, უზნაძის №41, წერეთლის №140 („დიდუბის“ მეტროსადგურთან ახლოს)

ჰოსტელები:

ირინა ჯაფარიძის სახლი – ნინოშვილის ქუჩა №19B („მარჯანიშვილის“ მეტროსადგურიდან ზემოთ) ტელ: +995599111669

<http://www.facebook.com/guesthouse.irina/info> ან

www.irlinesplace.com

აქ არის კარგი მომსახურება და სასიამოვნო ატმოსფერო. ირინა ასევე გთავაზობთ საინფორმაციო მომსახურებას გასაჩერებელი ადგილებისა და ტურისტული სერვისების შესახებ მთელის საქართველოს მასშტაბით.

Opera Hostel – ჩარგალის ქუჩა №5, „დიდუბის“ ავტოსადგომთან და თბილისის ზღვასთან ახლოს. (+995) 593 410 066 hostel@gruzinski.pl www.operahostel.pl

კარგი ადგილია გასაჩერებლად, მათთვის ვინც დანტერესებულია სამთო ტურიზმით. პერსონალი საუბრობს ინგლისურ, რუსულ და პოლუნურ ენებზე, ეს ეხმარება მათ ტურების დაგეგმვაში. თქვენ შეგიძლიათ იქირაოთ ჯიპი და სამთო აღჭურვილობა – კარავი, საძილე ტომარა და სხვა.

სასტუმროები:

Vere Inn – ბარნოვის №56. ტელ: +(995 32) 2291252 www.verennn.com

სასტუმრო კოპალა (Hotel Kopala) – ჩეხოვის ქუჩა №8/10. ტელ: +995322775520 www.kopala.ge



თბილისის ირგვლივ მრავალი ისტორიული ძეგლია, ზოგი მათგანი ანტიკური, ზოგიც შუა საუკუნეების პერიოდისაა. ციხეები და მონასტრები აშენებულია პატარა გორებზე, ამიტომაც მათზე ასვლა ადვილია ფეხით და ველოსიპედითაც. საზოგადოებრივი ტრანსპორტი, მინიავტობუსი (ე.წ. მარშუტკა) დადის თითქმის ყველა მიმართულებით.

ქვემოთ თქვენ შეგიძლიათ იხილოთ ტურების ჩამონათვალი. თუ თქვენ საკუთარი ტრანსპორტი გყავთ, ერთ დღეშიც შეძლებთ შემოთავაზებული სამოგზაურო მარშრუტებიდან ერთ-ერთის განხორციელებას.

1. მცხეთა და მისი შემოგარენი: მცხეთა – ჯვრის მონასტერი – არმაზი.

შიო მღვიმისა და ზედაზენის მონასტერი

თბილისიდან 15 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს საქართველოს უძველესი დედაქალაქი მცხეთა. სწორედ მცხეთიდან დაიწყო საქართველოს გაქრისტიანება, აქ არის მნიშვნელოვანი რელიგიური ძეგლი – სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარი.

დიდუბის ავტოსადგურიდან მცხეთის მიმართულებით ყოველ 15 წუთში გადის მიკროავტობუსი, მგზავრობას 20 წუთზე მეტი არ სჭირდება. ტაქსით მგზავრობა არ ღირს 25 ლარზე მეტი.

ქალაქი მცხეთა ქართულმა სამხრეთულმა ტომმა, მესხებმა დაარსეს ძველი წელთაღრიცხვის II ათასწლეულში.



ადგილი სვეტიცხოვლის ტაძარში, სადაც შენახულია ქრისტეს კვართი

ამ დროს „დიდი მცხეთა“ მჭიდროდ დასახლებული ქალაქი ყოფილა. აქ გადიოდა აბრეშუმის გზის ერთ-ერთი მაგისტრალი. მცხეთა განსაკუთრებით გაძლიერდა მეფე ფარნავაზის დროს, ძვ. წ-ით IV-III საუკუნეების მიჯნაზე.

მეფემ ქართლის უმთავრესი, ომისა და მთვარის ღვთაების – არმაზის კერპის გარშემო აკროპოლისი არმაზიხე ააგო. ანტიკურ ხანაში მცხეთა რამდენიმე უბანს მოიცავდა: მეფის სასახლეს, პიტიახშთა რეზიდენციას, ბაგინეთს და სხვა.

ქვეყნის მთავარი ქალაქის ფუნქცია მცხეთამ ჩვ.წ.-ით V საუკუნემდე შეინარჩუნა, თუმცა მომავალშიც რელიგიურ ცენტრად დარჩა.

ქრისტიანული რელიგიის გამოჩენამ მცხეთის იერსახე შეცვალა. ადრე და შუა საუკუნეებში აიგო სვეტიცხოველი, მცხეთის ჯვარი, სამთავრო (წმინდა ნინოს სახელობის) და სხვა მრავალი ეკლესია.

უმნიშვნელოვანესი ქართული ეკლესია **სვეტიცხოველი** მდებარეობს მცხეთის ცენტრში. გადმოცემით, მკერდში ქრისტეს კვართიანკრული სიდონია დაუმარხავთ ამ ადგილას, სადაც მოგვიანებით, IV საუკუნეში მცირე ხის ეკლესია აღუმართავთ. V საუკუნეში, ამავე ადგილას, მდიდრულად მოჩუქურთმებული ბაზილიკა აუგიათ, რომლის ფრაგმენტები დღესაც შეიმჩნევა ტაძრის კედლებში. დღევანდელი კათედრალი აგებულია 1010-1029 წლებში ხუროთმოძღვარ არსუკიძის მიერ. XIV საუკუნეში, თემურ-ლენგის ერთ-ერთი შემოსევის დროს ის ძლიერ დაზიანდა, თუმცა მალევე აღადგინეს და ახალი გუმბათით დაამშვენეს. კათედრალში შემონახულია XV-XVII საუკუნეების ფრესკები, IX სა-



უკუნის საკუთხეველის მხატვრობა კი XIX ს-ში აღუდგენიათ, მათ შორის ქრისტეს მონუმენტური ფრესკა საკუთხეველის თავზე.

სვეტიცხოველშია დაკრძალული ქართველ მეფეთა უმეტესობა: ვახტანგ გორგასალი, ერეკლე მეორე და სხვა.

შესასვლელში, კარის თავზე დაინახავთ ხარის თავს, რომელიც თარიღდება V საუკუნით.

XVIII საუკუნეში ერეკლე მეორემ სვეტიცხოველს შემოავლო გალავანი.

1980-იანი წლების ბოლოს, ტაძრის ტერიტორიაზე აღმოჩნდა ადრინდელი საცხოვრისები და არაერთი გვიანანტიკური ნივთი.

დღეს მცხეთა ქალაქი-მუზეუმი. მასში შემავალი ცალკეული ძეგლები: „ჯვრის მონასტერი“, „სვეტიცხოველი“, „სამთავროს“ დედათა მონასტერი და „არმაზციხე-ბაგინეთი“ 1994 წლიდან UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის სიაშია შეტანილი.

მეტი ინფორმაციისა და საინტერესო არტეფაქტებისთვის ესტუმრეთ მცხეთის ცენტრში მდგარ არქეოლოგიურ მუზეუმს. იქვე, სვეტიცხოველის მოპირდაპირე მხარეს ტურიზმის საინფორმაციო ცენტრია. აქ არის არაერთი სასტუმრო და რესტორანი.

ასევე მნიშვნელოვანი ძეგლია **სამთავროს დედათა მონასტერი**, რომელიც მოიცავს ორ, IV და XI საუკუნეების ეკლესიას. აქ დაკრძალულნი არიან მეფე მირიანი და დედოფალი ნანა.

ორი კილომეტრის დაშორებით, ჩრდილოეთით მდებარეობს ბობრისციხე (XVI საუკუნე).

მცხეთის ცენტრიდან სამხრეთ-დასავლეთ გორებზე არის არმაზის ციხე. აქაა კომპლექსი **არმაზციხე-ბაგინეთის** ნანგრევები. უძველეს პერიოდში ბაგინეთი იყო ქართლის მეფის რეზიდენცია. გარდა ამისა, აკროპოლისს დიდი სტრატეგიული მნიშვნელობაც ჰქონდა – ის კოლხეთიდან, ალბანეთიდან და სომხეთიდან მომავალ სავაჭრო გზებს აკონტროლებდა. აქ მაშინდელი სასახლის, სატაძრო-საკულტო ნაგებობების, ციტადელისა და ა.შ. ნაშთებია.

ჯვრის მონასტერი აიგო დაახლოებით 604 წელს. ჯერ კიდევ IV საუკუნეში, აქ უზარმაზარი ხის ჯვარი აღუმართავთ და მისი სახელიც აქედან წარმოიშვა. აღმოსავლეთის ფასადზე ქტიტორებია



მცხეთის ხედი ჯვრის მონასტრიდან

გამოსახული. ეგრეთ წოდებული „ჯვრის ტიპის“ ტაძრის არქიტექტურული ფორმა დამახასიათებელია სხვა, გვიან აგებული ეკლესიებისთვის. ჩრდილოეთის მხრიდან დგას უფრო ადრინდელი მცირე ზომის ეკლესია. აქედან მცხეთის შესანისნავი ხედი იმლება. ჯვრის მონასტრამდე მისვლა შესაძლებელია ტაქსით (საფასური 10-15 ლარი) ან საკუთარი ტრანსპორტით.

შიო მღვიმის სამონასტრო კომპლექსი მდებარეობს მცხეთიდან 13 კილომეტრის დაშორებით, ჩრდილოეთ სანაპიროზე. იქ მისასვლელად უნდა დაიქირავოთ მანქანა, რადგან მთავარი გზისგან შორსაა. მონასტერი VI საუკუნით თარიღდება. მისი დამაარსებელია ერთ-ერთი ასურელი მქადაგებელი, მამა შიო. ასურელი მამები საქართველოშიც წერგავდნენ, ახლო აღმოსავლეთში გავრცელებულ, კლდეში ნაკვეთი ეკლესია-მონასტრების მშენებლობის ტრადიციას. პირვანდელ ნათლისმცემლის სახელობის ეკლესია-გამოქვაბულს მოგვიანებით, XI საუკუნეში მიწის ზემოდან ეკლესია დააშენეს.

აღმაგლობის ხანაში, აქ 2 000 ბერი მოღვაწეობდა. ნათლისმცემლის ეკლესიის გარდა, მონასტერში ფუნქციონირებდა მიწისზედა ეკლესია, სატრაპეზო, წიგნთსაცავი, მთის თხემზე სამლოცველო და სხვა შენობა-ნაგებობები. მონასტერი აქტიურად უჭერდა მხარს მეფე დავით IV აღმაშენებელს საეკლესიო რეფორმების გატარებისას, რისთვისაც მეფემ ანდერძით უბოძა დიდიძალი განძი. შიო მღვიმის მონასტერში მოღვაწე ბერები გადაწერდნენ ხელნაწერებს, ასევე მხატვრულად რთავდნენ და კინძავდნენ წიგნებს.

XVI-XVII საუკუნეებში ირან-ოსმალთა გამანადგურებელი თავდასხმების შედეგად სამონასტრო ცხოვრება ჩაკცდა. სულ



რამდენიმე ბერილა იცავდა შემორჩენილ წიგნთსაცავს, რომელიც 1804 წლის ცნობით, 10 ურემზეც ვერ დაეცა. ხელნაწერთა უმრავლესობა დღესაც ინახება.

XX საუკუნის დასაწყისში კომუნისტებმა ზემო ეკლესია „გარემონტეს“ და დამწვარი, ჩამოფხეკილი ფრესკები „განაახლეს“, სინამდვილეში კი გადაათეთრეს კედლები. დღეს შიო მღვიმეში სამონასტრო ცხოვრება განახლებულია.

ზედაზენის მონასტერი მცხეთასთან ახლოს, 20 კილომეტრის დაშორებით, ჩრდილო-დასავლეთით, საგურამოს მთის თხემზე მდებარეობს. მისასვლელი გზა საკმაოდ რთულია და გირჩევთ, იქ მოსახვედრად მაღალი გამავლობის ავტომობილი იყოლიოთ.

ანტიკურ ხანაში, ბერძენი ისტორიკოსები ამ ადგილს თავის ანალებში მოიხსენიებდნენ. მათი ცნობით, მთაზე მდგარა ტაძარი და ქართველთა ერთ-ერთი მთავარი ღმერთის, ზადენის კერპი. ამავე სახელს ატარებდა მთაზე მდებარე უძველესი ციხე-სიმაგრე, დღეს მის ფუნდამენტზე შუა საუკუნეების სიმაგრის კედლებია შემორჩენილი.


ცამეტი ასურელი მამა თავდაპირველად ზედაზენის მთაზე დამკვიდრდა. მათ დაანგრიეს მთაზე მდგარი წარმართული კერპ-საკურთხევლები და VI საუკუნეში იოანე ნათლისმცემლის სახელობის მონასტერი ააგეს. მოგვიანებით ტაძარს მკლავები მიაშენეს. ნათლისმცემლის სახელობის ტაძარში, ჩრდილოეთ კედელში ქვის სარკოფაგში ასვენია წმინდა იოანე ზედაზენელის ნეშთი.

2. თბილისის დასავლეთით მდებარე მხარეები (150 კმ.)

**თბილისი – ბირთვისი – გოხნარი – მანგლისი –
დიდგორი – ბეთანია – კოჯორის ციხე**

მანგლისში მოსახვედრად შეგიძლიათ იმგზავროთ მიკროავტობუსით: „თბილისი–წალკა“, „თბილისი–მანგლისი“. ავტობუსები გადის „ოროთაჭალის“ ან „სადგურის მოედნის“ სადგურებიდან.

ბირთვისისკენ მიმავალი მიკროავტობუსი გადის „სამგორის“ ავტოსადგურიდან. „სამგორი–თეთრიწყარო“, „სამგორი–



ხევსურთა ბირთვისის ხეობაში

წალკა“. ბირთვისის ციხესთან მოსახვედრად უნდა ჩამოხვიდეთ სოფელ „ფარცხისში“, საიდანაც მარჯვნივ, მდინარის გაყოლებით 2 კილომეტრია გადასავლელი.

ბირთვისის ციხე აგებულია ვულკანური კრატერის შუა-აგულში, 90 მეტრი სიმაღლის

კლდის თხემზე. ციხე რთულ კომპლექსს წარმოადგენს, ბუნებრივად გამაგრებული კლდეებისა და საფორტიფიკაციო ნაგებობების სისტემით, ღვინის მარნებით, წყლის აუზებითა და საიდუმლო წყალმომარაგების ქსელით. ციხე იმდენად მიუდგომელია, რომ ის თითქმის აუღებელია.

მანგლისის სიონი პატარა ქალაქ, მანგლისთან ახლოს მდებარეობს, ბირთვისიდან 20 კილომეტრის დაშორებით. ტაძარი IV საუკუნეშია აგებული, შემდეგ VI-VII-ში გადაუკეთებიათ. XIX საუკუნეში კედლების შეეთეთრების გამო, ფრესკების მხოლოდ მცირე ფრაგმენტებია შემორჩენილი.

აქ დიდ საგანმანათლებლო და გადამწერ საქმიანობას ეწეოდა ცნობილი სასულიერო მოღვაწე იოანე მანგლელი. ტაძრის ეზოში უძველესი წისქვილის ქვა დევს, „მკურნალის“ სახელით ცნობილი, რომელზეც მრავალი გადმოცემა თუ ლეგენდაა შემორჩენილი.

მანგლისიდან რამდენიმე კილომეტრის მოშორებით, წალკის მიმართულებით, მარცხენა მხარეს სოფელი **გოხნარია**. აქ მდინარე ბზისწყლის ხეობის აყოლებზე უძველესი, III-II ათასწლეულის მეგალითური დასახლებების კვალი კედლების, გვირაბების, მენშირებისა და სხვათა სახით უხვადაა შემონახული. ადგილობრივები მათ „დევთ ნასახლარებსა“ და „ქვაკაცებს“ უწოდებენ. განსაკუთრებით დიდი, მეგალითური კომპლექსია „ლოდიანები“, რომელიც სოფლიდან ორიოდე კილომეტრში, ბედენის ქედის ფერდობზე ბუნებრივ ქვაბულში მდებარეობს. ისინი უზარმაზარი, რამდენიმე ტონიანი ლოდებით აღმართული ციკლოპური შენობებია, აქ მრავლადაა ჯერ კიდევ შეუსწავლელი გვირაბები, რომლებიც საკმაოდ დიდ მანძილზე ღრმად ჩაღის მიწის ქვეშ.

სოფლის მიდამოებში ასევე მრავლადაა ქრისტიანული ძეგლები, განსაკუთრებით საინტერესოა, „ლიპარიტის ეკლესიად“ წოდებული XI საუკუნის წმინდა გიორგის სახელობის ბაზილიკა. ეკლესიის გარშემო უამრავი ორნამენტის ქვაა მიმოყრილი. ისინი ამ ტერიტორიაზე მდგარი, ადრინდელი ეკლესიის და კიდევ უფრო ძველი წარმართული ტაძრის ფრაგმენტებს წარმოადგენენ.

მანგლისიდან თბილისში დაბრუნებისას ორბეთისა და კოჯორის გზის გავლით, 18 კილომეტრის შემდეგ, გადაკვეთთ ცნობილ საომარ ველს, **დიდგორს**. 1121 წლის დიდგო-



დიდგორის მემორიალი

რის ბრძოლის მოსაგონრად ველზე რამდენიმე მონუმენტური მემორიალი და მცირე ეკლესიაა.

დიდგორიდან 10 კილომეტრის დაშორებით არის სოფელი ახალი პანტიანი. სოფლიდან, დაახლოებით 1 კილომეტრის შემდეგ შეხვედრით **ბეთანიისკენ** მიმანიშნებელ მაჩვენებელს. საკმაოდ დამრეცი, კლდოვანი გზა ჩადის ტყით დაფარულ ულამაშეს მონასტრამდე – XII-XIII საუკუნის ბეთანიაში. ის მონღოლებს გაუძარცვავთ და გადაუწვავთ. ბეთანია დიდი ხნის მანძილზე დაკარგულად მიიჩნეოდა. XIX საუკუნეში კი ნადირობის დროს შემთხვევით აღმოაჩინეს. ბეთანიის ტაძარი ცნობილია უნიკალური, XIII საუკუნის ფრესკული მხატვრობით. ჩრდილოეთის კედელზე გამოსახულია თამარ მეფე, მისი მამა, გიორგი III და შვილი, ლაშა-გიორგი IV. დღესდღეობით ცნობილი, თამარის ოთხი ფრესკული გამოსახულებიდან, ბეთანიის პორტრეტი ყველაზე უკეთაა შემონახული. მოგვიანებით, XX საუკუნის 70-იან წლებში დაბრუნდნენ ბერები და მონასტერში აღადგინეს მამათა ცხოვრება.

ბეთანიიდან 20 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს სოფელი კოჯორი. სოფლის გავლით, მარჯვნივ, გორაზე დგას **კოჯორის ციხე**, რომელიც აშენდა X ს-ში. XVII საუკუნიდან თურქებმა „ქოროღლის ციხედ“ მონათლეს, ხშირად მას ამ სახელითაც იხსენიებენ, ხანდახან კი „აგარანად“.

იქვე აგებულია მცირე ეკლესია და მემორიალი, 1921 წელს ბოლშევიკებსა და ქართველებს შორის ომში დაღუპულთა სახელზე.

თბილისი კოჯორიდან მარცხნივაა, 20 კილომეტრის დაშორებით.

3. თბილისი – კოლაგირის ციხე – ბოლნისის სიონი – წულრულაშენი – ქვეშის ციხე – კაზრეთი – დმანისი (90 კმ)

დმანისში მოხვედრა შესაძლებელია ორთაჭალის ავტოსადგურიდან მიმავალი მინიაგრობუსით, თუმცა გირჩევთ, ისარგებლოთ ინდივიდუალური ტრანსპორტით, რათა ამავე მიმართულებით მდებარე სხვა ძეგლებიც დაათვალიეროთ.

პატარა ქალაქ მარნეულს გაცდებით თუ არა, სოფელ ნახიდურთან კარგად შემონახული, XVI-XVII საუკუნის **„ქოლაგირის“** ან „დედოფლის ციხედ“ წოდებულ ციხე-სიმაგრეს დაინახავთ. სიმაგრის ტერიტორიაზე უფრო ადრინდელი ეკლესია, საცხოვრებელი კოშკები და სხვა ნაგებობებიცაა შემორჩენილი.

ქალაქ ბოლნისის ცენტრში, გზა მარცხნივ, ხიდქვეშ გაივლის და სულ მალევე მიხვალთ V საუკუნის უდიდეს სამნავიან ბაზილიკასთან – **ბოლნისის სიონთან**. ტაძარი მეფე ვახტანგ გორგასალის ბრძანებით აუგიათ.

სწორედ აქ აღმოჩნდა ქართული ეპიგრაფიკული წარწერის ერთ-ერთი უძველესი ნიმუში. იქვეა XVII ს.-ის სამრეკლო.

ბოლნისის სიონიდან 4 კილომეტრის გავლის შემდეგ, XIII საუკუნეში, მეფე ლაშა-გიორგის მმართველობისას, აგებული გუმბათიანი ეკლესია **წულრულაშენია**.

დმანისის მიმართულებით მოძრაობისას, ხელმარჯვნივ, კლდეზე მდგარ VII საუკუნის **ქვეშის ციხეს**, დაინახავთ. სავაჭრო გზაზე მდგარი სიმაგრე საბაჟოს ფუნქციასაც ითავსებდა, რის გამოც მის დაუფლებას ბევრი წარჩინებული ცდილობდა. შუა საუკუნეებიდან მას თორელების გვარი დაეპატრონა. კლდეზე VI-VIII საუკუნეების მცირე ზომის ბაზილიკაც დგას, აქვეა წყლის რეზერვუარები, მარნები, საიდუმლო გვირაბები და სხვა ძველისძველი ნაგებობა.

დაბა **კაზრეთთან**, სადაც დღემდე მოიპოვებენ ოქროს შემცველ მადანს, 6 000 წლის წინანდელი ოქროს მადნის მომპოვებელი მაღაროებია აღმოჩენილი. აქ შეგიძლიათ ნახოთ კლდეში ამოჭრილი მადნის სარეცხი აუზები, უამრავი ქვის ხელცული (რითაც მადანს ამტვრევდნენ და აქუცმაცებდნენ), ოქროს გამოსადნობი ღუმელები და სხვა უნიკალური არტეფაქტი.

კაზრეთიდან 12 კილომეტრის დაშორებით შეხვდებით **დმანისის მუზეუმს**. შეგიძლიათ დაათვალიეროთ სამი ეპოქის: ქვის, ბრინჯაოს ხანისა და შუა საუკუნეების კულტურული ფენები. სწორედ აქაა აღმოჩენილი პრეისტორიული, 1 800 000 წლის წინანდელი ოთხი ადამიანის ნაშთი და სხვა არტეფაქტი, ამიტომაც ფიქრობენ, რომ დმანისელი ჰომინიდები სამხრეთ კავკასიიდან განსახლდნენ მთელ ევრაზიაში.

დმანისის ტერიტორიაზე ადამიანები მუდმივად სახლობდნენ. დმანისის შვერილზეა აღმოჩენილი ძვ. წ.-ის II-I ათასწლეულების ნასახლარები და სამარხები. ქალაქი განსაკუთრებით გაიზარდა და გაძლიერდა შუა საუკუნეებში, განვითარდა ვაჭრობა, ხელოსნობა, მეტალურგია. იჭრებოდა დმანისური მონეტა. მრავალეროვან ქალაქში ეკლესიები, მეჩეთი, მედრესე, საიდუმლო გვირაბები, აბანოები, სასტუმროები და საბაჟო არსებობდა.

ქალაქი XIV საუკუნის ბოლოს თემურ-ლენგის დაუნდობელი შემოსევებისას განადგურდა, თუმცა XVIII საუკუნის ბოლომდე ფუნქციონირებდა როგორც ციხე-სიმაგრე.



წულრულაშენის ეკლესია

კახეთი

კახეთი მდიდარია უძველესი და შუა საუკუნეების ისტორიული ძეგლებით, საუკეთესო ხარისხის ღვინოებით და ლამაზი ბუნებით. კახეთში მოგზაურებისას შეგიძლიათ ესტუმროთ **ვაშ-ლოვანის, ლავოდების და თუშეთის ეროვნულ ნაკრძალებს**.

კახეთში წასასვლელად შეგიძლიათ ისარგებლოთ მინიაგ-ტობუსით ან სხვა საზოგადოებრივი ტრანსპორტით (რომლებიც ორთაჭალის ავტოსადგურიდან დადიან), გარდა დავით გარეჯი-სა და თუშეთის მიმართულებისა.



ნინოწმინდა

კახეთის გზატკეცილის 48-ე კილომეტრზე სოფელი **ნინოწმინდა**, სადაც **წმინდა ნინოს სახელობის საკათედრო ტაძარი** და **დედათა მონასტერი**. VI საუკუნის ძეგლს. ტაძარში შემორჩენილია IX-X საუკუნის ფრესკების ფრაგმენტები. იქ არსებულ ბიბლიოთეკაში დღესაც დაცულია უძველესი ხელნაწერები. ტაძარი 1824 წლის ძლიერ მიწისძვრას სანახევროდ დაუზღვრევია. შედარებით გვიანდელი, XVI-XVII ს.-ის მცირე ბაზილიკა მონაზვნებმა აღადგინეს და დღეისათვის ის მოქმედია.

ნინოწმინდის შემდეგ პატარა ქალაქი საგარეჯოა, მისი სახელი დავით გარეჯის მონასტერთანაა დაკავშირებული. დავით გარეჯის მონასტერი დიდი მიწების მფლობელი იყო, მათ შორის საგარეჯოსიც. ქალაქის გასასვლელთან, ხელმარჯვნივ მარჯვენებელია, რომელიც მონასტრისაკენ მიმავალ გზას მიუთითებს. იქ საზოგადოებრივი ტრანსპორტი არ დადის, ამიტომ უნდა იქირაოთ ტაქსი.

დავით გარეჯი 13 ასურელ მამათაგან ერთ-ერთმა, დავით გარეჯელმა დაარსა VI საუკუნეში. ცოტამ თუ იცის, რომ ამ ტერიტორიებზე, ჩვენს წელთ აღრიცხვამდე III-II ათასწლეულის, ტროას

თანამედროვე 4 ნაქალაქარია აღმოჩენილი, „მეტალურგთა“ ქალაქებად ცნობილი. გარეჯის წითელი კლდეები 40%-მდე რკინის მადანს შეიცავენ. უძველეს მეტალურგებს რკინის მისაღებად ტყეები გაუჩეხავთ, დაწყებულა ეროზიები, წყალიც გამქრალა და მოსახლეობა იძულებული გახდა აქაურობა მიეტოვებინა.

მონასტრისკენ მიმავალ გზაზე ერთ-ერთი უძველესი ქალაქი და მადნის ღია კარიერია. დაკვირვებული თვალი მთაზე განლაგებულ ხელოვნურ ტერასებსა და ოთკუთხედ ჩაღრმავებებში ადვილად ამოიცნობს ნაქალაქარს.

თავდაპირველად მონასტერი მხოლოდ დღევანდელ „ლაგ-რად“ წოდებულ ბუნებრივ გამოქვაბულებს წარმოადგენდა, შემდეგ წმინდა მამისა და მისი მოწაფეების, დოდოს, ლუკიანესა და სხვათა მეცადინეობით გრანდიოზულ კომპლექსად ჩამოყალიბდა. ის მოიცავს 12 მონასტერს და რამდენიმე ეკლესია-დასახლებას.



დავით გარეჯის ლავრა

უკვე მრავალი საუკუნეა მონასტერი მნიშვნელოვან რელიგიურ და კულტურულ ცენტრს წარმოადგენს. ის XII საუკუნეში მეფე დავით IV აღმაშენებლის ბრძანებით სამეფო საკუთრებად გადაიქცა. გათავისუფლდა გადასახადებისგან, მხოლოდ სამეფო სუფრას მიეწოდებოდა მონასტრის ხილი.

აქ, ჩიჩხიტურის კოშკში ბერად შემდგარმა მეფე დემეტრე I-მა დაწერა საგალობელი „შენ ხარ ვენახი“.

ისტორიის ბედუკუდმართობას ვერც დავით გარეჯის მონასტერი გადაურჩა, პირველად ის ბექა ყაენის ბრძანებით მონღოლთა ურდოებმა დაარბიეს, შემდეგ თემურ-ლენგის მოლაშქრეებმა გაძარცვეს. საბოლოოდ XVII საუკუნის დასაწყისში, ირანთან 15 წლიანი ომის დროს განადგურდა. უდაბნოს თხემზე

მდგარ მცირე ეკლესიასთან, ირანელენმა 6 000 ბერს მოუსწრაფეს სიცოცხლე. დღეისათვის ისინი წმინდანებად არიან შერაცხულნი.

დავით გარეჯის რამდენიმე კომპლექსი აღარ არსებობს, ზოგიერთი მათგანი საბჭოთა პერიოდში გავლებული სადემარკაციო ხაზის შედეგად ამერბაიჯანის ტერიტორიაზე აღმოჩნდა. სწორედ ამ დროს ყველაზე მეტად დაზიანდა დავით გარეჯი. აქაურობა სატანკო პოლიგონად აქციეს, ჭურვებმა გამოქვაბულების და მონუმენტური ფრესკული მხატვრობის 40% გაანადგურეს.

დღეს დავით გარეჯის ლავრაში, **დოდოს რქასა და ნათლისმცემელში** ბერები მოღვაწეობენ.

იმისათვის რომ იხილოთ უფრო მეტი ფრესკა, უნდა ახვიდეთ კომპლექსის გორაზე, სადაც დგას სამლოცველო. გორაკის სხვა მხარეს შენიშნავთ ასზე მეტ გამოქვაბულს. ეს არის დავით გარეჯის კიდევ ერთი კომპლექსი „უდაბნო“. მიუხედავად იმისა, რომ გამოქვაბულებში კედლის მხატვრობა ძალიან დაზიანებულია, მაინც შესაძლებელია ამ ადგილის მნიშვნელობისა და სილამაზის წარმოდგენა შუა საუკუნეების პერიოდში. გორაკიდან ასევე მოჩანს შესანიშნავი პანორამა, მოჩანს სხვადასხვა ფორმის ქვები. ღამის გათევა შესაძლებელია სეისმოლოგების სადგურში, რომელიც ლავრის შესასვლელიდან რამდენიმე ასეული მეტრი-თაა დაშორებული.

სილნალამდე 3-4 კილომეტრში **ბოდბის დედათა მონასტერი**, რომელსაც გამორჩეული ადგილი უჭირავს საქართველოს სულიერ ცხოვრებაში. მონასტერი დაარსა წმინდა ნინომ IV საუკუნეში. ის ამავე მონასტერშია დაკრძალული. ტაძარი V საუკუნეში მეფე ვახტანგ გორგასლის ბრძანებით შეაკეთეს და გააფართოვეს. დღევანდელი სამნავიანი ბაზილიკის სახე მან VIII-IX საუკუნეებში მიიღო. შუა საუკუნეებში აქ იკურთხებოდნენ კახეთის მეფეები. მონასტერში იყო საქართველოში ერთ-ერთი უმდიდრესი



ხედი „უდაბნოდან“

წიგნთსაცავი. მონასტერი კახეთ-ირანის მრავალწლიანი ომების დროს განადგურდა. ის მხოლოდ XIX საუკუნის ბოლოს აღდგა.

1924 წელს მონასტერი ბოლშევიკებმა დაარბიეს და დახურეს. სამონასტრო ცხოვრება აქ მხოლოდ 1991 წელს განახლდა. დღეს მონასტერში 30-მდე მონაზონი ცხოვრობს. მათ ხატწერისა და ხელსაქმის სახელოსნოები, საკუთარი მეურნეობა და სასულიერო სასწავლებელი აქვთ.

მონასტრის სიახლოვეს, ტყეში არის ეკლესია და წმ. ნინოს სახელობის სამკურნალო წყალი. ეს ადგილი მიმზიდველია ტურისტებისა და მომლოცველებისთვის.

სიღნაღი კახეთის ერთ-ერთი კოლორიტული ქალაქია. მისი სახელი თურქული წარმოშობისაა და ნიშნავს აუღებელ, მაგარ კედელს. ირან-კახეთის მრავალწლიანი ომების დროს სპარსელებმა უამრავი ქალაქი და დასახლება გაანადგურეს, მათ მხოლოდ სიღნაღის ალება ვერ შეძლეს, რადგან მიუვალ, დამრეც ფერდობებზე მდგარ ქალაქს მცხოვრებლებმა სამმაგი წყების, ძლიერი საფორტიფიკაციო, დამცავი კედლები და კოშკების მთელი სისტემა შემოავლეს, რომლებიც დღესაც შთამბეჭდავად გამოიყურება.



სიღნაღის პანორამა

ციხე-სიმაგრეს 40 ჰექტარი ფართობი უჭირავს. XVII-XVIII საუკუნის სიღნაღის ციხე და აქაური მცხოვრებლები ქართველ მეფეთათვის საიმედო დასაყრდენს წარმოადგენდა.

სიღნაღელები და კახეთის ამ კუთხის მცხოვრებნი, ქიზიყელები ყოველთვის ამაყობდნენ იმით, რომ ისინი თავისუფალნი იყვნენ, არ ჰყავდათ ბატონები და მხოლოდ მეფის ბრძანებას ემორჩილებოდნენ.

სიღნაღის ღირსშესანიშნაობათა შორის რამდენიმე შუა საუკუნეების ეკლესია, მუზეუმები და XIX საუკუნის ქორწინების სახლის შენობაა, რომელიც 24 საათის განმავლობაში მუშაობს. სიღნაღს ხშირად ხელოვანთა ქალაქსაც უწოდებენ. აქაური იყო XIX-XX ს.-ის მსოფლიოში აღიარებული მხატვარი, ნიკო ფიროსმანაშვილი. მისი შედეგები დღეს სიღნაღის მუზეუმშია თავმოყრილი.

ქალაქში აღდგენილია ხალიჩების, ფარდაგებისა და გობე-
ლენების სახელოსნოები, სადაც ძველი ტექნოლოგიების დაც-
ვით მუშაობენ. ქალაქში ხალხური რეწვის სხვა დარგების სახე-
ლოსნოც ბევრია.

კახეთში სტუმრობისთვის საუკეთესო პერიოდია სექტემბ-
რისა და ოქტომბრის თვეები, როდესაც რთველია. ამავე დროს
არაერთი ფესტივალი და კონცერტი იმართება.

ლამის გასათევო და რესტორნები:

“Mate Guesthouse” – სიღნაღი, ვახტანგ გორგასლის ქუჩა №20

მანანა ახმეტელაშვილი ტელ: (+995) 557 402080

E-mail: m.axmeteli@mail.ru

“Hostel Signaghi” (ზანდარაშვილების ოჯახი) – გიორგი ქუჩა №11,

ტელ: (+995) 599750510, <http://www.facebook.com/hostel.signaghi>

“Hotel Old Signagi” – დავით ბერაია – ტელ: (+995) 598770101

E-mail: hotel-old-signagi@mail.ru

რესტორანი „ქიშიყი“ – წნორის გზატკეცილი ტელ: (+995) 593190071

მარანი „ხობის ცრემლები“ – ბარათაშვილის №18

ტელ: (995) 599 534484, www.pheasantstears.com

სოფელ ტიბაანში არის VI ს.-ის **ხირსის მონასტერი**, რომელიც
სტეფანე ხირსელმა დაარსა. მთავარი ტაძარი შუა საუკუნეებში,
VIII-IX-ში გუმბათიანად გადაუკეთებიათ და მან ამ სახით მოაღ-
წია ჩვენამდე.

სიღნაღიდან აღმოსავლეთით მდებარეობს ლავოდების ერ-
ოვნული პარკი.

დედოფლისწყაროდან 2-3 კილომეტრის დაშორებით, კლდე-
ზე აღმართულია **ხორნაბუჯის ციხე-ქალაქი**, იგივე ძველი ჭოეთი.
ისტორიულ წყაროებში პირველად V ს.-დან იხსენიება, თუმცა ამ



ყველაწმინდის ეკლესია

ადგილას წინაქრისტიანული
და ანტიკური ხანის დასახ-
ლება და სამარხებიცაა.

დედოფლის წყაროდან
ქვეყნის უკიდურესი სამხრეთ-
აღმოსავლეთით ვაშლოვანის
ნაციონალური პარკია.

თუ სიღნაღიდან ქვევით,
ალაზნის ველს გაუყვებით
მოხვდებით შიდა კახეთში.
პატარა ქალაქ გურჯაანამდე
საგზაო მაჩვენებელი მიგა-
ნიშნებთ **ყველაწმინდის ეკ-
ლესიისკენ** მიმავალ გზაზე.
VIII-IX საუკუნეების ძეგლი
ქალაქიდან 2 კილომეტრის

დაშორებით, ტყეში მდებარეობს. იგი ერთადერთი ორგუმბათიანი ეკლესიაა მთელ საქართველოში. უნიკალურია მისი ორსართულიანი თაღოვანი არქიტექტურაც.

სახელწოდება „გურჯაანი“ ირანულად გურჯების, ანუ ქართველების ქალაქს ნიშნავს. ქალაქის ცენტრში, ვულკანური წარმოშობის კრატერში სამკურნალო წყლები და ტალახი ამოდის. აქვეა ბალნეოლოგიური სანატორიუმი „ახტალა“.

ალაზნის ველზე მგზავრობისას ღამის გასათევად შეგიძლიათ გაჩერდეთ ერთ-ერთ პატარა სასტუმროში. აქ თქვენ გექნებათ საშუალება გაცნოთ ღვინის დაყენების ადგილობრივ ტრადიციას.

ღამის გასათევი და რესტორნები გურჯაანი-ყვარელის გზაზე:

სოფ. ჩუმლაყი, **„სიმონაის მავოტი“** – ტელ: (+995) 599 235355

E-mail: Sruadze@yahoo.com, www.Simonruadze.webs.com

სოფ. ჩუმლაყი, **XVI საუკუნის ღვინის მარანი** – ნოდარ ფრიდაშვილი ტელ: (+995) 591 611119

სოფ. ველისციხე **„ველისციხის ვერანდა“**, ასკანელების ეთნოგრაფიულ რესტორანი. ტელ: (+995) 599 997517

ქ. ყვარელი, **„ყვარლის გვირაბები“** – ტელ: (+995) 599 808547

www.gvirabi.ge, www.winerykhareba.com

ყვარელში თქვენ შეგიძლიათ ესტუმროთ XIX-XX საუკუნეების მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, ილია ჭავჭავაძის სახლმუზეუმს. ქალაქი ცნობილია ქინძმარაულის ღვინით, აქ არის ყვარლის ტბის კურორტი. www.kvarelilakeresort.ge, ტელ: (+995) 322 303030

ისტორიული ნაქალაქარი **ნეკრესი** კახეთში, ყვარელთან ახლოს მდებარეობს. ქალაქი მეფე ფარნაჯომს აუგია ძველი წელთაღრიცხვის II-I საუკუნეებში. IV საუკუნეში მეფე თრდატს წმინდა ნინოს სახელობის მცირე ეკლესია ალუმართავს ნეკრესმთაზე, სადაც VI საუკუნიდან ერთ-ერთ ასურელ მამას, აბიბოს ნეკრესელს სამონასტრო მშენებლობა დაუწყო. ქვემო ქალაქის ნანგრევებში დღესაც ნახავთ აბიბოსის ქვის სკამს. წმინდა მამამ ნეკრესის საეპისკოპო დაარსა, რომელიც XIX საუკუნემდე ფუნქციონირებდა.



ნეკრესის მონასტერი

ქალაქი ნეკრესი VIII საუკუნეში არაბებს გაუნადგურებიათ, თუმცა სამონასტრო ცხოვრება გაგრძელებულა. მონასტრის ტერიტორიაზე რამდენიმე, სხვადასხვა დროს აშენებული ეკლესია დგას. VII საუკუნის სამნავიანი ბაზილიკა XVI ს-ში შეუკეთებიათ და ხელახლა მოუხატავთ. VIII-IX საუკუნისაა გუმბათიანი ეკლესია. აქვეა ეპისკოპოსის ორსართულიანი სასახლე. XVI საუკუნის რესტავრაციის დროს მას ხუთსართულიანი კოშკი, სატრაპეზო, მარანი, მცირე სამლოცველოები და სხვა ნაგებობები მიაშენეს.

დღეს ქვემო და ზემო ნეკრესში სამონასტრო ცხოვრება აღდგენილია. ზემო ნეკრესამდე 3 კილომეტრიანი აღმართის ავლა ფეხით ან ბერების კუთვნილი მიკროავტობუსითაა შესაძლებელი. მონასტრის ტერიტორიიდან ულამაზესი ალაზნის ველის პანორამა მოჩანს.



გრემის გიტადელი

ნეკრესიდან 13 კილომეტრის შემდეგ **გრემის ნაქალაქარის** საინტერესო კომპლექსია. XV საუკუნეში ქალაქი 17 ჰექტარზე ყოფილა გაშენებული. შუა საუკუნეებში ის კახეთის დიდ სავაჭრო-ეკონომიკურ და კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრს წარმოადგენდა.

XV-XVII საუკუნეებში გრემი კახეთის სამეფოს დედაქალაქი იყო. 1616 წელს შაჰ-აბას I-ის ბრძანებით ირანელებმა გრემი ნანგრევებად აქციეს, რის შემდეგაც მან, როგორც ქალაქმა არსებობა შეწყვიტა.

აქ თქვენ შეგიძლიათ ნახოთ XVI საუკუნის სამეფო სასახლე და ტაძარი, სამეფო ღვინის მარანი, ციტადელი და სხვა.

გრემიდან 20 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს ერთ-ერთი უძველესი ქალაქი **თელავი**. ის მნიშვნელოვან ქალაქად VIII-X საუკუნეებიდან იქცა. XVII საუკუნეში გრემის განადგურების შემდეგ, კახეთის მთავარი ქალაქის ფუნქცია თელავმა შეითავსა.

ამ დროს აიგო **ბატონის ციხე** და სხვა მრავალი საცხოვრებელი შენობა-ნაგებობა. „ბატონის ციხე“ წარმოადგენს საფორტიფიკაციო სისტემას კედლებისა და კოშკების სახით, ის 3 ჰექტარ ფართობზეა გადაჭიმული. ტერიტორიაზე სასახლე, 2 ეკლესია, ცალკე მდგომი კოშკი და სხვა არაერთი ნაგებობაა.

თელავში არის ეთნოგრაფიული მუზეუმიც. სასახლის კარიბჭესთან დგას მეფე ერეკლე მეორის ძეგლი. აქვეა 950 წლის, 40 მეტრი სიმაღლის ჭადრის ხე, რომლის გარშემოწერილობა 11,4 მეტრია.

თბილისიდან თელავამდე შეგიძლიათ იმგზავროთ მიკროავტობუსით, რომელიც გადის ორთაჭალის ავტოსადგურიდან. მგზავრობას ჭირდება დაახლოებით სამი საათი.

ღამის გასათევი და რესტორნები:

ასმათ სენიადის სასტუმრო სახლი, 9 აპრილის ქუჩა №83

ტელ: (+995) 599 565074

თამაზ ხოსროშვილის ჰოსტელი, 26 მაისის ქუჩა II ნიხი №4

ტელ: (+995) 593 981862; (350) 2 – 71824



თელავიდან ჩრდილო-დასავლეთით, 18 კილომეტრის დაშორებით **ალავერდის საკათედრო ტაძარია**.

ადრეულ ხანაში აქ ქართველთა წარმართული პანთეონის, მთავარი მეომარი ღმერთის, მთვარის ტაძარი მდგარა, რომელიც ქრისტიანებს დაუნგრევიათ და მის ადგილზე ეკლესია ალუმართავთ. თუმცა ხალხში დღესაც შემორჩენილია წარმართული რიტუალები. ეს წარმართული დღესასწაულები ჩრდილო კავკასიელ მთიელებშიც ყოფილა გავრცელებული. სანამ რუსეთის ფედერაცია საზღვრებს ჩაკეტავდა, ისინი ქართველებთან ერთად იღებდნენ მონაწილეობას სხვადასხვა რიტუალში.

მონასტერი VI საუკუნეში დაარსა ერთ-ერთმა ასურელმა მამამ, წმ. იოსებ ალავერდელმა. XI საუკუნის სახით ჩვენმდე მოღწეული წმ. გიორგის სახელობის ალავერდის საკათედრო ტაძარი ზომით ერთ-ერთი უდიდესი ძეგლია საქართველოში. ალავერდის სიმაღლე, გუმბათიანად 50 მეტრია.

ამჟამად აქ, ბერებს თანამედროვე ტიპის ღვინის ქარხანა აქვთ, სადაც შესაძლებელია საუკეთესო ქართული ღვინოების დავემოვნება.

ტაძართან ახლოს არის სოფელი ალვანი. აქ თქვენ შეგიძლიათ დაიქირაოთ ჯიპი, რომ ახვიდეთ თუშეთის მაღალმთიან რეგიონში. მიკროავტობუსები ყოველდღე დადის თელავიდან ალვანის მიმართულებით.

იყალთოს სამონასტრო კომპლექსი და აკადემია თელავიდან 8 კილომეტრის დაშორებით, სოფელ იყალთოში მდებარეობს. მონასტერი VI საუკუნეში, 13 ასურელ მამათაგან ერთ-ერთმა, წმინდა მამა ზენონმა დაარსა. ის დაკრძალულია აქვე, მონასტრის მთავარ, ყველაწმინდის ეკლესიაში.



VIII-XII საუკუნეებში იყალთოს მონასტერში ჩამოყალიბდა საერო დანიშნულების აკადემია. მისი პირველი რექტორი არსენ იყალთოელი იყო. აქ ისწავლებოდა ეგრეთ წოდებული “TRIVIUM KVADRIVIUM” ციკლის საგნები: რიტორიკა, ღვთისმეტყველება, ასტრონომია, ფილოსოფია, ისტორია, გეოგრაფია, გეომეტრია, გეოლოგია, მეტალურგია, კერამიკა, მევენახეობა-მეღვინეობა, ფარმაცოლოგია.

აკადემიის შენობის 2 სართული დღემდე შემორჩენილია, აქ საკლასო დარბაზების გარდა არის პრაქტიკუმის ოთახებიც, როგორიცაა სამჭედლო, ღვინის „ლაბორატორია“ 11 ქვევრით და კერამიკული საწარმო.

იყალთოს აკადემიაში ცნობილი მეცნიერები ასწავლიდნენ ქართველ და უცხოელ წარჩინებულთა შვილებს. ერთ-ერთი ვერსიით აქ სწავლობდა შოთა რუსთაველი.

1616 წელს შაჰ-აბასის შემოსევების შედეგად იყალთოს აკადემია განადგურდა.

იყალთოდან თელავისკენ სოფელ რუისპირის თავში, მე-3 კილომეტრზე კლდეზე დგას სიმდიდრით განთქმული IV-XI ს.-ის **შიოს მონასტერი**. მონასტრის კომპლექსის ნანგრევები ტყეში, უზარმაზარ ტერიტორიაზე, რამდენიმე ჰექტარზეა გაფანტული.

თელავიდან გურჯაანის მიმართულებით 6-7 კილომეტრის შემდეგ მდებარეობს სოფელი **წინანდალი**. აქ არის თავად ალექსანდრე ჭავჭავაძის სასახლე და უნიკალური ინგლისური პარკი. აქვეა საინტერესო მუზეუმი სავარეულო ექსპონატების კოლექციით, უძველესი ენოთეკით და სადეგუსტაციოთი.

შორიახლოს სოფელი **კისისხევია**, ის კახეთის ერთ-ერთი უძველესი და დიდი სოფელია, ამას ადასტურებს მის ტერიტორიაზე არსებული 40-მდე ისტორიული ძეგლი. აღსანიშნავია, სოფლის ცენტრში VI საუკუნის „ღვთისმშობლის“ და „მთავარანგელოზის“ ერთმანეთზე მიმდგარი ეკლესიები. იქვეა ეკლესია, რომელიც



პარკი წინანდალში. ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი

ეკუთვნოდა ქობულაშვილის სახლს და კოშკი, რომელშიც განთავსებული იყო ბიბლიოთეკა. ეს ფასდაუდებელი კოლექცია ბოლშევიკებმა გაანადგურეს 1924 წელს.

საინტერესო სანახაობაა ე.წ. რიგის საყდრები – 8 მცირე ზომის ბაზილიკა ერთმანეთის გვერდითაა ჩამწყობებული ძველი გზის გასწვრივ. იქვე, თეთრაანისა და კონდამიანის ტყის ახლოს დგას VII საუკუნის ორი სამონასტრო კომპლექსი. კონდამიანის ბაზილიკასთან ახლოს არის 70-მდე გამოქვაბული, რომლებიც გამოიყენებოდა საცხოვრებლად, მარნებად და სამლოცველოებად.

ღამის გასათევი და რესტორნები:

შუხმანის ღვინოები – ცნობილი მარანი რესტორნითურთ, ტერასა და სასტუმრო, ტელ: (+995) 577 508089, g.dakishvili@shuchmann-wines.com. www.shuchmann-wines.com

ჭოსტელი „ვანო ლაფაური“ – ტელ: (+599) 558 604360
E-mail: vano-lap@yahoo.com

შუამთის მონასტერი დაარსდა V-VI საუკუნეებში და მოიცავს სამ ეკლესიას. 1616 წელს შაჰ-აბასმა დაანგრია მონასტერი, იქაური მაცხოვრებლები და მონაზვნები კი დაახოცინა. ამ ტრაგედიის შემდეგ კახელებს არ უცდიათ ძველი შუამთის აღდგენა, ნაცვლად ამისა დედოფლის ბრძანებით XVII ს-ში დაარსდა **ახალი შუამთა**. მას გარს არტყია კედელი და ბაღი. მონასტერი მოიცავს ეკლესიას, სამრეკლოს და სხვა ნაგებობებს.

თელავის შემოგარენიდან თბილისში დაბრუნებისას, გომბორის უღელტეხილის გავლით, თქვენ შეხვდებით III საუკუნის ქალაქ **უჯარმას**. ის ქართველ მეფეთა საზაფხულო რეზიდენცია იყო და მისი შემოგარენი სამეფო სანადირო ტერიტორიას წარმოადგენდა. ყოფილი რეზიდენცია მოიცავს მეხუთე საუკუნის ეკლესიას, წყალგაყვანილობას, აბანოს და საიდუმლო გვირაბებს. გადმოცემის თანახმად ვახტანგ გორგასალი აქ გარდაცვლილა, როდესაც ის დაჭრეს შხამიანი ისრით. ყოფილი ქალაქის ნანგრევები, ეკლესიები, კოშკები, ქალაქის კედლები და სხვა მიმო-

ფანტულია სასახლის ირგვლივ მდებარე ტყეში, მდინარე იორის ხეობაში. X საუკუნეში ამირა აბულ კასიმმა ქალაქი გაძარცვა და გადაწვა, მას შემდეგ სახელი „უჯარმა“ ნახსენებია მხოლოდ სამეფო სასახლის აღსანიშნად, რადგან ქალაქი აღარ არსებობდა. უჯარმიდან თბილისამდე 40 კილომეტრია.

ეროვნული პარკები

საქართველოს დაცული პარკების შესახებ ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ „საქართველოს დაცული ტერიტორიების სააგენტოს“ ვებგვერდიდან, www.apa.gov.ge ან email: info@apa.gov.ge.

ვაშლოვანის ეროვნული პარკი კახეთის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ქალაქ დედოფლისწყაროდან 40 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს. აქ მოსახვედრად ვაშლოვანის დაცული ტერიტორიის ადმინისტრაციული ოფისიდან ნებართვაა საჭირო, რომელიც დედოფლისწყაროში, ბარათაშვილის № 5-შია (ტელ: (+995) 577 10 18 50 E-mail: vpadirection@yahoo.com), აქვე შეგიძლიათ მიიღოთ ეროვნული პარკების რუკა.

ვაშლოვანის პარკში შეხვდებით მაღალი მთების, ტაობების, სავანისა და უდაბნოსათვის დამახასიათებელ მცენარეებს. გვხვდება ენდემური და სხვა უიშვიათესი ჯიშის, გადაშენების პირას მყოფი ფრინველი, 16 სახეობის თევზი, 46 სახეობის ძუძუმწოვარა.

ვაშლოვანი ერთადერთი ადგილია საქართველოში, სადაც სტეპის ანტილოპა-ჯეირანი და ლეოპარდი უნახავთ. განსაკუთრებით მრავლად არიან ქვეწარმავლები, მათ შორის ყველაზე



ვაშლოვანი

შხამიანი გველი გიურბა. რეინჯერები მოგცემენ ინსტრუქციას თუ როგორ უნდა აარიდოთ თავი ამ საშიშ გველს, მათ ასევე აქვთ შხამსაწინააღმდეგო საშუალება.

ვაშლოვანის ნაკრძალი მოიცავს სამ ტერიტორიას: ალაზნის ჭაღას, არწივის ხეობასა და ტახტი-თეფეს. არწივის ხეობა მდებარეობს დედოფლისწყაროს ჩრდილოეთით, ტახტი-თეფე – მთავარი დაცული სტეპებიდან დასავლეთით, დაახლოებით 30 კმ-ის დაშორებით, მდინარე იორისა და დაღის წყალსაცავიდან კი სამხრეთით.

ვაშლოვანი საუკეთესო ადგილია ჯომარდობისთვის.


აქ მრავალი საფეხმავლო მარშრუტია: დათვის ხევი ან არწივის ხეობა, ორივე მათგანი დაახლოებით 5 კმ სიგრძისაა. თქვენ ასევე შეგიძლიათ იმგზავროთ ცხენით პანტიშარასა და მიჯნის-ყურეში.

ღამის გათევა შეგიძლიათ რეინჯერთა ბუნგალოებში ან კარავში. ადმინისტრაციულ ცენტრში შესაძლებელია სამოგზაურო აღჭურვილობის დაქირავება, კარვის, საძილე ტომრისა და სხვათა. თან იქონიეთ სასმელი წყალი და პროდუქტები. იმოგზაურეთ გამოცდილ გიდთან ან რეინჯერთან ერთად.

ლაგოდების დაცული ტერიტორია საქართველოს უკიდურეს ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილშია, აზერბაიჯანის საზღვართან. აქ მოხვედრა შეგიძლიათ სიღნაღიდან, დედოფლისწყაროდან ან თბილისიდან (მიკროავტობუსი გადის ისნის ავტოსადგურიდან). ნაკრძალი XIX საუკუნეში დაარსა პოლონელმა ნატურალისტმა, ლუდვიკ მლოკოსევიჩმა. აქ არსებული ფლორის 121 სახეობა მხოლოდ კავკასიაში გვხვდება, ხოლო 9 საქართველოს ენდემია. ეს იყო საქართველოში პირველი, ოფიციალური დაცული ტერიტორია. აქ ბინადრობს აღმოსავლეთკავკასიური ჯიხვი, კავკასიური შურთხი, არჩვი, ირემი, შველი, ღორი, მურა და შავი დათვი, მგელი, მელია, ფოცხვერი და ფრინველის მრავალი სახეობა. ალპიურ ზონაში კი, მეტეოსადგურთან, უიშვიათესი პეპლების ნახვა შესაძლებელი.

დაცულ ტერიტორიებზე რამდენიმე საფეხმავლო და საცხენოსნო ბილიკია: ლაგოდების ჩანჩქერი (8 კმ.), გურგენიანის ჩანჩქერი (9 კმ.), მაჭის ციხე (5კმ.), შავი კლდეების ტბა (28 კმ.) და სხვა.

დაცულ ტერიტორიაზე ღამის გათევა შესაძლებელია ადმინისტრაციის შენობაში (პარკის შესასვლელთან) ან კარავში, რომლისთვისაც



ლაგოდების ჩანჩქერი

გამოყოფილია ადგილები. ადმინისტრაციიდან შეგიძლიათ აიყვანოთ გიდი-რეინჯერი, ასევე იქიროთ ცხენები და სამთო ალჭურვილობა. ისინი უფასოდ გასცემენ რუკებს, თუმცა გირჩევთ თბილისში შეიძინოთ ტოპოგრაფიული რუკა. ქ. ლაგოდეხი, აღმაშენებლის №89, ტელ: (+995) 577 10 18 90 www.apa.gov.ge

თუშეთის ეროვნული პარკი. საქართველოში თუშეთის გზა ერთ-ერთი ურთულესია. იქ მხოლოდ მაღალი გამავლობის „ჯიპით“ თუ გადაადგილდებით. ავტომობილის დაქირავება შესაძლებელია ალვანსა და ფშავში. ალვანში არის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციული ოფისი, სადაც შეგიძლიათ მიიღოთ ინფორმაცია და უფასო რუკები. ალვანიდან ომალომდე სულ 70 კილომეტრია, მაგრამ მგზავრობას ხუთი საათი სჭირდება. თქვენ გაივლით „აბანოს“ უღელტეხილს, რომელიც ზღვის დონიდან 2 926 მეტრზეა (უღელტეხილის ქვევით, რამდენიმე კილომეტრის დაშორებით მოდის გოგირდოვანი წყალი, ამიტომაც უწოდებენ მას „აბანოს“). მგზავრობა შესაძლებელია ზაფხულის თვეებში, მაისიდან ოქტომბრამდე. ზამთარსა და ადრე გაზაფხულზე თუშეთი მოწყვეტილია დანარჩენ სამყაროს.

სტუმართა სახლის შენობა მდებარეობს ომალოში. აქ შეგიძლიათ საჭმლის ყიდვა და ლამის გათევა. აქვე წარმოდგენილია გამოფენა თუშური კულტურის შესახებ.

ეროვნული პარკის ადმინისტრაცია – ტელ: (+995) 577 101892 www.tushetinationalpark.ge; www.apa.gov.ge; e-mail: info@apa.gov.ge; iatchvritidze@yahoo.com

თუშეთი საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე მაღალმთიანი რეგიონია. აქ კავკასიის მთების შედარებით ფართო და რბილი ფერდობებია, რამაც ასე მაღალ ადგილებში ხალხს დასახლების შესაძლებლობა მისცა. სოფლები მდებარეობს ზღვის დონიდან 2000 და მეტ სიმაღლეზე.



თუშეთის პანორამა ომალოსთან ახლოს



სოფელი დართლო

აქ თქვენ შენიშნავთ შუა საუკუნეების ციხე-კოშკებს, რომლებიც აშენებულია ქვებისგან. ასეთი ნაგებობები დამახასიათებელია თუშეთისა და კავკასიის მთელი რეგიონისათვის. მათ შორის ყველაზე დიდია: ომალოს კომპლექსი რამდენიმე კოშკით (უწოდებენ კესელოს), შენაქო, დართლო, ვერხოვანი და სხვები. ბოლო წლებში ბევრი ისტორიული კოშკი აღადგინეს და შიგნით კომფორტული სასტუმროები განთავსებული.

ომალო:

ეთნოგრაფ ნუგზარ იდოიძის სასტუმრო, „თუშური კოშკი“

ტელ: (+995) 599 272265

დართლო:

ბესო ელანიძე, ჰოსტელი „სამციხე“, e-mail: elanidze@posta.ge

ტელ: (+995) 599 118993

მარიკა ოთიურაძე, ჰოსტელი „დართლო“, www.dartlo.ge, info@dartlo.ge ტელ: (+995) 598 246405

ჭეშო: ეკატერინე აბალოძე, ტელ: (+995) 591 257402

დიკლო: მაია ოთარაძე, ტელ: (+995) 599 778978

შენაქო: იროდი ბუქვაძე, ტელ: (+995) 595 543455

ილიურთა: ალექო ბახთურიძე, ტელ: (+995) 599 355150 ან 555 261796

ვერხოვანი: ჰოსტელი „ლამათა“ ანზორ კრითიუილი (+995) 599 775543



- გთავაზობთ რამდენიმე მარშრუტს თუშეთის ტერიტორიაზე:
1. წოვათას ხეობა, წრიული მარშრუტი 65 კმ. [ომალო-დოჩუ-ვერხოვანი-ჩემო-დართლო-ომალო]
 2. თუშეთ-ხევსურეთის გზა აწუნთას უღელტეხილის გავლით, 65-85 კმ. ომალო-დართლო-ტეშო-ფარსმა-გირევი-ტონთიო-აწუნთას უღელტეხილი (3519 მ.)-მუცო-შატილი. ამ მარშრუტით მოგზაურობისას თან იქონიეთ პასპორტი, რადგან გზა გაივლის საზღვართან, სადაც სასაზღვრო პოლიცია შეგამოწმებთ.
 3. თუშეთი-ხევსურეთი, ბორბალოს მთის გავლით, დაახლოებით 90 კმ. ომალო-ვერხოვანი-უღელტეხილი „ბორბალო“ (3294 მ.)-ანდაკის უღელტეხილი (2887 მ.)-მუცო-შატილი. ასევე შესაძლებელია ხევსურეთის ნაცვლად გაემართოთ ანდაკის უღელტეხილიდან სამხრეთით და ჩახვიდეთ ფშავში.
 4. წრიული მარშრუტი, ომალო-შენაქო-დიკლო-ომალო (25 კმ).

საქართველოს სამხედრო გზა – ისტორიული ხევი

თბილისიდან ჩრდილოეთით, ჯვრის უღელტეხილის (2379 მ.) გავლით გადის სამხრეთ და ჩრდილოეთ კავკასიის მთავარი მაკავშირებელი გზა, საქართველოს სამხედრო გზატკეცილი. რუსეთის საზღვართან ახლოს, ყაზბეგის მთის (5033 მ.) ძირში მდებარეობს დაბა სტეფანწმინდა (ყოფილი ყაზბეგი). ის ერთ-ერთი პოპულარული ადგილია საქართველოში ჩამოსულ ტურისტთა შორის.

საქართველოს სამხედრო გზაზე ყველაზე მნიშვნელოვანი ძეგლებია:

წილკანის საკათედრო ტაძარი – სოფელ ნატახტარის დასავლეთით, მთავარი გზიდან რამდენიმე კილომეტრის დაშორებით. ტაძარი აიგო V საუკუნეში. საეპისკოპოსო გაიზარდა VI ს-ში, ერთ-ერთი ასურელი მამის, ისეს მოღვაწეობისას, რომელიც მოგვიანებით წილკანის ეპისკოპოსი გახდა.

შუა საუკუნეებში საეპისკოპოსო გაძლიერდა და გამდიდრდა. იგი მოიცავდა 40 სოფელს და მიწის დიდ ნაკვეთებს. 1811 წელს ის რუსებმა გააუქმეს და ქონება ჩამოართვეს. მისი განახლება მხოლოდ 1991 წლის შემდეგ მოხერხდა.

წილკანს თუ გასცდებით, აღმოჩნდებით ქსნის ხეობაში, **ძაღლისში**. აქ არის ქალაქის ნაშთები: ანტიკური პერიოდის დიონისეს ტაძარი, III საუკუნის ქრისტიანული ეკლესია, მეფეთა საბაფხულო რეზიდენცია, არისტოკრატების უბანი, მოზაიკით მორთული აბანო და სხვა.

სამხედრო გზით უკან დაბრუნებისას მდინარე არაგვის გას-
წვრივ, თბილისიდან ჩრდილოეთით, 65 კმ-ს დაშორებით დგას
XVI ს-ის არაგვის ერისთავის ციხესიმაგრე ანანური. აქ ასევე
არის XVII ს-ის ეკლესიები, სამრეკლო, ციტადელი და აბანო.
ორნამენტებით შემკული კედლები ერთ დროს გადაუფარავთ
ფრესკებით. საუბედუროდ XIX ს-ში რუსებმა გადაათეთრეს კედ-
ლები და დღეისათვის მხატვრობის მხოლოდ მცირე ნაწილია
აღდგენილი.

ციხის ქვევით თქვენ დაინახავთ ჟინვალის წყალსაცავს მის-
თვის დამახასიათებელი ლურჯი ფერის წყლით. ციხის ახლოს
არის სასტუმრო, რესტორნები და ჯიხურები. მთავარ გზაზე თქვენ
შეგიძლიათ დაისვენოთ და მიირთვათ ფასანაურში, რომელიც
ანანურიდან 20 კმ-შია.

ფასანური:

„ბაღი-რესტორანი“ – ტელ: (+995) 577 791684 ან 599 908111

სასტუმრო „ფასანური“ – ტელ: (+995) 568 13 02 02

ecolejordanai@yahoo.com; www.welcome.ge/pasanauri

სოფელ მლეთასთან, ქსნისა და არაგვის ხეობების გამოყოფ
მთაზე, XIII საუკუნის „ლომისას წმინდა გიორგის“ ბაზილიკაა.
გიორგობის დღესასწაულზე აქ უამრავი მთიელი იყრის თავს
რელიგიურ რიტუალში მონაწილეობის მისაღებად და ღამის
გასათევად. ლომისას შესახებ მრავალი ლეგენდაა. ადგილობ-
რიკებისთვის ის მთელ რეგიონში ერთ-ერთი ყველაზე წმინდა
სალოცავია.

კლდოვანი სერპანტინის ავლის შემდეგ დაბა გუდაურია, სა-
ქართველოს ერთ-ერთი საუკეთესო სამთო-სათხილამურო
კურორტი, რომელიც ზღვის დონიდან 2200 მ-ზე მდებარეობს.
მოქმედ საბაგიროებს 2000-დან 3270 მეტრ სიმაღლეზე აჰყავთ
მსურველები. აქ სიამოვნების მიღება შეუძლია დამწყებ და გამოც-
დილ მოთხილამურეებს. ექსტრემალური სპორტის მოყვარულებს
შეუძლიათ ისიამოვნონ „პარაგლაიდინგით“ და „ჰელისკით“.

პანორამა ანანურის ციხიდან



გუდაურში შესანიშნავი სასტუმროები და რესტორნებია.

სასტუმროები:

“Ski House Panorama” – ტელ: (+995) 599 900800;
skihouse-panorama.com, e-mail: info@skihouse-panorama.com

„გუდაური“ – (+995) 599 554408 www.hotelgudauri.com,
reservation@hotelgudauri.com

უფრო მეტი ინფორმაცია გუდაურის შესახებ მიიღეთ ვებგვერდიდან, www.gudauri.info.

ჯვრის უღელტეხილის (2379 მ.) გავლის შემდეგ, რომელიც კავკასიონის მთავარი გამყოფი ქედია, გზა ქვევით მიემართება. ეს ადგილი მდიდარია მინერალური წყაროებით, რომლებიც უხვად გადმოედინება გზის პირებზე. აქედან იწყება ხევის რეგიონი.

სოფელ ალმაზიანთან თუ მარცხნივ გადაუხვევთ და გაუყვევით მდინარე თერგს, აღმოჩნდებით თრუსოს ხეობასთან, რომელიც ერთ-ერთი ულამაზესი სანახაობაა. აქ არის ჩამოქცეული ციხე-კოშკები, წარმართული სალოცავები, ქრისტიანული ჯვრები, შუა საუკუნეების აკლდამები. 2000 მ-ზე მდებარე მყინვარები, რომლებიც ზაფხულშიც არ დნება. აქ ცივი, თბილი და ცხელი მინერალური წყლების მთელი მდინარეები, ტბები და გეიზერებია. ხეობა თითქმის ყველა მაცხოვრებელმა დატოვა, ასე რომ იქ ღამის გასათევი არ არის. რეგიონს დასავლეთით ესაზღვრება ე.წ. სამხრეთ ოსეთის ოკუპირებული ტერიტორია, ამიტომ აქ შეგამოწმებენ ქართველი პოლიციელები.

ხევის ხეობაში ყველაზე დიდი დასახლება არის სტეფანწმინდა (ყოფილი ყაზბეგი). ის სამთო ტურიზმის ცენტრად იქცა, რადგან ყაზბეგის მთასთან ახლოსაა. აქ არის ალპინიზმის მუზეუმი, მწერალ ალექსანდრე ყაზბეგის სახლ-მუზეუმი, სასტუმროები და რესტორნები. ქალაქის ცენტრთან ახლოს არის “Mountain House“, სადაც შეგიძლიათ დაიქირაოთ სამთო ალტურვილობა ან იყიდოთ რუკები.

ადგილობრივი მომსახურების შესახებ დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ www.kazbegi.org (e-mail: info@kazbegi.org).

ღამის გასათევი სტეფანწმინდაში:

სასტუმრო „სტეფანწმინდა“, ტელ: (+995) 599 182296

ქეთინო ფიცხელაური, ტელ: (+995) 210996

ციცია ფიცხელაური, ტელ: (+995) 599704739

E-mail: ciciaqatsashvili@yahoo.com

ლევან ფიცხელაური (საუბრობს რუსულად, ინგლისურად, გერმანულად), ტელ: (+995) 595411977

რეზო ფიცხელაური (საუბრობს რუსულად, გერმანულად), ტელ: (+995) 599281962

მურმან ქუშაშვილი (საუბრობს რუსულად და გერმანულად) ტელ: (+995) 555 613542

გოჩა ფიცხელაური (საუბრობს რუსულად, ინგლისურად) ტელ: (+995) 598 234580

გერგეტი:


ნაზი ჩქარეული, ტელ: (+995) 598 398274

ნაზი სუხაშვილი, ტელ: (+995) 598 382700

მარშრუტები სტეფანწმინდის გარშემო:

1. სტეფანწმინდა-გერგეტი-გერგეტის სამება (7 კმ.).

XIV ს-ის უნიკალური ტაძარი გერგეტის სამება ზღვის დონიდან 2170 მ-ის სიმაღლეზე მდებარეობს. ის ზომით უდიდესი ტაძარია მთელ რეგიონში. შემორჩენილი წარწერიდან ვიგებთ, რომ მონღოლებთან ბრძოლაში გადარჩენილ დიდებულს ოჯახიანად მთისთვის შეუფარებია თავი და მადლობის ნიშნად ღმერთისთვის მთელი თავისი ქონება შეუწირავს, ტაძარიც ამ თანხით აშენებულა. აქ დიდი ხნის მანძილზე ინახებოდა წმინდა ნინოს ჯვარი და სხვა უამრავი საეკლესიო ძვირფასეულობა, მათი უმეტესი ნაწილი XIX საუკუნეში რუსებმა გაიტანეს და დღეისათვის დაკარგულია. ეს ადგილი საქართველოს სიმბოლოდაა ქცეული, მისი სილამაზისა და განსაკუთრებული არქიტექტურის გამო. იქ მოსახვედრად უნდა გადახვიდეთ ხიდზე (სტეფანწმინდის ცენტრალურ სკვერთან ახლოს) და აუყვებთ სოფელ გერგეტს. აქედან რამდენიმე ბილიკი მიდის მონასტრისკენ. მონასტერთან არის მინდორი, სადაც შეგიძლიათ გაშალოთ კარავი და შეისვენოთ, სანამ გაემართებით მეტეოსადგურისა და ყაზბეგისკენ.



ყაზბეგის მთა და წმინდა სამების ეკლესია

2. სტეფანწმინდა-გერგეთი-ფანშეთის ვეძის წყლები (3 კმ.)

ყაზბეგში თუ გადახვალთ ხიდზე, აღმოჩნდებით ფანშეთში, სადაც „საბეროებად“ წოდებული ბუნებრივი გამოქვაბულებია. აქვეა სამკურნალო – მინერალური „ვეძის“ წყაროები. ერთ-ერთ ვეძაზე კი საცურაო აუზიცაა მოწყობილი.

3. სტეფანწმინდა-გერგეთის სამება – სადგური (3653 მ.) – ყაზბეგი (5033). საფეხმავლო 2 დღე, 18 კმ.

წმინდა სამების ტაძრიდან დასავლეთით თუ აუყვებით ბილიკს, რამდენიმე კილომეტრის შემდეგ აღმოჩნდებით მწვერვალზე, საიდანაც დაინახავთ მყინვარს. დაეშვით ქედიდან და გადაკვეთეთ ნაკადული, რის შემდეგაც მიხვალთ მორენამდე (ნატეხი ქანების დაუხარისხებელი გროვა, რომელიც მყინვარიდან ილექება). გადაიარეთ მორენა ან მარცხნიდან აუარეთ და გახვალთ ვაკე ადგილას. აქედან მყინვარის ზემოთ, მარჯვნივ გამოჩნდება მეტეოსადგური. მყინვარის გადასალახად მარცხნიდან იპოვებთ უსაფრთხო გზა, აიარეთ 50-100 მეტრი და მიხვალთ მეტეოსადგურამდე.

სადგურში არ არის გათბობა, მაგრამ მაინც საუკეთესო ადგილია დასაბინავებლად. ზემოთ V ს-ის ბეთლემის გამოქვაბული და IX ს-ის ეკლესიის ნანგრევებია. აქ ბერები დღემდე დადიან მოსალოცად. ის ზღვის დონიდან 4200 მეტრ სიმაღლეზეა.

4. სტეფანწმინდა-სნო-ჯუთა-ულელტეხილი ჭაუხი (30 კმ.)

ყაზბეგიდან რამდენიმე კილომეტრით უკან დაბრუნდით სამხედრო გზაზე მანამ, სანამ მიაღწევთ სნოსკენ მიმავალ გზას. სოფელ სნოში არის IX ს-ის ეკლესია და შთამბეჭდავი კოშკი. სნოდან ჯუთამდე არის 15 კილომეტრი. ჯუთაში არის ლამის გასათევი და აქ იხილავთ ხევსურეთის რეგიონისკენ გზების მაჩვენებლებს. უფრო მეტ ინფორმაციას იხილავთ ამ წიგნის IV და V თავში. ჯუთადან, ლურჯი გზით, მხოლოდ 10 კილომეტრია ჭაუხის ულელტეხილამდე და ათიც სოფელ როშკამდე. თქვენ ასევე შეგიძლიათ აირჩიოთ სხვა, წითელი გზა და გაემართოთ სოფელ არხოტისკენ.

5. სტეფანწმინდა – გველეთი (8 კმ.)

სამხედრო გზის გაყოლებაზე რამდენიმე კილომეტრში, მარცხნივ არის სოფელი გველეთი. აქ იხილავთ კლდეზე ცოცვის მოყვარულთა ბანაკსა და შთამბეჭდავ ჩანჩქერს.

6. სტეფანწმინდა-დარიალის ხეობა

თუ სამხედრო გზაზე სვლას განაგრძობთ ჩრდილოეთით, აღმოჩნდებით დარიალის ხეობასთან, რომელიც ესაზღვრება რუსეთს. აქ არის უძველესი ციხის ნანგრევები, ადგილობრივები მას თამარის ციხეს უწოდებენ. ეს ადგილი ცნობილია მათთვის ვინც აკვირდება გადამფრენ ფრინველებს (მათი გზა აქ, კავკასიონის მთავარ ქედზე გადის). თუ გსურთ დააკვირდეთ ფრინველებს, დაუკავშირდით: ქართული საიდუმლო: <http://www.georgiaadventure.entro.pl/home-1-sen.html> **adventure@georgianmystery.com** +995 555 68 302

„Ecotours“: <http://www.ecotours.ge/> info@ecotours.ge +995 599 261156



ინფორმაცია ტრანსპორტის შესახებ:

ევროკავშირის მოქალაქეებს საქართველოს საზღვრის გადმოლახვა ვიზისა და პასპორტის გარეშეც შეუძლიათ. მათ საქართველოში მხოლოდ თავიანთი ქვეყნის მოქალაქის პირადობის მოწმობითაც შეიძლება იმოგზაურონ (ეს არ ეხება ტრანზიტულ მგზავრობას, მაგ. უკრაინის ან თურქეთის გავლით).

ქართული ვალუტა – ლარი (GEL) ნაწილობრივ დოლარზეა დამოკიდებული, მისი ღირებულება დაახლოებით 0,6 დოლარის ფარგლებში მერყეობს. საქართველოში სამოგზაუროდ უკეთესია თან იქონიოთ ნაღდი ფული ევროში ან დოლარში. საქართველოში ჩასვლის შემდეგ ადგილობრივ გადამცვლელ პუნქტებში გადავცვალოთ ლარზე, დანაკარგი ასეთი გადაცვლის შედეგად 1%-ზე ნაკლებია. ჩამოსულ ტურისტებს აგრეთვე

უპრობლემოდ შეუძლიათ აიღონ თანხა ბანკომატიდან, ისინი მრავლადაა საქართველოს სხვადასხვა ქალაქში. ამ შემთხვევაში კურსი ოდნავ დაბალი იქნება, თუმცა დანაკარგი დიდად არ გაიზრდება. ბანკომატი კარგი არჩევანია, თუ არ გსურთ, რომ დიდი რაოდენობით ნაღდი ფული ატაროთ თან.

საქართველოში ჩამოსული სტუმრების უმრავლესობა თავის მოგზაურობას თბილისის აეროპორტიდან იწყებს, რომელიც თბილისის ცენტრიდან დაახლოებით 15 კილომეტრის დაშორებითაა, ქალაქის აღმოსავლეთით. აეროპორტში არის ვალუტის გადამცვლელი პუნქტი და ბანკომატი, გაცვლის კურსი მეტ-ნაკლებად მისაღებია. ასე რომ, ნებისმიერი რაოდენობით ლარის შოვნის პრობლემა არ არსებობს (მაგალითად ტაქსით გასამგზავრებული თანხის).

აეროპორტიდან თბილისის ცენტრამდე მიღწევა რამდენიმე საშუალებითაა შესაძლებელი:

მატარებელი დადის ქალაქის მთავარ სარკინიგზო სადგურსა და აეროპორტს შორის შემდეგ საათებში: 4.00, 8.45, 13.40 და 18.05.

ინფორმაციები საქართველოში სარკინიგზო მიმოსვლის შესახებ ხელმისაწვდომია საიტზე: www.railway.ge -> passenger operations -> traffic schedule -> traffic general schedule.

აეროპორტიდან ქალაქის მიმართულებით აგრეთვე მოძრაობს მინიავტობუსი № 37, რეისები სრულდება დილის 7.00 საათიდან. ეს ავტობუსი დაახლოებით 1 საათში მიდის ქალაქ თბილისის მთავარ სარკინიგზო სადგურამდე (სადგურის მოედნამდე), იგი აგრეთვე გაივლის ქალაქის მთავარ ქუჩას – რუსთაველის პროსპექტს. ტაქსი აეროპორტიდან ქალაქის ცენტრამდე დღის საათებში დაახლოებით 15-20 ლარი ღირს, ღამის საათებში – 20-30 ლარი. საქართველოში ტაქსი შედარებით იაფია.

უმთავრესი საავტობუსო მარშრუტები:

1. მთაწმინდისაკენ – № 90 (პუშკინის ან ლეონიძის ქუჩიდან) და №124 (მეტრო რუსთაველის მიმდებარე ტერიტორიიდან);
2. სადგურის მოედნიდან კუს ტბამდე – № 66;
3. სადგურის მოედნიდან ლისის ტბამდე – № 29;
4. ორთაჭალის სადგურამდე – №№ 55, 55, 71 (ბარათაშვილის ქუჩიდან) ან № 19 (მეტრო “ისნიდან” ან “სამგორიდან”).
5. კოჯორამდე – რომელიც ზემოთ აღვწერეთ – მიდის ავტობუსი № 10 (ლეონიძის ქუჩიდან).

თბილისის საავტობუსო კომუნიკაციასთან დაკავშირებული ზუსტი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ საიტზე: transiten.ttt.com.ge.

თბილისში გადაადგილების ერთ-ერთი ყველაზე იაფი და პრაქტიკული საშუალებაა მეტრო. მეტროს ორი ხაზი ქალაქის

მნიშვნელოვანი პუნქტების დიდ ნაწილს ერთმანეთთან აკავშირებს.

საზი 1: „ახმეტელის თეატრი“ – „გურამიშვილი“ – „ღრმაღელე“ – „დიდუბე“ (ავტოსადგური) – „გოცირიძე“ – „ნაძალადევი“ – „სადგურის მოედანი“ (მთავარი რკინიგზის სადგური, სამარშრუტო მიკროავტობუსების სადგური, აგრარული ბაზარი) – „მარჯანიშვილი“ – „რუსთაველი“ – „თავისუფლების მოედანი“ („Liberty Square“) – „ავლაბარი“ – „300 არაგველი“ – „ისანი“ (სამარშრუტო მიკროავტობუსების სადგური) – „სამგორი“ (სამარშრუტო მიკროავტობუსების სადგური) – „ვარკეთილი“.

საზი 2: „სადგურის მოედანი“ (სადგურის მოედანი) – „წერეთელი“ – „ტექნიკური უნივერსიტეტი“ – „სამედიცინო უნივერსიტეტი“ – „დელოსი“.

მეტროს სადგურებში შეგიძლიათ შეიძინოთ პლასტიკური სამგზავრო ბარათი (ღირს 2 ლარი, თუ ქვითარს შეინახავთ შეგიძლიათ პლასტიკური სამგზავრო ბარათი 1 თვის ვადის გასვლამდე, ნებისმიერ მეტროს სადგურში განლაგებულ სარეალაზაციო პუნქტში უკან ჩააბაროთ და ბარათში გადახდილი თანხა დაიბრუნოთ). პლასტიკური სამგზავრო ბარათი აუცილებელია მეტროში მგზავრობისათვის, თუმცა მისი გამოყენება საქალაქო ავტობუსებსა და მიკროავტობუსებშიც შეიძლება. ბილეთის ფასი საქალაქო ტრანსპორტზე (მეტრო, ავტობუსი, მიკროავტობუსი) 0,5-0,8 GEL-ს შეადგენს.

თბილისში განლაგებულია რამდენიმე ავტოსადგური, რომლებიდანაც მიკროავტობუსით ან ავტობუსით საქართველოს სხვადასხვა რეგიონში შეძლებთ გამგზავრებას.

დიდუბის ავტოსადგურიდან ავტობუსები, ძირითადად, თბილისის დასავლეთითა და ჩრდილოეთით განლაგებული რეგიონებისა და ქალაქებისაკენ დადიან – ბათუმში, ქუთაისში, გორში, ბორჯომში, დუშეთში. აქედან შეიძლება გაემგზავროთ მოხსენებულ ადგილებში: ფშავ-ხევსურეთში (ბარისასოში, შუაფხოში, შატილში), ყაზბეგის რაიონსა (დაბა სტეფანწმინდა) და მცხეთაში.

ცენტრალური რკინიგზის სადგურის მიმდებარე მოედანზე განლაგებული ავტოსადგურიდან ბევრი სხვა პუნქტის გარდა, აგრეთვე შეგიძლიათ მოხვდეთ მანგლისსა და წალკაში.

ორთაჭალის ავტოსადგური ქალაქის სამხრეთ ნაწილში მდებარეობს. ის ერთადერთი ავტოსადგურია, რომლის ახლოს მეტრო სადგური არაა. აქედან ავტობუსები დადიან თბილისიდან სამხრეთისა და აღმოსავლეთის მიმართულებით, მაგალითად – თელავში, სიღნაღში, დმანისსა და ა. შ.

თბილისში აგრეთვე ფუნქციონირებს ორი მცირე ავტოსადგური მეტრო „ისნისა“ (მაგ. ლავოდეხის მიმართულება) და მეტრო „სამგორის“ მიდამოებში.

მიკროავტობუსებით მგზავრობა (ე.წ. „მარშუტკა“) მთლად კომფორტული არაა მაგრამ სამაგიეროდ გადაადგილების სწრაფი და იაფი საშუალებაა – 100 კიომეტრი მანძილის გავლა დაახლოებით 5 ლარამდე ღირს.

იმ ტურისტებს, რომლებიც დამოუკიდებლად მოგზაურობენ ვურჩევთ ისარგებლონ რუკებით:

<http://www.geoland.ge/en/home> info@geoland.ge

ტელეგრაფის შესახვევი № 3 (მშრალ ხიდთან და საჯარო რეესტრთან ახლოს)


ტელ: (+995)322922553

„ჯეოლანდი“ გთავაზობთ მრავალ ბეჭდურ რუკას, აგრეთვე GPS-სანავიგაციო ინსტრუმენტებისათვის გამოსადეგ რუკებს, მათ შორის მთიანი ტერიტორიების დეტალურ, ტოპოგრაფიულ რუკებს, რომლებიც აუცილებელია მთაში გადაადგილებისას (მაგ. თუშეთში ან ლაგოდეხში).

სამედიცინო პრობლემების შემთხვევაში გირჩევთ ისარგებლოთ „ავერსის“ აფთიაქებისა და კლინიკების ქსელით:

www.aversi.ge (+995)3222394853


რუკები



თბილისის ცენტრი


1. სიონის ტაძარი
2. მეტეხის ეკლესია
3. ანჩისხატის ბაზილიკა
4. მთაწმინდა – მთის თავზე გასართობი პარკი, მთის ძირას პანთეონი
5. რიყის პარკი – პრეზიდენტის სასახლესთან ახლოს არის ნარიყალასთან მაკავშირებელი საბაგირო გზა
6. აბანოთუბანი – ბოტანიკური ბაღის შესასვლელთან ახლოს
7. ბეთლემის ეკლესია, ზოროასტრული ტაძარი ათეშ-გაჰ
8. წმ. სამების საკათედრო ტაძარი
9. გორგასლის მოედანი – არაერთი რესტორანია, მაგ: „მირზაანი“
10. თავისუფლების მოედანი: წმ. გიორგის ძეგლი, ეროვნული მუზეუმი
11. ნარიყალას ციხე. იქვე ქართლის დედა
12. რესტორანი „მირზაანი“ უზნაძის ქუჩაზე
13. ლესელიძის ქუჩა: რესტორანი „მაჭახელა“, დიდი სინაგოგა
14. ჩეხოვის ქუჩა, სასტუმრო „კოპალა“
15. ნინოშვილის ქუჩა, ირინა ჯაფარიძის ჰოსტელი
16. მთავარი რკინიგზის სადგური
17. მშრალი ხიდი – ძველი ნივთების ბაზრობა, კარტოგრაფიული კომპანია

M – მეტრო სადგურები



თბილისის შემოგარენი, საქართველოს სამხედრო გზა

1. მცხეთა და მისი შემოგარენი - სვეტიცხოველი, სამთავროს მონასტერი, ბებრისციხე, ჯვრის მონასტერი და არმაზციხე-ბაგინეთის კომპლექსი.
2. შიომღვიმის მონასტერი
3. გედაზენის მონასტერი
4. ბირთვისის ციხე
5. მანგლისის სიონი
6. გოხნარი
7. დიდგორი
8. ბეთანია
9. კოჯრის ციხე
10. კოლაგირის ციხესიმაგრე
11. ბოლნისის სიონი
12. წულრულაშენის ეკლესია
13. ქვეშის ციხე
14. კაზრეთის ოქროს საბადო
15. დმანისის მუზეუმი
16. წილკანის ეკლესია, ძაღისის კომპლექსი
17. ანანურის ციხესიმაგრე
18. ლომისას ეკლესია
19. თრუსოს ხეობა
20. წმ. სამება (გერგეტის სამება)
21. ყაზბეგი, მეტეოსადგური
22. ჯუთა
23. დარიალის ხეობა



კახეთი

1. ნინოწმინდა
2. დავით გარეჯის მონასტერი
3. ბოდბის მონასტერი
4. ნეკრესი
5. გრემი
6. ალავერდის ტაძარი
7. იყალთოს აკადემია
8. წინანდალი – ჭავჭავაძეების მამული
9. უჯარმა
10. არწივის ხეობა, ხორნაბუჯის ციხე
11. ტახტი თეფე
12. სოფელი ომალო

ხევსურები



ხევისურეთი

აღმოსავლეთ კავკასიონზე, კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის სამხრეთ და ჩრდილოეთ კალთებზე, ცხოვრობენ ხევსურები – თავისებური ბედისა და ხასიათის მქონე ხალხი, რომელთა დრამატული ყოფა, უცნაური, ყველასგან განსხვავებული ტრადიციები მუდამ იყო მეცნიერთა კვლევის საგანი, მწერალთა და პოეტთა შთაგონების წყარო. სულ რაღაც სამოციოდე წლის წინ ხევსურეთში ჯერ კიდევ შეხვდებოდით შუა საუკუნეებიდან „გადმოსულ“ ანაქრონიზმს – ჯაჭვის პერანგში გამოწყობილ, ხმლით, ხანჯლითა და ფარით შეიარაღებულ მებრძოლებს. მართალია, ხევსურები ასე მხოლოდ სახეიმო შემთხვევებისთვის იცვამდნენ, მაგრამ შუა საუკუნეები აქ მართლაც დიდხანს გაგრძელდა. სულ ცოტა ხნის წინ, ერთი მოხუცი მიყვებოდა, 1901 წელს ორ ხევსურულ სოფელს, შატილსა და გუროს შორის მომხდარი ომის ამბავს. ათენგენობის დღესასწაულზე საძოვრის გამო ჩამოვარდნილი დავა ხელჩართულ შეტაკებაში გადაიზარდა, სადაც მრავალი დაიჭრა და შვიდი კაცი დაიღუპა. ამ ამბავს ათწლეულების მანძილზე გაგრძელებული შუღლი და სისხლის აღება მოჰყვა. იმ პირველ შეტაკებაში გუროელები უფრო დაზარალდნენ, – მითხრა მოხუცმა – შატილიონებს თოფებიც ჰქონდათ, გუროელებს კიდევ – მარტო ხმალ-ხანჯალით.

ხევსურეთი ძალიან თავისებური კუთხეა, მე მას კლდესა და კლდეს შორის გამომწყვდეულ პოეტების ქვეყანას ვუწოდებ. ხევსურებს უყვართ და კარგადაც გამოსდით ლექსის თხზვა. აქაური სიმღერა არ გამოირჩევა მუსიკალობით და არც სჭირდება, რადგან მასში მთავარი პოეზიაა. ხევსური ფანდურს ან ბალალაიკას აიღებს, მეტი დამაჯერებლობისთვის ხმას დაიბოხებს, სიმებს ჩამოკრავს და იმღერებს სახელოვანი ან უსახელო ხევსური პოეტის, ანდაც სულაც საკუთარ ლექსს, რომელიც შეიძლება შედევრიც აღმოჩნდეს. სწორედ საუკუნეების მანძილზე ხალხური ლექსები და თაობიდან თაობას გადაცემული ზეპირი ამბები არის, თითქმის, ერთადერთი წყარო აქაური ისტორიისა, რადგან ხევსურეთში მატიაზე არ იწერებოდა. ასე, ზეპირად ჩვენამდე მოვიდა მრავალი ბრძოლაში გამოჩენილი გმირის ან იღბლიანი მონადირის სახელი, მათ თავს ან მთელ ხევსურეთს გადამხდაური უამრავი ამბავი, რომელთაც ზუსტი გეოგრაფია აქვთ, მაგრამ არ გააჩნიათ ქრონოლოგია. დიდი ხნის წინ – გეტყვის ხევსური, და ეს დიდი ხანი შეიძლება იყოს ერთი, ორი ან სამი საუკუნე. თარიღებს თითქოს დაკარგვია მნიშვნელობა და ეს თავისებური ხიბლია ამ უკვე მითად ქცეული ამბებისა.

ხევსურები ზოგჯერ მაინც ხვდებოდნენ ნაწერ ისტორიაში და, როგორც წესი, ერთი და იმავე მიზეზით, როდესაც ძნელბედობის ჟამს საქართველოს ბარს ეკლინებოდნენ მსხნელად.



ხევისური ბალალაიკით

ასე მოხდა 1659 წელსაც, ხევისურების, თუშების და ფშავლების ლაშქარი მთიდან ჩამოშლილი ზვავივით დაატყდა თავს სპარსელებს და მათ მიერ ალაზნის ველზე ჩასახლებულ თურქ-მანებს. მათ ერთ დღე-ღამეში მთელი კახეთი გაწმინდეს დამპყრობლებისგან.

ისინი მართლაც საუკეთესო მებრძოლები იყვნენ – ხმლი-სა და ფარის ხმარებაში ბადალი არ ჰყავდათ. ყველაზე მეტად ხევისურები თავისუფლებას აფასებდნენ, არასოდეს ჰყოლიათ ფეოდალი და ბატონს თავიანთ სალოცავებს, ჯვარ-ხატებს უწოდებდნენ. ხევისურეთის უმნიშვნელოვანესი სალოცავი გუდანის ჯვარია, ხოლო ხევისურთა უმეტესობა – გუდანის ყმა.

აქაურ თქმულებებში შემორჩენილია მთაში ქართლ-კახეთის მეფის, ერეკლე მეორის სტუმრობების ამბები. მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის ამ მეომარ მეფეს ლაშქრობებში მუდამ თან ახლდნენ ხევისური მებრძოლები. მისდამი ხევისურთა მოწიწებას და სიყვარულს, მეფის პირადი სიმამაცისა და სიძველის გარდა, სხვა ახსნაც აქვს – ერეკლე მეფე გუდანის ჯვარის ძმობილი ყოფილა. ის თურმე მარტო შედიოდა ხატში (სადაც შესვლის უფლება მხოლოდ ხუცესებს – რელიგიური კულტის მსახურებს ჰქონდათ) და იქიდან გუდანის ჯვრის დანაბარები გამოჰქონდა. ეტყობა, მეფე კარგად სარგებლობდა ხევისურთა რწმენით და მთიელებს საკუთარ ნება-სურვილს ხატის სახელით ახვევდა თავს.

ხევისურეთში მითოსაგ ძალიან კონკრეტული გეოგრაფია აქვს. აქ და მეზობელ ფშავში მიგითითებენ ბოროტი არსებების – დევების და მათგან ადამიანთა გასათავისუფლებლად მიწაზე მოვლენილი ღვთაებების – ღვთისშვილების – ბრძოლის ველებს, მათ მიერ ბრძოლის დროს ნატყორცნ ლოდებს, მათი იარაღით ნაპობ კლდეებს. დედამიწაზე მძლეთანძლე მეომრების სახით მოვლენილი ღვთისშვილები ზეციური მნათობები, ვარსკვლავები არიან: იახსარი, კოპალა, პირქუში, ბერ-ბაადური, მათი უფროსი ძმა კვირია – ცისკრის ვარსკვლავი. მათი მიწიერი სამყოფელი ხევისურული და ფშაური ხატებია – მარტივი ფორმის სალოცავები, სადაც ყოველწლიურად იმართება სახალხო დღესასწაულები, სრულდება რიტუალები, რომლებიც წარმართობის და ქრისტიანობის უცნაურ სინთეზს წარმოადგენს. იხარშება

ლუდი, რომელიც ხევსურეთში ღვთიურ სასმელად მიიჩნევა და ღვთაებათა სადიდებლად დულს, იკვლება უამრავი ცხვარ-ძროხა. ხევსურები თავიანთ ხატებს წყალობას შესთხოვენ.

ეს კუთხე მართლაც სამოთხეა ეთნოგრაფებისა თუ ანთროპოლოგებისთვის. დღეს შეიძლება სრულიად გაუცნობიერებლად სრულდებოდეს რიტუალები, რომლებიც არქაულია და სათავეს წინაქრისტიანულ სამყაროდან იღებს. გარდაცვლილი მამაკაცის პატივსაცემად ხევსურები ყოველთვის აწყობენ დოლს, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე გულისშემძვრელი სანახაობაა, რაც კი ოდესმე მინახავს. ქალების გოდება, ციცაბო გზებზე საგანგებოდ მოკაზმული უსნაგორო ცხენების ჭენება, ბევრი სასმელი, ლხინი და მიცვალებულისადმი მიძღვნილი ვაჟკაცური შეჯიბრი, რომლის მსგავსი პირველად „ილიადაში“ ჰომეროსს აქვს აღწერილი. გახსოვთ, პატროკლეს დასაფლავება, როდესაც აქილეესი დოლს მართავს და გამარჯვებულებს უხვად აჯილდოვებს. ხევსურულ დოლში გარდაცვლილის ცხენიც მონაწილეობს. მას სულის ცხენს უწოდებენ. მიცვალებულის სული სააქაოს სტოვებს, რომ უკეთეს სამყაროში გადაინაცვლოს. იქ მას პირველები ბიძები – დედის ძმები – ეგებებიან და გაშლილ სუფრასთან მასპინძლობენ.

დღეს ხევსურეთი მოსახლეობისგან თითქმის დაცლილი კუთხეა. ეს ტრაგიკული და თითქოს შეუქცევადი პროცესია. მეოცე საუკუნის ორმოცდაათიან წლებში საბჭოთა მთავრობამ ხევსურები იძულებით გადმოსახლა ბარში. უფრო გვიან მათი ნაწილი სამშობლოში დაბრუნდა, მაგრამ მრავალი სოფელი უკვე მაშინ, სამუდამოდ იქცა ნასოფლარად. რაც მთავარია, ხევსურეთის სოფელი და იქაური მეურნეობა უკვე აღარ იყო თვითკმარი. აღარ დათესილა ხორბლეული – ხევსურთა დიდი ნაწილი სამუდამოდ დარჩა ბარში, ბევრმა კი სანახევროდ მომთაბარე ცხოვრების წესი აირჩია – საზაფხულოდ ოჯახებით და საქონლით მთაში ასვლა და საზამთროდ ბარში დაბრუნება. დღეს ხევსურეთში ხუთ-ექვსოჯახიანი დასახლება დიდ სოფლად ითვლება, ზოგიერთ სოფელში კი მხოლოდ თითო ოჯახი ან სულაც ერთი ჯიუტი ადამიანი ცხოვრობს, ათწლეულების მანძილზე რომ არ ტოვებს მამა-პაპისეულ ადგილს. ერთი ასეთი კაცი მიაბობდა: მთელი ზამთრის მანძილზე, საქონლის გარდა, ერთადერთ ცოცხალ არსებას მოვკარი თვალი – მელას, რო-



სალოცავი უკანაფშავში

მელმაც დაახლოებით ასიოდე ნაბიჯზე ჩემი სახლის თავზე გადაჭრა ფერდობი და იმის ნახვა ძალიან გამიხარდაო. ზამთარი ხევსურეთში ყველაზე დრამატული დროა – თეთრი მდუმარება, სიმაღლე და გრძელი ღამეები გარე სამყაროდან მოწყვეტილ სოფლებში ან ნასოფლარებში. და თუკი ხდება რამე უბედურება, მშველელი არსაიდან ჩანს – ხევსურეთის უმეტეს ნაწილში მობილური ტელეფონიც კი არ იჭერს.

ადრე გაზაფხულზე, სანამ მაღალი ბალახი ამოვა, კარგად მოჩანს ნასოფლარები, სახლების საძირკვლები. მაშინ ხედები, რამხელა ყოფილა ის დასახლებები, სადაც ზამთარში მხოლოდ ერთი-ორი სახლიდან თუ გამოდის კვამლი. შემთხვევითი არ არის, რომ ხევსურები მკვიდრ მოსახლე ოჯახს კვალშს (სხვანაირად კომლს) უწოდებენ.

ხევსურეთი ძალიან ღამაზია. ვიწრო, ციცაბო ხეობები, ალპური იალალები, აქაურებისთვის ყველაზე სანატრელი ნანადირევის – ჯიხვის საბრძანებელი მიუვალი კლდეები და მწვერვალები, მუდამ ჩრდილოეთისკენ მომხიარლი დეკით დაფარული ფერდობები და კავკასიონის უტყვი დარაჯებივით შემართული ხევსურული კომკები და ციხე-სოფლები: კისტანი, ლებაისკარი, მათილი, მუცო... ამ მშრალი წყობით ნაშენ, ფიქლით გადახურულ ძეგლებს უნახავთ მრავალი ომი და უბედურება. ასეთივე კომკები დგას უფრო ჩრდილოეთით – ხევსურთა ისტორიული მტრების, ჩეჩენების და ინგუშების მიწაზე. ამ ორ ხალხს ხევსურები კრებითი სახელით ქისტებად მოიხსენიებდნენ. ქისტების და ხევსურების ურთიერთობა დიდწილად სისხლით, ერთმანეთზე შურისძიებით და საქონლის დატაცებით იწერებოდა, მაგრამ ეს მთის მკაცრი კანონებით აღზრდილი, ერთნაირი ფასეულობათა



ხევსური ჯირითობისას



მუცოს კოშკი

სისტემის მქონე ორი ტომის ურთიერთობაცაა, რომელშიც ერთმანეთის პატივისცემასაც იმდენივე ადგილი ეკავა, რამდენიც მტრობასა და შუღლს.

ხევსურეთის მთავარი სიმდიდრე მაინც აქაური ხალხია, სტუმართმოყვარე, ამაყი ადამიანები, შვილებს სულ მცირე ასაკიდან როგორც დიდებს ისე ეპყრობიან და ბარში ჩასახლებულებიც საკუთარი მთის კანონების ერთგულნი რჩებიან. ამ საინტერესო ხალხის ბარში გადასახლების პროცესი დღესაც გრძელდება და შეუქცევად ხასიათს იღებს. ეს ეროვნული ტრაგედიაა. ხევსურების გარეშე ხევსურეთისგან მხოლოდ ლამაზი ადგილი დარჩება — მართალია, ძალიან ლამაზი, მაგრამ ცარიელი და უშინაარსო.

ხევსურების ისტორია

ზურაბ არაგვის ერისთავზე წერს ბესიკ ხარანაული:

*„ერთში კი ბედი აღმოვაჩნდა, როცა ისეთ ხალხს გადაეკიდე,
რომლებსაც ხრიოკი მიწის და პოეზიის მეტი არაფერი ებადა,
ამ ხალხმა დაგამარცხა, არ დავითმო თავისი მიწის ერთ
მტკაველიც, შევიძულა და უკვდავყო.
სევდამც მაგხედების, ზურაბო, დაგლევდამც სისხლის წყალია...“*

ხევსურები უძველესი დროიდან ქართლის მეფეებისგან გათავისუფლებული იყვნენ ყოველგვარი ბეგარისგან და მათ ერთ-ერთ მოვალეობას შეადგენდა სახელმწიფოს ჩრდილოეთ საზღვრის დაცვა და სამეფო ლაშქარში გასვლა. მეგრძოლი ბუნების ხევსურებს ქვეყნის მთიანი მხარე ეჭირათ, მისდევდნენ მიწათმოქმედებას და მესაქონლეობას, იცავდნენ ჩრდილოეთ

საზღვარს და ომიანობის ჟამს კარგად შეიარაღებული ჯარი გამოჰყავდათ. მათ მუდმივად სამამაცო საქმეებზე და ბრძოლაზე ეჭირათ თვალი, ოღონდ კი ომიანობის ხმისთვის ყური მოეკრათ, მიწას თავს მაინებებდნენ და იარაღს აიღებდნენ ხელში.



სოფელ ბლოს უკანასკნელი
მაცხოვრებელი

შინაური თუ გარეშე მტრისგან მუდმივი საფრთხე, თავმოწონება, საზღვრის სიახლოვე ხევსურებს აიძულებდათ უფრო ბევრითად ეზრუნათ საბრძოლო მზადყოფნაზე ვიდრე მეურნეობაზე. მათთვის განუყრელი იყო ფარ-ხმალი, ნებისმიერ სიტუაციაში მზად იყვნენ სალაშქროდ. ხევსურისთვის მიუღებელი იყო ყველაფერი რაც იარაღს, ომს, ნადირობას არ ეხებოდა. ასე რომ არ ყოფილიყო ხევსური სიცოცხლეს სიცოცხლედ არ მიიჩნევდა. პირადი იარაღი, ვაჟკაცობა, მეგობრობა და თავისუფლების სიყვარული იყო ლაშაით მისი არსებობისა, მისი პოეზია, ლხინი და ვნება. თავად ხევსურთა საცხოვრებელიც ძველ დროს კარგად განლაგებულ ციხე-კოშკებს წარმოადგენდა.

თვით ეთნონიმი-ხევსური და ტოპონიმი-ხევსურეთი წერილობით წყაროებში მხოლოდ მე-15 საუკუნიდან გვხვდება. ხევსურეთი ადრე შუა საუკუნეებიდან მოყოლებული ისტორიული ფხოვის შემადგენლობაში შედიოდა. ფხოვი წარმოადგენდა ქართველი (დღევანდელი ხევსურები, ფშავლები და თუშები), ვეინახური და დაღესტნური მთიელი ტომების გაერთიანებას. ამ გაერთიანებაში მთავარ ძალას, როგორც ჩანს ხევსურები წარმოადგენდნენ. თვით გაერთიანების სახელი — „ფხოვი“, ხევსურების ქისტური სახელწოდებიდან უნდა მომდინარეობდეს. ქისტები (ინგუშები) დღესაც, მხოლოდ, ხევსურებს უწოდებენ „ფხია“-ს ანდა „ფხი“-ს.

როდესაც რომაელმა სარდალმა პომპეუსი (ძვ.წ. I ს) მცხეთა გამოიარა და ჯარით არაგვის ხეობაში შევიდა, ფხოველების (ხევსურები და ფშავლები) მცირე რაზმმა მათ გზა შეუკრა. პომპეუსს გაუკვირდა მათი გამბედაობა, მიიწვია თავისთან, გამოჰკითხა ვინაობა, ვინ ხართ, მეფე გყავთ თუ არაო. ფხოველებმა უპასუხეს, რომ თვით მეფისგან არიან ისინი დაყენებული მეფის კარის მცველად. როგორ იომებდით რომ მომესია ჩემი ჯარი თქვენთვისო? — ჰკითხავდა პომპეუსი. მაშინ ფხოველებმა ამოიღეს მახვილები, იფარეს ფარები და აჩვენეს სანახაობა. პომპეუსი გაკვირვებული დარჩა მათი საომარი აღჭურვილობით, ოსტატობით, იარაღის ხმარებით. მან დაასაჩუქრა გაბედული



ხევისურები

მთიელები, თავისუფლება აღუთქვა და გაისტუმრა მშვიდობით.

ფხოვის, ამ ისტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულის არსებობის შესახებ საუბარია „მოქცევაი ქართლისაი“-ში. საქართველოს განმანათლებელმა წმ. ნინომ ქართლის სამეფო კარის მოქცევის შემდეგ (337

წ.), მეფე მირიანის თხოვნით, ქრისტეს რჯული უქადაგა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში მცხოვრებ მოსახლეობას. დასახელებულ ტომებს შორის მოხსენებულნი არიან ფხოველნი.

ფხოვი ადრე შუა საუკუნეებში ემორჩილებოდა ქართლის სამეფო კარს და მის დომენს წარმოადგენდა. მე-11 საუკუნის დასაწყისიდან ის უკვე კახეთის საქორეპისკოპოსოს შემადგენლობაშია. ქართულ წერილობით წყაროებში ფხოვის ხსენება აღარ გვხვდება 1213 წლის შემდეგ. ამ დროს ფხოვი აუჯანყდა საქართველოს სამეფო კარს, რისთვისაც სათანადოდ დასაჯეს ამ კუთხის მოსახლეობა. სამწუხაროდ ქართული ისტორიოგრაფიისათვის დრემდე არაფერია ცნობილი ფხოველთა აჯანყების ნამდვილი მიზეზების შესახებ. ასევე გაუგებარია რატომ ქრება ისტორიიდან ფხოვის და ფხოველთა ხსენება.

მე-15 საუკუნის მეორე ნახევრიდან ფხოვის ტერიტორიაზე ხევისურები და ფშავლები მოიხსენიებიან. ფშავ-ხევისურეთი გვიან შუა საუკუნეებშიც მხოლოდ კახეთის სამეფო კარს მორჩილებდა და მის სახასოს წარმოადგენდა. დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ხევისურეთის მოსახლეობისა და სამეფო ოჯახის ურთიერთობას, ვინაიდან ეს კუთხე მუდამ დარაჯობდა ჩრდილოეთის სამღვარს, საიდანაც კახეთის სამეფოსა და მთლიანად აღმოსავლეთ საქართველოს მუდმივად ემუქრებოდა მტრის საფრთხე.

საქართველოს მეფეებს ჰყავდათ ხევისურებისაგან შემდგარი ამალა. ისინი მეფის ლაშქარში საკუთარი, გუდანის ჯვრის სალაშქრო დროით გადიოდნენ, მეწინავე გვარდიას შეადგენდნენ. ბრძოლის დასრულების შემდეგ ხევისურებს ჰქონდათ ნება ნადავლიდან საუკეთესო იარაღი აერჩიათ. მათ ხელისუფლებისგან ბარში ბოძებული მამულები, სიგელები და სხვა რიგის ჯალდოები ნაკლებად იზიდავდა – იარაღი და მთაში თავისუფლად ცხოვრება ერჩივნათ.

ხევისურეთი და ხევისურები მეფის გარდა არავის მორჩილებდნენ. მე-17 საუკუნის დასაწყისში (1618-1629), არაგვის საერისთავოს გაძლიერებული ფეოდალური სახლი, მამა-შვილი ნუგზარ



და ზურაბ ერსთავე-
ბი შეეცადნენ მთის
სხვა კუთხეებთან
ერთად ხევისურეთიც
დაეპყროთ და თავის
მოხარკედ ექციათ.
ხევისურებმა მედგარი
წინააღმდეგობა გა-
უწიეს თავგასულ ფე-
ოდალებს და სასტიკი
მარცხი აგემეს. სხვა-

თა შორის, კახეთის მეფე თეიმურაზ I ზურაბ არაგვის ერისთავს,
მის მოკვლამდე, ფშავ-ხევისურეთში ლაშქრობასაც ახსენებდა
და სახასო საკუთრების მიტაცების მცდელობისათვის ადანაშა-
ულებდა.

საუკუნეების განმავლობაში ხევისურები მამაცურად ებრ-
ძოდნენ ირანელებს, ბიზანტიელებს, ხვარაზმელებს, მონღო-
ლებს, ხაზარებს, არაბებს, ოსმალებს და სხვა დამპყრობლებს.
საკმარისი იყო მტერი არაგვის ხეობაში გამოჩენილიყო, რომ
თავისუფლების მოყვარე მთიელები თავს ესხმოდნენ და მუსრს
ავლებდნენ.

მტრის ბანაკში მყოფი გაღმა მხრისანი იხსენებენ: „ხევისუ-
რები ფეხზე მდგომები გვესროდნენ და თანაც გაუშვდარად,
დაჭრილებს მეორედ აღარ ურტყამდნენ, პირიქით, ადგომაში
ეხმარებოდნენ...“

ხევისურები განსაკუთრებით დაუახლოვდნენ ქართლ-კახე-
თის მეფეს ერეკლე II-ს. მეფეს თავის ამაღლაში მუდმივად თან
ახლდა ხევისურთა შვიდკაციანი რაზმი. ხევისურები მონაწილეობ-
დნენ ერეკლე მეფის მიერ გადახდილ ყველა ბრძოლაში.

განსაკუთრებით აღსანიშნავია 1795 წ-ს კრწანისის ომში ხე-
სურთა მონაწილეობა. 300-მა არაგველმა ფიცი დადო, რომ უკან
არ დაიხევდნენ და სპარსელთა 35 000-იან ჯარს შეებრძოდნენ.
მართლაც ბრძოლის ველიდან არც ერთი არ გასულა და ყვე-
ლანი გმირულად დაიხოცნენ. 300 თავდადებული არაგველის
სახელს ატარებს ქ. თბილისის ერთ-ერთი მეტროპოლიტენის
სადგური. დედაქალაქში მათი ხსოვნის მემორიალია აშენებუ-
ლი, ხოლო ეკლესიამ ისინი წმინდანად შერაცხა.

საქართველოში ცარისტული რუსეთის შემოსვლის შემდეგ
ხევისურები არ შეეგუენ კოლონიზატორულ პოლიტიკას და ორი
დიდი აჯანყება მოაწვევს 1813 და 1923 წლებში. ამ აჯანყებებს
ალექსანდრე ბატონიშვილი და ეროვნული გმირი ქაქუცა ჩო-
ლოყაშვილი ხელმძღვანელობდნენ. რუსეთის არმიამ ხევისურები
დაამარცხა, დაანგრია და გადაწვა ციხე-კოშკები და სოფლები.

ხევსური ეროვნული გმირები

ხევსურულ ზეპირსიტყვიერებაში უმთავრესი ადგილი უკავია საგმირო-საისტორიო გადმოცემებს. კავკასიონის მთებში მცხოვრებ თავისუფლებისმოყვარე, მემორული ბუნების მქონე ხევსურებს ერთდროულად უწევდა ჩრდილო-კავკასიური მოთარეშე ტომებისა და სამხრეთიდან ფეოდალური ძალმომრეობის წინააღმდეგ ბრძოლა.

ხევსურეთის შუა საუკუნეების ეროვნული გმირებიდან გამოირჩევა **თორღვა ძაგანი**, რომელმაც ალკვეთა მეზობელი ტომების თარეში და ააშენა ციხე-სოფელი **მუცო** აუღებელი კოშკებით. თორღვა თავისი ძლიერებითა და საქმევით იმდენად პოპულარული გახდა, რომ ხალხურმა მთქმელებმა ის მითოლოგიურ გმირად და ღვთაებად წარმოსახეს. გადმოცემით მას დაბადებიდან ბეჭებზე მზე, მთვარე და ჯვარი ჰქონდა გამოსახული, რაც ძლიერებისა და ღვთიურობის ნიშანი იყო.

XVII ს-ის პირველ ნახევარში აღზევებულმა არაგვის ერისთავებმა მოინდომეს თავისუფალი ხევსურეთის დამორჩილება. სისხლიანი ბრძოლები, რომელიც ათ წელზე მეტი გრძელდებოდა, ხევსურთა გამარჯვებით დამთავრდა. ამ ბრძოლებში თავი ისახელეს **ხირჩლა ბაბურაულმა** (არაბული), **მარტია მისურაულმა** (გოგოჭური), **ბერდია მამუკაურმა** (გიგაური), **მამუკა ქალუნდაურმა** (გოგოჭური)...

არაგვის ერისთავების წინააღმდეგ მებრძოლ მამუკა ქალუნდაურს გადმოცემით ღვთიური ნიშანი, სინათლის სხივი დაჰყვებოდა და სასწაულოქმედი მახვილი ჰქონდა, რომელიც ქარქაშიდან თავისით ამოიწვედა და პატრონს ბრძოლის ნიშანს აძ-



მუცო – თორღვას სოფელი

ლევდა. ქალუნდურმა დაამარცხა ერისთვი და ნიშნად სოფელ გუდანთან ახლოს, ბეგენგორზე ქვის ძეგლი-სიმბოლო ჩადგა, რომელიც დღემდე შემორჩა.

მომხვედურების წინააღმდეგ ბრძოლებში მონაწილეობას იღებდნენ მანდილოსნებიც, რომელთაგან გამოირჩევიან **ბუბა ბასილაური** და **თამარულ ჭინჭარაული**.

ხევსურეთის სოფლებს მოულოდნელად თავს დაესხა ლეკების მარბიელი ლაშქარი. მოსახლეობა ციხე-კოშკებში გამაგრდა, იქიდან უწყევდა წინააღმდეგობას მტერს. თამარულმა კოშკში შესვლა ვერ მოასწრო და საცხოვრებელ სახლში გამაგრდა. უთანასწორო ბრძოლაში მან შუბით შვიდი მომხვედური მოკლა. ამ გმირობის აღსანიშნავად თამარულისადმი მიძღვნილი საგანგებო რიტუალი იმართებოდა *გუდანის ჯვარში*.

ბუბა ბასილაურმა მამის ჯაჭვის პერანგი ჩაიცვა, იარაღი აიხსა და ცხენზე ამხედრებული შეება მტერს. მტერმა მხოლოდ მაშინ შეიტყო, რომ ქალი ებრძოდა, როდესაც ცხენიდან ჩამოვარდნილ ბუბას მუზარადი თვიდან მოსძვრა და თმები ჩამოეშალა.

ახვერდი მაჰმადის მრავალრცხოვანი ლაშქრის დამარცხების ნიშნად, შატილის ერთ-ერთ კოშკს ასეთი წარწერა ამშვენებს: „უმაღლესისა ბრძანებისაებრ ჯილდოს შატილელთად დამარცხებისათვის ახვერდი მაჰმადისა და მისთა შეყრილთა ჯართასა. 1843 წ.“

ამ ბრძოლის დროს მტრისგან ნასროლი ტყვია ციხის სარკმლის კედელზე აიხსლიტა და აკვანში მწოლიარე ბავშვს მოხვდა.

ბავშვის დედამ სისხლი შეამჩნია და აკვანს გადააფარა, თვითონ კი ქმრისთვის ტყვია-წამლის მიწოდება გააგრძელა. ბრძოლა დამთავრდა, ქმარმა იკითხა: რამდენ ხანს დაეძინა პატარას, რატომ არ იღვიძებო და ცოლმა: ის ვერასოდეს ვეღარ გაიღვიძებო...

ცოლმა ქმარს შვილის სიკვდილი დაუმალა, რათა არ აღელვებულყო და მტრისთვის ტყვია არ აეცდინა...

ასეთი მომთმენი იყო ხევსურის ქალი.

საომარი აღჭურვილობა



ხევსურების ბრძოლა

ხევსურების საბრძოლო არსენალი მათივე ტანისამოსის მსგავსად მრავალფეროვანი იყო.

თითოეული ხევსური ცდილობდა შეეძინა საუკეთესო იარაღი, როგორც შემტევი-საბრძოლო, ასევე დამცავი საჭურველი. მათ შეიარაღებაში შედიოდა: თოფი, დამბაჩა,



შატილელები

ხმალი, ხმალ-დაშნა, ხმალ-ჯოხა, ხანჯალი, შუბი, მათრახი, საბრძოლო სათითები, ფარი, უბისფარი, ჯაჭვის პერანგი, ჩაჩქანი, სამკლავები, საბარკულები, ჯაჭვის ხელთათმანები, სამუხლეები. მრგვალ ხევესურულ ქუდში შიგნიდან ჩაკერებული ჰქონდათ ფოლადის რგოლი.

ხევესურეთში მჭედლობა ტრადიციული და განვითარებული დარგი იყო. იჭედებოდა როგორც მახვილები, ასევე თოფის ღულები, ასურული ტიპის ჯაჭვის პერანგები, ხეთური მცირე ზომის მრგვალი ხევესურული ფარები, რომელთაც შავად ღებავდნენ, რათა მთვარის შუქზე უხილავი ყოფილიყო.

XII ს-ში ხევესურეთში მოღვაწეობდა თოფებისა და ხმლების ცნობილი მჭედელი სამნა ბურდული, რომელსაც არაგვის ფეოდალებმა თავი მოჰკვეთეს.

პოპულარული იყო XIV-XVII სს. იტალიელი ოსტატების ანდრეა და პიერ ფერარების გაჭედილი ხმლის პირები.

ხევესურები თავიანთ იარაღს ლამაზად ამკობდნენ ვერცხლისა და თითბერის ფირფიტებით, არქმევდნენ სახელებს, თხზავდნენ მასზე ლეგენდებს და მეშვედრეობით გადასცემდნენ შთამომავლობას.

თოფების სახეობა: ისტამული (თურქული), ხირიმი (ყი-



ხევესური მეთაფე



ხმალი, ფარი და ფანდური

რიმული), მაჟარი (უნგრული), სიათა (ფრანგული)... ტყვიასა და თოფის წამალს ხევსურეთში ამზადებდნენ.

ხმლების სახეობა: (პოპულარული იყო ვადაჯვრიანი, სწორპირიანი ხმლები) ხევსურული „ფრანგულა“, დავით-ფერული, დედალ-ფრანგული, (გერმანული და ავსტრიული), მამალ-ფრანგული (იტალიური), დედალ-მისრული (დამასკო-

ური), ხოროსნული...

ხანჯლების სახეობა: შამხალი, თარლო, ლეკური, ქისტური...

საბრძოლო სათითები: (ცერა თითზე სატარებელი დასაჩხვლეტი და დასატრელი საცერული.) ჯაჯია, ლესულა, ხვეული.

ხევსური ადამიანი გამორჩეულად პატივისცემით ეპყრობოდა ტყვეს: მაგას ტყვეობაც ეყოფა შეურაცხყოფადო...

ერთ-ერთ ტყვედაყვანილ ქისტს, რომელსაც ფეხშიშველს მოუწევს დატყვევება, ახალგაზრდა ხევსური ლეკო თავის ბანდულებს სთავაზობს: „ჩაიცვიო!“ ჰასანი შორს დაიჭერს, როგორც დამიჭირეთ, ისე წამიყვანეთო, – შენ ამ გზას არ იცნობ, ფეხშიშველს ძალიან გაგიჭირდებაო... შენ არ გაგიჭირდებაო? – მე ობლობით გაზრდილი ვარ, ნახევარზე ფეხსაცმელი არც კი მცმია, ნუ გეშინია, მე არ გამიჭირდებაო... ჰასანი იცმევს ბანდულებს... ლეკო მთელი კვირა გარეთ არ გამოსულა სახლიდან. მას ცხელი დუმიტ უპოხავდნენ დაჭრილ-დამაშრულ ფეხისგულეებს...

დიპლომატია

ხევსურეთში სამართლებრივ საკითხებს ადგილობრივი რკულ-სამართალი წყვეტდა და აგვარებდა. კუთხის „მაცოდარი“ რჩეული მამაკაცების საბჭო განიხილავდა სადავო, „საარდარაო“ საქმეებს და საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში გამოჰქონდა შესაბამისი განაჩენი. ხელმძღვანელობდნენ ბეპირი, წერილობით გაუფორმებელი იურიდიული კოდექსით. ისჯებოდა ყველა, ვინც დადგენილ ნორმებს უპასუ-



მხედარი რომკადან



ხისმგებლოდ მოეკიდებოდა და Eტიკისა თუ მორალის მოთხოვნებს არაფრად ჩააგდებდა...

ვინაიდან ხევსურებს გამუდმებული სამტრო-სამეგობრო ურთიერთობა ჰქონდათ ჩრდილოკავკასიელ ტომებთან, მათ შორის ხშირად ჩნებოდა მწვავე კონფლიქტები. შურისძიებას სა-

პასუხო რეაქცია მოჰყვებოდა და წლობით გრძელდებოდა ურთიერთდევნა და სისხლისღვრა.

სწორედ ასეთ დროს იყო საჭირო გონიერი, წინდახედული, შორსმჭვრეტელი პირების აქტიურობა. რამდენიმე კაცისგან შემდგარი „დელეგაცია“, ე.წ. „კაც-შუაკაცი“ იღებდა პასუხისმგებლობას და სათათბიროდ მტრის სოფელ-ქვეყანაში ანდა სასაზღვრო ადგილზე მიდიოდა. მთიელები პატივს სცემდნენ სტუმარს, თუნდაც ის მათი მოსისხლე მტერი ყოფილიყო. იმართებოდა თათბირი, რაც ხანდახან რამდენიმე დღეს გასტანდა ხოლმე და, არცთუ იშვიათად, სასურველი შედეგით, შერიგებით და ზავით მთავრდებოდა.

მტრობასა და უნდობლობაზე კეთილგონიერება იმარჯვებდა და კვლავ ახლდებოდა ერთურობის მიწაწყალზე მიმოსვლა.

თავმოქმედნი ხევსური ახალგაზრდა სისხლის ასაღებად მიდის ქისტეთში.

გადაივლის მთას, გაივლის ხევ-ხუვებსა და მიუახლოვდება მტრის აულს.

ხელისგულივით უჩანს მოსისხლეთა სამოსახლო... მაგრამ ეს რა ხდება?! მთელ აულს ხიზრის ბანზე მოუყრია თავი. გაბმული მიდ-მოდენა და გნიასია. უცებ შეუდარებელი ქისტური საცეკვაო მელოდია აულერდება გარმონზე... ხიზირის უმცროსი დის ქორწილი აქვს... საცეკვაოში ელვასავით შეიჭრება ხიზირი, ცერებზე დგება და ირიბად მკლავგაშლილი არწივგოვოვით ქისტი არწივით დამხრის ზემოდან წრებე წასულ ტანწერწერ ასულს. მატულობს ტაში. „ჰაი, ჰატ, მარჯაჰ!“ ისმის მოწონების შეძახილები...

ხევსურ მეფელს (მკვლელს) ნიშანში ჰყავს ამოღებული ხიზირი. სასხლეტზე ერთი თითის გამოკვრა და ჟამკარი აირევა...

გახელებით ცეკვავს ნიშანში ამოღებული ქისტი...

ხევსური თოფს დაბლა დაუშვებს და პირს სამშობლოსკენ იბრუნებს.

სოფელში მისულს მთელი სოფელი მიეგება და ამბავს ჰკითხავენ.

ისიც უამბობს...

– რად არ მახვალ? რისხვას ვერ მაღავენ ბერ-ახალნი.



– რო მამეკალ, ისეთ ქისტურს ვინაღოთაშაშებდა! (იცეკვებდა) გაუზბარავ პასუხს უბრუნებს თვისტომი ხევსური.

ხევსურეთში ერთ-ერთი უძველესი წეს-ჩვეულება იყო სისხლის აღება, მაგრამ გარკვეულ შემთხვევებში წესი არ აღსრულდებოდა. მაგალითად: „მოსისხლეებმა მას თავი მიანებეს არა გველის გამო, არამედ იმიტომ, რომ მისი მოკვლით იხურებოდა ჩვენი, ჯალაბაურთ, მთაში განთქმული შთამომავლობა...“

მოსისხლეების სულგრძელობა!

„ხევსურის ბუნება ვერავითარ შემთხვევაში სილაჩრეს ვერ ეგუება. მაგრამ ამასთანავე ერთად, მას ზედმიწევნით კარგად აქვს შეთვისებული პიროვნების ღირსება და ამიტომ იგი მუდამ დაჯანბნულის, დამცირებულის, თავმოყვარეობაშელახული ადამიანის მხარეზე დგას, თუნდაც ის მოსისხლე მტერი იყოს მისი“.

გიორგი თედორაძე

ამლიონმა გამიხარდიმ წინხადულ მიხილს დაუბარა: „სულა-რა უბით ატარეო“. ეს ხატოვნად შეთვალა მტრობისა („მტრობის ბარება“), ჩვეულებრივ კი ასე უთვლიდნენ: „მზას იყავ, მე მზას ორ იარაღს თან იქონიენი!“–ო.

რაც შეეხება სისხლ-მესისხლეობას.

უნდა შევნიშნოთ, რომ მთის სისხლ-მესისხლეობის ამბავი არასწორად, არაობიექტურად აისახა როგორც სამეცნიერო, ისე მხატვრულ ლიტერატურაშიც. შესაძლოა, ამას იმანაც შეუწყო ხელი, რომ ეს ადათი ეგზოტიკური და კოლორიტულია.

ფაქტობრივად, თავის დროზე ეს ადათი ხელს უწყობდა მთაში სიკვდილიანობის შემცირებას. ადამიანებს აჩვევდა ერთმანეთის მიმართ ზომიერებას სიტყვასა თუ საქმეში, აჩვევდა იარაღის ხმარებას – მძიმე ჭრილობების მიმყენებელი მხდალი იყო და მოუქნელი...

ამიტომ, რაც უნდა პარადოქსულად ეჩვენოს მკითხველს ეს ამრი, შურისძიების ადათს თავის დროზე დადებითი როლი აქვს შესრულებული.

ალექსი ჭინჭარაული

„როცა ხევსურებს უცქერ, ნაჭდევებით სახეზე და ტანზე, მუდამ იარაღასხმულთ და მზადყოფთ შეტევისათვის, გვონია, სისხლი სწყურიათ მათ მხოლოდ. მაგრამ ეს ასე არ არის, არავის ეშინია სისხლის დაღვრისა ისე, როგორც ხევსურს: არც ერთ

ხალხს, არც ერთ ტომს. მკვლელს ხევსურეთში „ლაჩარის“ სახელით სდაღავენ, გმირი მათთვის ის მორკინალი კი არაა, ვინც სახიფათოდ დასჭრის მოპირდაპირეს. ჭრილობა კანის გაკაწვრა უნდა იყოს მხოლოდ, თვით გაავებულ შებმაშიაც კი – აი, უტყუარი ნიშანი ხევსურეთის ნამდვილი ვაჟკაცობისა“.

გრიგოლ რობაქიძე

მიგრაცია

ისტორიის განმავლობაში ხევსურებს არაერთხელ მოუწიათ გადასახლება.

ჯერ კიდევ IV საუკუნეში, როდესაც წმ. ნინომ ქართლის სამეფოს წარმომადგენლები გაგზავნა იმისთვის, რომ წარმართული მოსახლეობა მოექციათ ქრისტიანულ სარწმუნოებაზე, ჟამთააღმწერლის ცნობით, „ფხოველებმა დატოვეს სამშობლო და გადავიდნენ თუშეთში“. ეს იყო ხევსურების იძულებითი ნაბიჯი, რათა თავიდან აეცილებინათ საკუთარი რწმენის უარყოფა.

XVII-XVIII საუკუნეებში ხევსურები იძულებით გადასახლდნენ ერწო-თიანეთში, დუშეთში, ხევში, ქსნის ხეობასა და მთიულეთ-გუდამაყარში. XX საუკუნის დასაწყისში მათი გადასახლება ბარში, შირაქის (ამჟამად დედოფლისწყაროს რაიონი) ახალ დასახლებებში განსაკუთრებით მტკივნეული აღმოჩნდა. ასევე 1950 წელს ბევრი მაღალმთიანი სოფელი დაიცალა სამკორის ხეობის უწყლო, უნაყოფო მიწებზე სავადებულო გადასახლების შედეგად, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების ინიციატივით მოხდა ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე.

ასევე სოფლების დატოვების მიზეზები უნდა ყოფილიყო სახნავი მიწის ნაკლებობა და მკაცრი ბუნებრივი პირობები. ეკონომიკურმა სიდუხჭირემ ხევსურისთვის კიდევ უფრო გაართულა ოჯახის შენახვა და ამიტომაც კახეთის ნაყოფიერი დაბლობი იქცა მათ ერთადერთ ნუგეზად.

ცნე-კოშკები



ლებიასკარი

მუდამ მტრიანი („ცუდას რად უნდა მტერობა, კარგია მუდამ მტრიანი“, ვაჟა) და ბრძოლის ველზე ნაწოთობი ხევსურები დიდი განსაცდელის ჟამს თავდაცვითი დანიშნულების სამხედრო თუ საცხოვრებელ ნაგებობებში

პოულობდნენ საიმედო თავშესაფარს, შედარებით სიმშვიდესა და ფიზიკური განადგურებისგან გადარჩენის რეალურ შესაძლებლობას.

ხევსურეთის საუკუნოვანი ციხე-კოშკების ერთი წყება დღესაც მყარად, ამაყად დგას მრავლისმომსწრე მიწაზე და ზვიადი მხერით მიაცილებს მარადისობაში დღეებს, თვეებს, ასწლეულებს...

ქვის სიმფონიის, თუ შეიძლება ასე ითქვას, უთვალსაჩინოესი ნიმუშია „შულღწაუგები“ შატილი. მხარბეჭით ერთურთს მიყრდნობილი ქვითკირების ხილვა ღრმა, წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს ადამიანში. ანონიმი დამგეგმარებლების, ძველი ტერმინოლოგიით „ქვითხუროთა მოძღუართა“ მიერ ხორცშესხმულ ციხე-სოფლის ჟანგიან კედლებს ის შრეული ეპოქებიც ცხადად ახსოვთ, როცა თოფისა და ტყვია-წამლის ნაცვლად, ადგილზე ნატედი ხმალი და პრიმიტიული მშვილდ-ისარი იყო თავმოყვარე მთიელების უმთავრესი საომარი იარაღი.

*ძველო დრო მაშინ ყოფილა,
მშვილდნი რო სტეჟედს რქისანი,
ეყარა ციხის კარებში
ნალეწნი ფრანგულისანი...*

ციხე-სიმაგრეების ასაშენებლად, სტრატეგიული თვალსაზრისით გამართლებულ, ვარგის, ხელსაყრელ ადგილებს არჩევდნენ. უზბარო, მტკიცე ბალავარი იყო გარანტი იმისა, რომ თავდაცვითი ფუნქციის მატარებელი ობიექტის ამტანობაზე, გამძლეობაზე, დიდ სამომავლო პერსპექტივასა და დღეგრძელობაზე ეფიქრათ.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ციხე-კოშკებს ადგილობრივ ოსტატებთან ერთად, ჩრდილოკავკასიელი ქვით-



აუღებელი შატილი

ხურობიც აშენებდნენ. მათ ჯალამბარის გამოყენებით ქვების მაღლა აზიდვისა და ტანსწორი კედლების აგების დიდი გამოცდილება ჰქონდათ და თავიანთ პრაქტიკულ ცოდნას მეზობელი ტომების ტერიტორიებზე იყენებდნენ.

ქვითხუროთა ინდივიდუალობა, ხელწერა, შემოქმედებითი ნიჭი და თავისთავადობა დასრულებული ნაგებობის გარეგან სახეზე აღიბეჭდებოდა.

„ისეთა ხელოსან აგებდა, რო ერთ დღესაც დილაღამიანად გასულივ შებინდებისას ჩამახდავ ციხეზეთავ, ფეხონს მიუახლოვდავ, მფარგვერდზე შამაწვავ და თქვავე ამაქმენითავ: „უუჰავ, დღესაც ციხეზე სამ ქვეით მეტ იქნავ“... ე.ი. მთელი დღის განმავლობაში სამ ქვას დებდა თურმე...

ხევსურეთში, ისევე როგორც საქართველოს სხვა მთიან კუთხეებში, ციხე-კოშკების რაოდენობა მათი პრაგმატული საჭიროებით განისაზღვრებოდა. ნაგებობის სტრატეგიული დატვირთვა სასაზღვრო ტერიტორიების დაცვასა და გამაგრებაშიც მდგომარეობდა. რაც უფრო ხშირი იყო მოლოდინი მტრის შემოსევისა, მით მეტი თავშესაფრის აგება უწევდა ამა თუ იმ ხეობას, თემს, სოფელს.

ხევსურეთში ამ მხრივ აღსანიშნავია, „მიღმახევის“ სახელწოდებით ცნობილი ადგილი, სადაც რამდენიმე სოფელი (დღეს უკვე ნასოფლარები) ირიცხებოდა. მთის კლდოვან ფერდობებზე გაშენებული საცხოვრისები შორიდან ისე მოჩანდა, როგორც შუა საუკუნეთა კოშკების მკაცრი კომპლექსი.

განსაკუთრებული არქიტექტურული წყობით, სამშენებლო ხელოვნებით და შეუვალობით გამოირჩევა მუცო. ეს გახლავთ საომარი კოშკების, საცხოვრებელი ქვითკირების, საკულტო ძეგლებისა და სამკვდრო აკლდამების განსაცვიფრებელი ერ-



არდოტი – ციხე-სოფელი მიღმახევი

თიანობა, ჟამთა სიავეში გაღავანმოშლილი ხელთუქმნელი ჰარმონია, რომლის სიდიადე მისი გაცნობის ყოველმა მსურველმა უშუალოდ უნდა ნახოს და განიცადოს (სიტყვა სუსტი და უძლურია ამ სწორუპოვარი ისტორიული ნამოსახლარის დასახასიათებლად!).

შატილისკენ მიმავალი მგზავრის მგერას უსათუოდ დაამახსოვრდება ლებაისკარის, კისტანისა და ქაჩუს ციხე-სიმაგრეები. თითოეულ მათგანთან დაკავშირებულია ჰეროიკული სულისკვეთების ამბები, ხალხური ლექსები და ფანტასტიკური დეტალებით გამდიდრებული გადმოცემები....

ორიოდე ნიშანდობლივი ფრაგმენტი ხევსურული ხალხური პოეზიიდან:

*ნისლ ძესა ლებაისკარსა სუ მუდამ აუყრელადა,
აბაშას ტანზე ჯატვ სცვაჲა სუ მუდამ წაუყრელადა.
კისტანს მოვიდა ლაშქარი ლეკისა ახვისაო,
აბულეთაურთ ციხესა, კარი არ შახსნან ხისაო...*

ციხე-სიმაგრე, სიმბოლური გააზრებით ცისა და მიწის დამაკავშირებელია. მითოსური გავებით ის სამყაროს კოსმიური საყრდენია. ციხის შუამავლური მისიის მითოლოგიური კონცეფციის თვალსაჩინო გამოხატულებაა პოეტური თქმულების შესანიშნავი ნიმუში „შურის ციხე“.

ლექსი ასე იწყება:

*კვირაჲ დაღამებადა მთას გადავიდეს მგენია,
გაწირეს შურის ციხეი, საცა სიმაგრე ძველია,
ხმაღას რო მდგარან ციხენი, ცას მიზდენია წვერია,
ციხე ყოფილა ცხრათვალი, დახედულ მშვენიერია...*



ალვისხის წვერზე მიბმული ცხრაკეცი შიბით ხმალას ციხე ზეცასთან ამყარებდა უხილავ კავშირს. ამ შიბზე ანგელოზები სხდებოდნენ და წვრილ ხმაზე გალობდნენ. და როცა შინაურმა მოლაღატემ შემოსეულ მტერს ციხის გვერდზე მდგარი მირონმდინარი ალვის ხის მოჭრის საიდუმლო გაანდო და მუხანათურმა ცდამ შედეგი გამოიღო:

შუბ გაწყდა, ცისკე წავიდა, წიოდა, როგორც გველია...

ლექსში, „შურის ციხე“ მთის თეოკრატიული მმართველობის თანდათანობის მოშლის აპოკალიფსური პროცესია აღბეჭდილი.

საბრძოლო კომპეტი – მთის მოსახლეობის ყოფითი სინამდვილის ორგანული ატრიბუტები – დროის დინების კვალდაკვალ კარგავდნენ თავიანთ რეალურ ფუნქციას და მნახველის მიერ რელიგიის არქიტექტურულ „სამკაულებად“, სამშენებლო ხელოვნების საკვირველ ნიმუშებად აღიქმებოდნენ. ხოლო იმ დროს, როცა მიუვალ კლდეებსა თუ მთა-გორებზე, სულწუხი ხეობების შესასვლელებსა თუ მზისგან დამწვარ ზეგნებზე სათვალთვლო კომპეტი შენდებოდა, ხუროთმოძღვრების ამ ძვალმაგარ ძეგლებს სრულიად, ყოფითი, არაესთეტიკური, საჭიროებითი დანიშნულება ჰქონდათ...

ხევსურეთის მიწა-წყალზე დღემდე მდგარ თუ გაბზარულ, ანდა უკვე ჩამოშლილ სიმაგრეებს შორის თავიანთი საკრალური ისტორიებით და უჩვეულო თავგადასავლებით იქცევენ ყურადღებას ფერაულთა ციხე ხახმატში, შუქიაურის ციხე ახიელაში („ახიელ თეთრსა ციხესა ჩარდახი ჩამასდისაო...“) და თინიბექის ციხე ბაცალიგოში („თინიბექ, შენსა ციხესა მარჯვენა კუთხე ჰსქდებოაო...“).

საისტორიო თემატიკის ხევსურულ პოეზიასა თუ ეთნოგრაფიულ წყაროებში ციხე-კოშკი სიუჟეტის ისეთივე სრულფასოვანი პერსონაჟია, როგორც კაი ყმა, მისი მცველი და პატრონი, ვინც იმისთვის გაუჩენია უფალს, რომ ხალხს ემსახუროს და მტერსაც წარბეშებულად შეაკვდეს, თუკი სამშობლომ დაისაჭიროვა.

მეურნეობა

ხევსურეთში მიწათმოქმედება აშკარად ჩამორჩება მესაქონლეობას. მთის რელიეფი არ იძლევა წლის სამყოფი პურის მოყვანის საშუალებას. კლდოვან ადგილებში დათესილი ქერი და ჭვავი არაა საკმარისი იმისათვის, რათა მოსახლეობამ ადგილობრივი მეურნეობით ირჩინოს თავი. ამიტომაც ხევსურეთის სოფლებში მუდამ მწვავედ იდგა ბართან ეკონომიკური კავშირის აუცილებლობის საკითხი. პურის მომარაგების პრობლემის



ძროხები ჭუთას საძოვრებზე

გადაწყვეტა დედაქალაქისა თუ ბარის რაიონების გარეშე შეუძლებელი იყო.

ხევსურული ოჯახის დოვლათის ძირითად წყაროს მესაქონლეობა წარმოადგენდა. რძის პროდუქტების რეალიზაციის გზით იძენდნენ

მარცვლეულს, მარილს, ღვინოს, ჭურჭელს, სამუშაო იარაღებს.

და ამ მხრივ სრულიად განსაკუთრებულია ხევსურული ძროხის ადგილი და მნიშვნელობა ისტორიული ფხოვის ყოფა-ცხოვრებაში. ხევსურული ძროხა ტანად პატარაა, ამტანია და ზამთარში ადვილად გამოსაკვები. არის კარგი მეწველი. ხასიათდება რძის მაღალცხიმოვანობით. იოლად ეგუება მთის ურთულეს რელიეფსა და მკაცრ კლიმატურ პირობებს.

მსხვილფეხა პირუტყვთან შედარებით, ხევსურეთში ყოველთვის ნაკლები იყო ცხვრის რაოდენობა. ეს აიხსნება იმ მიზეზით, რომ სიშორისა და სახიფათო გზების გამო ვერ ხერხდებოდა საზამთრო საძოვრებზე თეთრი „ქარავენების“ გადარეკვა. ჰყავდათ იმდენი სული ცხვარი, რამდენის შენახვა და გამოკვებაც ბაგაზე თუ სოფლის საძოვრებზე შეიძლებოდა.

ცხვრის სადგომი, ანუ ფარეხი მსხვილფეხა საქონლის გომურის გამმიჯნავად იყო მოწყობილი.

საერთოდ, ტიპური ხევსურული სახლის არიქეტექტურა ისე იყო გადაწყვეტილი, რომ ადამიანსაც მყუდროდ ეგრძნო თავი და პირუტყვსაც. მიწური, ბანიანი სახლის პირველ „თვალში“, ანუ სართულზე ყვერფ-კერა, ჯალაბი და საქონელი იყო განთავსებული მეორე თვალი ე.წ. „ჭერხო“ მამაკაცების საცხოვრისად იყო განკუთვნილი, ხოლო მესამე სართული ეთმობოდა კალოს, სადაც მარცვლეული ილეწებოდა და ინახებოდა.

გაზაფხულზე, ყანები რომ მოიხენებოდა და დაითესებოდა, პირუტყვი მთაში, საზაფხულო იალალებზე მიუღლიდათ, სადაც ბოსლები ჰქონდათ აშენებული. მეწველს შედარებით დაბლობ ადგილებში არეკავდნენ, ხოლო მშრალსა და ბერწ საქონელს – მაღლა, მთათა კუდებში.



თევზაობა ანდაკის მდინარეში

დამთავრდებოდა სთვლის სამუშაოები, ალაგდებოდა ყანები, სათიბები, დაბინავდებოდა ჭირნახული და მალეობებიდან კვლავ სოფლებს მიაშურებდნენ „მემთე“, მომთაბარე ოჯახები.

ტალავარი (ტანსაცმელი)

ტანსაცმელს ხევისურები „ტალავარს“ უწოდებენ.

ტალავარი შინნაქსოვი შალისგან („ტოლისგან“) იკერება. „ტოლს“ ამზადებენ ქალები.

სატალავრე ქსოვილი სქელი, მძიმე და მოუხეშავია. სამაგიეროდ, გამძლეა და დიდხანს ინახება.

ქალის სამოსიდან მთავარია „სადიაცო“, ანუ კაბა, რომელიც ლურჯი ან შავი შალისგან მზადდება. კაბის გულისპირი, იგივე „ფარავი“, ნაირფერი ძაფებითაა ნაქარგი და დამშვენებულია მძივებითა და ლილებით.

„სადიაცოსთან“ ერთად, ქალები ატარებენ „ქოქომოს“ და „ქოქოლოს“. ეს უკანასკნელი მსგავსია ქათიბისა, ოღონდ უფრო მოკლეა და წელში გამოყვანილი.

ქალის სამოსში შედის ასევე ზამთარში ჩასაცმელი „ტყავი“ (ჯუბა), წინდა, პატიტი, ქალამანი, ე.წ. „ამოკრებული თათი“, მანდილი და „სათურა“. ამათგან დიდ პატივშია მანდილი. მოშულართა შორის ქალ-დედროვნის მიერ მანდილის ჩაგდება ეფექტური წინაპირობაა იმისათვის, რომ მამაკაცებმა ერთუთის დატრა და სისხლისღვრა შეწყვიტონ.

რაც შეეხება მამაკაცს, მისი სამოსია მძივებითა და მრავალგვარი ორნამენტებით, ე.წ. „ნატრელათი“ მოქარგული პერანგი. მამაკაცის პერანგს ყელი ამოღებული აქვს, კალთის გვერდები ჩაღილული.



ტალავარი

ლამაზია სიმეტრიული დეტალებით ხელმარჯვედ მოქარგული პერანგის „საბეჭური“.

პერანგის უმთავრესი ღირსებაა მისი, ასე ვთქვათ, მხატვრული გაფორმება. უაღრესად შრომატევადი ნახელსაქმარის მთელი შნო და მშვენება მისი „ნატრელას“ დახვეწილობასა და მრავალფეროვნებაშია.

მამაკაცები პერანგზე შავი ან ლურჯი „ტოლისგან“ შეკერილ ჩოხას იცვამენ. ჩოხა წელში გამოყვანილია და ბეჭებზე ჯვარსახოვანი დეტალებია გამოყვანილი.

ფეხსამოსში შედის წინდა, პატიტი და ხარის ტყავის ხელიანი ქალამანი.

თავზე იხურავენ ნაბდის ქუდს, მსგავსს თუშური ქუდისა, რომელსაც გარშემო შავი გრებილი და თეთრი მძივების მწკრივი მიუყვება.

ხელსაქმით გამორჩეული ხევსური ქალი, სწორუბოვარი ფანტაზიისა და ფერთა შეხამებაში, შეუდარებელი სამოსის შემქმნელი და ამაში ღრმად დარწმუნებული ნიშნისმოგებით ამაყად ამბობს:

*დაკვებებაზე ნუ იყვას:
ლამფა არ მინდა ქალსაო,
თოლ-პირის სინათეზედა
დავხკერავ ნაჭრელსაო...*

დღემდე განცვიფრებაში მოჰყავს ხევსური ქალის ხელსაქმეს მნახველი. ტრადიცია, საბედნიეროდ, გრძელდება.

ხალხური მედიცინა

ხშირი შუღლი, ტყვიით თუ ცივი იარაღით დაჭრა და არცთუ იშვიათი ფიზიკური ტრავმა კარნახობდა ხევსურებს, დაუფლებოდნენ მკურნალობის ელემენტარულ მეთოდებს და მოერჩინათ ავადმყოფი.



A man from Jula with the harvest of herbs

ადგილობრივი „აქიმი“ ითვისებდნენ და ინახავდნენ მკურნალობის საიდუმლოებებს, ეცნობოდნენ წინამორბედთა თეორიულ ცოდნას, პრაქტიკულ გამოცდილებას და გადასცემდნენ მემკვიდრეებს, მომავალ თაობებს.

მკურნალობაში იყენებდნენ „საშინაო“ საშუალებებს: თაფლს, სანთელს, მცენარეებს, ფრინველთა და ცხოველთა სხეულის სხვადასხვა ნაწილებს, შარდს, ქვებს...

გაუტკივარებისთვის („ანესთეზიისთვის“) მიმართავდნენ მწარე არაყს, ე.წ. „წინწანაქარს“. აარყის დოზირებით სხვადასხვა წამალი მზადდებოდა.

საგანგებოდ არის აღსანიშნავი ხევსური დასტაქრების მიერ ჩატარებული თავის ქალის ტრეპანაციები. ურთულესი ოპერაციები, იშვიათი გამონაკლისების გარდა, წარმატებით ტარდებოდა და პაციენტი მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც იბრუნებდა დაკარგულ ჯანმრთელობას.

ტრეპანაცია კეთდებოდა სახლში დამზადებული პრიმიტიული იარაღის გამოყენებით.

ხევსურეთის ახლო წარსულიდან ცნობილია რამდენიმე დიდ-დად წარმატებული და ავტორიტეტული დასტაქრის ვინაობა: მგელიკა ლიქოკელი, ალეკა ოჩიაური, გუგუა ჭინჭარაული, ბეწინა არაბული, ბაძია ჭინჭარაული.

ყოფიტი კულტურა სწორფრობა

ხევსურეთის გაუკუღმართებულმა ყოფამ გასული საუკუნის შუახანებამდე შემოინახა ქალ-ვაჟის ურთიერთობის ის უჩვეულო ფორმა, რომელიც „სწორფრობის“ სახელწოდებითაა ცნობილი.

„სწორფერი“ ნიშნავს გულსა და მსგავსს.

დაუოჯახებელ ხევსურ ქალ-ვაჟს (სხვა კუთხის ვაჟთან ქალი არ დაწვებოდა) ჰქონდათ უფლება მთელი ღამის განმავლობაში ერთად წოლისა და ალერსისა. წელსზემოთ ეხებოდნენ ერთმანეთს, წელსქვემოთ – არა.

მათ შუა იდო ალესილი მახვილი. ეს იყო სიმბოლური და, ამასთან, საბედისწერო მღვარი, მკაცრად დაცული მიჯნა თუ საგანი, რომლის გადალახვა არ შეიძლებოდა.

ვისაც ნებისყოფა ღალატობდა, თავგზა ეკარგებოდა და აკრძალული ხილის ხილვას მოისურვებდა, ხალხში სახელი უტყდებოდა და ცხოვრების დასასრულამდე სამარცხვინო დამაღდ გაჰყვებოდა თავისი უსაფერო საქციელი.



ხევსურელი ახალგაზრდები

სწორფრობის ჩაშლაც ჩვეულებრივი მოვლენა იყო ხევსურეთში. ეს ხდებოდა მაშინ, როცა ქალისა თუ ვაჟის ზნეობრივი სიწმინდე ეჭვქვეშ დადგებოდა.

სწორფრობა საპირისპირო სქესის წარმომადგენელთა პიროვნული ღირსების, სინდის-ნამუსისა და ავტორიტეტის გამოცდის ძალზე საგულისხმო საშუალებას წარმოადგენდა.


სწორფერთა ურთიერთობას ავგარებდა ელჩი ანუ შუამავალი, რომელიც უმეტესად ერთ-ერთი მასპინძელთაგანი იყო. იგი, თავისი გარჯის სანაცვლოდ, საიქიოში ცხონდებოდა. ასე სწამდათ და თავს არ ზოგავდნენ, რათა საფერი სწორფერი ერთურთისთვის შეეხვედრებინათ. „დღიანი“ სწორფერი ხალხის პატივისცემით სარგებლობდნენ. ახლობლებს ჰქონდათ მათი იმედი და ყველაფერში ენდობოდნენ.

სწორფერებს (ნანდაურებს) არ ჰქონდათ შეუღლების, ოჯახის შექმნის, ერთურთისთვის ბედის დაკავშირების უფლება. საუკუნოვანი ადათის უგულვებელყოფის შემთხვევაში, თემი თუ სოფელი მათ შეაჩვენებდა, შერისხავდა და სიკვდილი თუ არა, მოკვეთით, სხვაგან გაძევებით და ამანათად ქცევით მაინც დასჯიდა.

სწორფრობის („წოლა-დგომის“, „დობილ-ძმობილობის“) ინსტიტუტის წარმოშობის ისტორია დღემდე ბურუსითაა მოცული. ეს ჯერაც ამოუცნობი ფენომენია. არის საინტერესო მეცნიერული ცდები ამ ლოკალური მოვლენის არსში ჩაღრმავებისა და გარკვევისა. მის არსებით თავისებურებებს სწავლობენ ეთნოგრაფები, სოციოლოგები, ფსიქოლოგები, მედიცინის მუშაკები და მაინც ვერ ხერხდება სათანადოდ დასაბუთებული და დამაჯერებელი ცალსახა პასუხის გაცემა კითხვაზე: რა არის სწორფრობა?

„არასრულად რეალიზებული სასიყვარულო ენერგიის სუბლიმაციის შედეგად“ (ლ. გაბური) ხევსურეთში იქმნებოდა სწორფრული პერიპეტეიების ამსახველი უმშვენიერესი სატრფიალო პოეზია. სწორფერთან თავის გამოჩენის ფარული წადილი ვაჟებს საგმირო საქმეების ჩადენისკენ მოუწოდებდა, რაც, თავის მხრივ, შესაფერისად აირეკლებოდა მაღალმხატვრულ ხალხურ ლექსებში.

საყურადღებოა თვალსაზრისი, რომლის თანახმად, „ხევსურებმა სწორფრობა შემოიღეს უიმედოდ შეყვარებულ წყვილთა



(რომელთაც ჯვრისწერის უფლებას რჯული არ აძლევდა) ტანჯვის შესამსუბუქებლად და არა მათი ნებისყოფის აღსაზრდელად“ (ლ. გაბური).

ლაკონიური ფორმულის სახით ჩამოქნილი ხალხური შეხედულება — „სწორფრობა ხთვის გაჩენილ ას“ — ნათლად მიანიშნებს, რომ საქმე საღვთო, ამაღლებულ, სპეტაკ ზნეობრივ იმპერატივებზე დაფუძნებულ საზეო სიყვარულთან გვაქვს.

სწორფრობის საფუძველზე აიხსნება ხევსურული სამოსის („ტალავერის“) უნიკალურობა, უმთავრესი ფაქტორი, რამაც ხევსურ ქალთა ხელსაქმის (ქსოვა, ქარგვა) ხელოვნების რანგში აყვანა განაპირობა, სწორფერი ვაჟებისთვის თავის მოწონების მიზნით. ხორციელ ჟინზე ამაღლება, ვნებების დაოკება, მოთმინება და თავშეკავება ხელთუქმნელი სამკაულებივით შვენიოდა როგორც ქალს, ისე მის სწორფერ ვაჟს.

სწორფრობა ხევსურეთში ხალხის სულიერი წრთობის, კეთილშობილებისა და შემოქმედებითი შთაგონების უშრეტ წყაროს წარმოადგენდა. ტრადიციული საზოგადოების ზნეობრივი სიჯანსაღე დიდად იყო დამოკიდებული მისი ცალკეული წევრების ღირსეულ საქციელზე.

ქორწილი

ხევსურეთში არსებობდა აკვანში დანიშვნის (დაწინდვის) ტრადიცია. ეს ხდებოდა ცალკეული პიროვნებებისა თუ გვარების ურთიერთდაახლოების სურვილით. მსგავსი წესი, ასევე, დადასტურებულია მთელ კავკასიაში და საქართველოს კუთხეებში: ხევში, რაჭაში, აჭარაში, სვანეთში, მესხეთ-ჯავახეთში.





ჯიშინი, ავტორიტეტული ოჯახი სამოყვროდ და სამოკეტოდ თავისნაირ ოჯახს ეძებდა. და როცა არჩევანს კონკრეტულ ოჯახზე შეაჩერებდა, იწყებდა მასთან ნათესაური კავშირის დამყარებას: აკვანში მწოლიარე ვაჟის ბიძა „ნიშანს“ – სიმბოლურ საჩუქარს (ვერცხლის ფული, ძეწკვი...) წაიღებდა, მივიდოდა სარძლოს მშობლებთან და „ძვირფასეულობას“ აკვანზე დაკიდებდა. გარდა ამისა, მიიტანდა არაყს, პურს, მიიყვანდა საკლავს და უფროსები ახალდანიშნულთა ბედობაზე დაილოცებოდნენ.

ვაჟის მხარე ვალდებული იყო ყოველ ახალ წელს (ხევს „წელწადი“) ბედისკვერით (რიტუალური ქადა-პურიტ) მოეკითხა სარძლო და როცა აკვანში ერთურთზე დანიშნული ქალ-ვაჟი დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მოიწიფებოდა, იწყებოდა მათი ქორწილის სამზადისი: ვაჟის მამა „ენაპირიან“ (მცოდნე, გამოცდილ, კარგად მოუბარ) კაცებს გაავგავნიდა მომავალ მძახლებთან და „ხელმხარის სანათლავ“ საკლავს გაატანდა...

დათქვამდნენ ქორწილის დღეს.

სარძლო თვითონ „აწევდა“ (დაპატიჟებდა) თავის მაყრევს (ხევს – „მყოლნი“).

ნეფის ოჯახში კარებთან პატარძალს იღბლიანი ქალები დახვდებოდნენ და, როცა სტუმარ-მასპინძელი ტაბლებთან დასხდებოდა, კალათში უწლოვან ვაჟს ჩაუგორებდნენ.

აღსანიშნავია ერთი რამ: ძველ ხევსურეთში ნეფე და პატარძალი, მთელი ქორწილის განმავლობაში, ცალ-ცალკე უნდა ყოფილიყვნენ. მათ ერთმანეთისთვის შეხედვისა და გასაუბრების უფლება არ ეძლეოდათ...

ქორწილი სამ დღეს გრძელდებოდა.

„ახალუხალი“ (სოფლის ახალგაზრდობა) პატარაძალს ართობდა და ამხიარულებდა. იმართებოდა ღვინო, სიმღერა, ლექსობა და ცეკვა-თამაში.

კვირის თავზე პატარაძალი ისევ მამისახლში ბრუნდებოდა და ერთ წელიწადს იქ რჩებოდა.

ესეც ურთიერთგაცნობისა თუ გამოცდის თავისებური საშუალება იყო: დარწმუნდებოდნენ ერთმანეთის პატიოსნებაში, წესიერებაში, ერთგულებაში და მხოლოდღა ამის მერე ებმებოდნენ დამოუკიდებელი ცხოვრების მძიმე უღელში.



ბავშვი სმლით

„ხევსური თავის შვილს სიყრმიდანვე სითამამეს, სიამაყეს აჩვენებს. მამა თავის დღეში პატარა შვილს ხელს არ დააკარებს, არ სცემს; გაუბაძს საუბარს, როგორც დიდ კაცს, მოისმენს მისგან პასუხს და მსჯელობას, როგორც დარბაისელი გამოცდილი კაცისგან. როდესაც ბაღლი სახლში შადის, იქ თუნდ ორმოცი დროული მოხუცებული კაციც იყოს, ყველანი მაშინვე ფეხზე აუდგებიან და მიესალმებიან – მოხვედ მშვიდობითო! – დასხედით, დასხედით, თქვენც დამხვდით მშვიდობითო! – (პასუხობს ბაღლი)“

ვაჟა-ფშაველა

ქისტებმა ქვრივ ქალთან დაახლოება შეატყვეს თანასოფელელს. ასეთი რამ მათ სოფელში ჯერ არავის ჩაედინა. ქისტები ჭკუის საკითხავად შატილში წასულან. შატილში მხოლოდ პატარა ბავშვები დახვედრიან, უფროსები სათიბ-სამკალებში ყოფილან მაღალ მთებში. ქისტებმა უკან გაბრუნება გადაწყვიტეს, ბავშვები გადაუდგნენ. რამ შეგაწუხათ, იქნებ ჩვენ დაგებმაროთო.

ქისტებს გასცინებიათ, თან კმაყოფილები დარჩენილან, შველა რომ შესთავაზეს ყმაწვილებმა.

– ჩვენს თანასოფელელს ღმერთი გაუწყრა და ჩვენივე სოფელელ ქვრივ ქალთან დაიჭირა საქმე, არ ვიცით, როგორ მოვიქცეთო...

– მაგას რა ცოდნა უნდა, შუადღისას „ღმერთგამწყრალი“ თანასოფელელის ჩრდილს თოფი დაჰკარით და ჭკუაზე მოვაო; სწორ გზაზე თუ არ დადგება, მაშინ თოფი ჩრდილის პატრონს მოხვდებაო. პატარა შატილიონებისთვის მადლობა გადაუხდიათ ქისტებს და სოფელი დაუტოვებიათ მათი სიბრძნით გაოგნებულებს.

სამგლოვიარო რიტუალი

ხევსურეთი საქართველოს ის უნიკალური კუთხეა, სადაც დღემდე შემორჩა მიცვალებულის კულტის ამსახველი ძველ-თაძველი წეს-ჩვეულებები და მაღალმხატვრული სამგლოვიარო პოეზია, ე.წ. ხმით ნატირლები.

გარესამყაროსგან თვეობით მოწყვეტილ და დიდწილას იზოლირებულ ხევსურეთში სავალდებულო მწიგნობრივი და მორალურ-ეთიკური ნორმების ჩარჩოებში იყო მოქცეული ღირსეული წინაპრების ხსოვნისა და სახელის ხაზგასმული პატივისცემა.

ადამიანი აღსასრულის შემდგომ იმ ღვაწლით და ამავით ფასდებოდა, რაც მას მშობლიური კუთხის, ანდა მთლიანად ქვეყნის მიმართ მიუძღოდა; საამაყო გმირებისა თუ მშვიდობიან თანამემამულეთა დამსახურების ხშირი ხსენება მოზარდთა არსებაში იმ სათუთ სიმებს ათრთოლებდა, რომლებიც უშუალოდ იყვნენ გადანასკვლავი პატრიოტულ აღმაფრენასთან, სამშობლოს წინაშე პიროვნული მოვალეობის პირნათლად შესრულების შეგნებასთან, მისი დაცვისა და კეთილდღეობისთვის ბრძოლასთან.

ხევსურეთში, ისევე როგორც მის მეზობელ კუთხეებში, სამგლოვიარო რიტუალის მსვლელობას თან ახლდა ერთგვარი შემოქმედებითი პროცესი: ზეპირად იქმნებოდა მწუხარე ლექსები, რომელთა ავტორები, ხშირ შემთხვევაში, უძირო და უსწავლელი გლოვის მგოსნები იყვნენ.

„წამი უმწვერვალესი მწუხარებისა, წამი საუკუნოდ გაყრისა“ (ნ. დადიანი) გამოცდილ, პროფესიონალ მოტირლებში საგრძნობელ სულიერ გრადაციებს იწვევდა. და იბადებოდა უაღრესად სადა, წრფელი, უმწვავესი ადამიანური დარდით და ტკივილით გაჯერებული არაჩვეულებრივი პოეზია.



მუცოს სასაფლაო



სულის ცხენი

*შენ გინდან შენვერნ მტირალნიო,
შენის კაცობის დამფასავნიო,
წვიმათოდენნი გინდან ცრემლნიო,
მასკვლავთოდენნი სათვალავნიო...*

მიცვალებულის გაპატიოსნება და სულეთში ღირსეული გაცი-
ლება, მისთვის აზათის დადევნება და საკუთვნოს მიგება წარ-
მოდგენდა ჭირისუფალთა უმთავრეს საფიქრალს, საწუხარს,
საზრუნავს.

მთაში, ზოგადად, მიცვალებულის დაფასების ერთ-ერთი ყვე-
ლაზე თვალსაჩინო გამოხატულება მისი მხურვალე დატირება
იყო; დატირება, რომელიც სიტყვიერად გამოითქმოდა, ურითმო
ლექსად ფორმირდებოდა და მგლოვიარე ხალხის გულს მალა-
მოდ ედებოდა, ეფინებოდა.

ვიქტორ ნოზაძის ნათქვამი რომ გავისხენოთ, „მოთქმა არის
არა უბრალოდ ტირილი და ხმა მაღლად გამოთქმა თავისი მწუ-
ხარებისა, არამედ მკვდრის თუ დაკარგულის შექება, ლამაზად
მოსხენებაა და მისი მჭევრმეტყველურად დახასიათება, – ეს
არის გლოვის პოეზია“.

ხმით დატირება – იმპროვიზაციის სპეციფიკური აქტი – თა-
ვისთავად გულისხმობს შთაგონების მომენტს. ჭეშმარიტი პო-
ეზიის უშრეტი სათავე ხომ, უმეტესწილად, ღრმადამიანური
დარდი და ტკივილია. სულისშემძვრელი სევდაა ის საფანელი,
რომელზეც ფხიანი ფრანგულივით მჭრელი პოეტური სტრიქო-
ნები იჭედება... და ყოველი სახელოვანი კაცისა თუ ქალის სიკ-
ვდილი ტრადიციაზე დამყარებული ახალი ნატირლის შექმნის
იმპულსად, სათავედ და მიზეზად იქცეოდა ხოლმე ხევსურეთში.



მიღმახევის სასაფლაო

*ვეფხვო, დახყარე იარაღიო,
არწივო, დაიჭუჭხენ მხარნიო,
ჯიხვო, საწოლთით გადმალვარდიო,
ირემო, დაინაცენ რქანიო...*

ხევსურეთში აუგად, სამარცხვინო საქციელად მიიჩნეოდა ცოლის მიერ ქმრის დატირება. ჭირისუფალს თავშეკავება, ცრემლის მალვა, „ჭირსა შიგან გამაგრება“ მართებდა. ამას ყველა როდი ახერხებდა. იშვიათად, მაგრამ მაინც ხდებოდა დაუწერელი წეს-ჩვეულებითი ნორმების დარღვევა. მოტირალი ხვდებოდა თავისი ქმედების უხერხულობისა და „თვითდამღვევის“ მიზნით თავადვე აღნიშნავდა, რა შეიძლება მოჰყოლოდა მის ნებით თუ უნებლიე გადაცდომას ადათების საუკუნოვანი გზიდან:

*გამიგინებენ ლაღნი კაცნი,
ყმაწვილ-ყმოწვილნი უმეცარნი,
ქმარს ტირის ტოლათ შუქიაი,
შეგდის კვირაის ახალდალი...*

ქართველი (და არა მხოლოდ ქართველი!) ხალხის მკვიდრი რწმენა-წარმოდგენით, მიცვალებული მშით, მშის ჩასვლამდე უნდა მიებაროს მიწას. მზეთუკან მკვდრის დაკრძალვა, გარდა გამოუვალი სიტუაციებისა, არ შეიძლება, არ ვარგა, ვინაიდან „ხთისად უკლობის, უბედურების თხოვნა“.

სწორედ ამგვარი ხალხური წარმოდგენის წიაღში უდგას ძირი ხევსური ქალის ნატირალს შვილზე, რომელმაც სამუდამოდ უნდა დატოვოს სამშეო, ახლობლები, ტოლ-სწორები და უსიხარულო სულეთში გადასახლდეს.

*მშვეო, დადევ და დავვიანდიო,
მზე სდგებარ უკენობისაო,
გამშვიდობებენ ბერდიასაო,
ვიყრებით დედაშვილობითაო...*

ხევსურეთში წლისთავამდე გრძელდებოდა გარდაცვლილის „ტალავართ გაშლა“ და გულითადი გლოვა. წლისთავზე „ჭირი გატყდებოდა“, „ჭერი აიხდებოდა“ და თემი თუ სოფელი, მორიგ უბედურებამდე, ცხოვრების ჩვეულ, სადავ რიტმს დაუბრუნდებოდა.

გამომდინარე იმ რწმენა-წარმოდგენებიდან, რომ იმქვეყნად ისეთივე ცხოვრებისეული მოთხოვნილებები არსებობს, როგორიც საქაოს, განსვენებულს თან ატანდნენ საბრძოლო იარაღს, წინდა-ხელთათმანს, პურ-წყალს და თამბაქოს. ასევე, სოფლის შორიახლოს მის სახელზე მოეწყობოდა და დაილოცებოდა წყარო, იკურთხებოდა ძუა-ფაფარ დაწნული და ლამაზად შეკამშული სულის ცხენი და დაკრძალვის დღესვე ანდა წლისთავზე გაიმართებოდა დოღი. ნგარდა ამისა, დგამდნენ „ლაბახს“ – თოფს ისროდნენ მიზანში და ეს შეჯიბრი გრძელდებოდა მანამ, სანამ ვინმე „სამიზნეს“ არ „მოხსნიდა“.

ხევსურეთის ნებისმიერი ხეობის მგზავრი უეჭველად გადააწყდებოდა ე.წ. „სულის წყაროებს“, კონკრეტულ მიცვალებულთა სახელობით ბინულებს, აავსებს სასმისს, გულს გაივრილებს, წყურვილს მოიკლავს და შენდობას შეუთვლის უცნობ ადამიანს, ვინც გულსაკლავად ადრე დატოვა აქაურობა და მარადისობას შეუერთდა.

ხევსური ქალი უებრო ხმით მოტირალია. მის ნატირლებში ცხადად ჩანს სიკვდილ-სიცოცხლის ფილოსოფიური ხედვა:

*სიკვდილო, თვალითამც აგაჩინაო,
კლდეში ჯიხვადამც შაგაყენაო,
მემრ მენადირენ შავიყარნაო,
შენ თავიმც ანადირებიაო.*

სოფელ ანატორში შავი ჭირი გაჩენილა. ჭირმორეული ავადმყოფები თავისი ფეხით შედიოდნენ აკლდამებში და სასიკვდილო სარეცლებზე წვებოდნენ. სოფელმა გადაწყვეტილება მიიღო: შავი ჭირი ანატორიდან არცერთ სხვა სოფელში არ უნდა გავრცელებულიყო. სამ მეთოფს დაავალეს სოფლის სამივე გასასვლელის კონტროლი, რომ არავინ გაპარულიყო. თუ მაინც ეცდებოდნენ, მეთოფებს სროლის უფლება ჰქონდათ.

ერთ დღეს ოცამდე ახალგაზრდა გამოსულა სოფელ ანატორიდან აკლდამებისკენ. ფანდურით ხელში სიმღერით მიმავალ ახალგაზრდას უნა მყევბოდნენ ჟიპიტაურითა და ყანწით თავიანთი შესანდობრების მთქმელი ვაჟკაცები.

პოეზია

ხევსურეთი ხალხური ლექსის სამშობლოა. ხევსურულ პოეზიაში ასახულია ადგილობრივთა ყოველდღიური ცხოვრების ნებისმიერი სფერო.

უძველესი კუთხის ისტორიული წარსული მის ძირაქ, ძარღვიან ლექსებშია გადმოცემული.

ესაა მართალი მხატვრული მატიანე, რომლის შემეცნებით-ესთეტიკურ ღირებულებას მის შემქმნელთა ბუნებითი, თანდაყოლილი ნიჭიერება განაპირობებს.

ლექსით აღინიშნება ხევსურის დაბადება და ლექსითვე მიაცილებენ მას საუკუნო განსასვენებელში.

უღელქოდ ხევსური კაცის ცხოვრება წარმოუდგენელია.

შინ თუ გარეთ, გზაში, სამკალ-სათიბში, სახნავსა თუ სანადიროში თანმდევი უკვდავი სულივით დაჰყვებოდა ხევსურს პოეტური სიტყვა, პოეტური პწკარი და ცხოვრების სიმძიმეს უმსუბუქებდა, კაემანს უქარვებდა, დაჭრილ გულს უმთელებდა.

ნიშანდობლივია, ერთი ხნიერი ხევსური დიაცის ნათქვამი: „ვითაი ნათქმებ! როსაც მიოლ-მაოლ, სრუ ლექსნ მეხვევიან. იმეებს რა მაიგონებს, იმეებს რა მასთვლის!“

„სიმღერე“, „ლექსი“ და „შაირი“.

პირობითად, ამ სამი სახელწოდების ქვეშ ჯგუფდება უძირო ხევსურული პოეზია, რომელსაც „მათქვამი“, „მელექსე“ და „მე-შაირე“ ქმნიან.

ლექსს არა მხოლოდ სინამდვილის დახატვისა და მსმენელთა თუ მკითხველთა იდეური აღზრდის ფუნქცია ჰქონდა მინიჭებული, მას სიმართლის კოდექსის დანიშნულებაც გააჩნდა.





ხევისურულ ხელოვნებაში
სიყვარული ერთ-ერთი მთავარი
თემაა

მართლის თქმის პრინციპის ერთგული მეღვესეები მოსაწონს აქებდნენ, ადიდებდნენ, ხოლო საგმობსა და სამარცხვინოს სენავდნენ და ამათრახებდნენ.

სწორედ ამაზე მიუთითებს ხევისურ მეღვესეთა ქმედების აღმნიშვნელი ორი ტერმინი: „ქება“ და „სენავა“.

ხევისურული პოეზიის დედა-ძარღვსა თუ „პრიორიტეტულ“ მიმართულებას საგმირო თემატიკის ათეულობით ბრწყინვალე ლექსი შეადგენს.

ხევისურ მეღვესეთა რეპერტუარში გაერთიანებულია ზურაბ არაგვის ერისთავის ციკლი და ბახტრიონის საბრძოლო ეპოპეისადმი მიძღვნილი ნაწარმოებები, გორსა თუ აწყურში ხევისურთა გმირობის ამბები და ჩრდილოკავკასიელ ტომებთან პერმანენტული ბრძოლები, თორღვა ძაგანის, მამუკა ქალუნდაურის, ზეზვა გაფრინდაულის, ხირჩლა ბაბურაულის, მთრეხელისა და შიოლა ლუდუშაურის, გაგა ბერდიშვილისა და სხვათა საომარი თავგადასავლები. საერთოდ, კაი ყმის ხალხური იდეალის მხატვრული ხორცშესხმის უამრავი შესანიშნავი ნიმუში.

ხევისურეთში ადამიანური ღირსების საზომად ოდითვან ითვლებოდა სტუმარ-მასპინძლობა. სტუმრისთვის დახვედრა, რიგიანი გამასპინძლება და პატივით გასტუმრება დამხვედურის დიდბუნებოვნებას მოწმობდა. საპატიო სტუმარს მასპინძელიც შესაფერისი ჰყავდა. მათ შორის გაბმული ნათესაური სიახლოვის ჯაჭვი თაობებს გადაეცემოდა. პურად კაცს, ღირებულებათა იერარქიაში, გულადმე მაღლა აყენებდნენ. ამის უტყუარი დასტურია თუნდაც ეს პოეტური სენტენცია:

*არშის თავს ვეფხვი დავკოდე,
სამჯერ საომრად მეტია,
პურადი კაცი მამაცმე,
სამის გაფრენით მეტია...*

პოლითემატური ხევისურული პოეზია ადამიანურ განცდათა გადმოცემის დიდოსტატური ხერხებით ხასიათდება. ეს, უწინარეს ყოვლისა, სატრფიალო ლექსებზე ითქმის. „სიყვარულის“ შესატყვისი დიალექტური ტერმინები „ნდობა“ და „სურვილი“ ნათლად მიუთითებენ იმ გრძნობის სიმძაფრეზე, რომელიც კაცობრიობის გაჩენის დღიდან არსებობს. ხევისურები სატრფიალო



მწერალი შოთა არაბული

პოეზიის ნიმუშებს „საქალავაჟო“ და „ახლუბლურ“ ლექსებადაც მოიხსენიებენ. მათში, იშვიათი გამონაკლისების გარდა, აქცენტი დასმულია ქალ-ვაჟის სუფთა, ამაღლებულ ურთიერთობაზე. უღირსად ითვლება ვაჟი, ვისაც თვალი ფარავის ღილზე უჭირავს და სავაჟკაცო ქმედების ნაცვლად, არშიყობისკენ მიუწევს გული.

კიდევ ერთი „ავტონომიური“ სფერო, ხევსურული პოეზიის ნაკადში რომ იკვეთება, გახლავთ ნადირობა. სამონადირეო ჟანრის ლექსებში იმ მკაცრ, უდაბურ, უკაცრიელ გარემოს ვეცნობით, სადაც უმთავრესად ჯიხვები ბინადრობენ და მრავლდებიან.

ხოლო ამ რკალის პოეტური ფოლკლორის დიდ ქვეყანაში ძვირფას თვალისთვის ბრწყინავს ბალადა „ვეფხვი და მოცმე“, რომლის მეორე, შედარებით ახალი ნაწილის ავტორია არხოტონი ხევსური გიორგა ჯაბუშანური.

ხევსურულ პოეზიაში სინამდვილის მკვეთრ კონტურებს ბუნებრივად ერწყმის წარმოსახვისმიერი რეალობა. ლექსითი თქმულებების სიუჟეტურ ქარგაში ჩაწულია ეს არქაული რწმენა-წარმოდგენები, ქართველ ხალხს რომ შეუმუშავებია. „ციხის ნაშალი“, „იახსარი“, „კობალა“, „ჯაბურთ ეშმა“ თუ „დევების ქორწილი“ ზეპირსიტყვიერების ის უმნიშვნელოვანესი ძეგლებია, ადამიანის ფანტაზიის უნაპირობას რომ მოწმობენ.

თავის დროზე აკაკი შანიძემ მიაქცია ყურადღება ხევსურეთში „მთიბლურებად“ სახელდებულ პოეტურ ტექსტებს, რომლებსაც მთიბლეთი შრომის პროცესში, თიბვისას ასრულებდნენ. მთიბლურები, ხმით ნატირლებთან, ნაქადაგრებთან, ფერხულებთან და ჯვარ-ხატთა სადიდებლებთან ერთად ქართული პოეზიის ძირხატს, მის უძველეს სახეობებს წარმოადგენენ. მათი რიტმი და მუსიკალური ხმოვანება იმ ეპოქისაკენ მიმართავენ ჩვენს მგერას, როცა ფიზიკური ძალისხმევა განუყოფლად იყო დაკავშირებული შემოქმედებით შთაგონებასთან, მხატვრული ქმნილებების ზეპირ, იმპრივიზირებულ თხზვასთან.

აი, მთიბლურის ტიპური ნიმუში:

ცელ-ცუდაო და ცოლ-ცუდაო,

მთიბლო ვეღარაისაო.

ცელ-ლამაზო და ცოლ-ლამაზო,

მთიბელჩი ნამხრევმშვენიერო...



მომღერალი გელა დბაძის
ხევისჭირი საღამომი

ზოგიერთი მთიბლური სამგლოვიარო მოტივზეა „მორგებულის“ და, შეიძლება ითქვას, უფრო მეტ მსგავსებას ხმით ნატირღებთან აშუღანებს, ვიდრე შრომის პოეზიის ნიმუშებთან. ასეთ მთიბლურებს „გვრინიც“ ეწოდება.

მთიბლები მათ „გვრინავენ“, ე. ი. წამღერებით ასრულებენ გლოვის ხმოვანების შემცველ ურითმო ლექსებს

სიკვდილი, საერთოდ, ხევსურული პოეზიის მარად ძველი და მარად ახალი თემაა. სიკვდილის ცელით „ჩათბული“ ახალგაზრდობის ხსოვნის უკვდავყოფა მე-

ლექსეების საპატიო ვალია. „მოსაგონარში“, ანუ სხვაგვარად „მკვდრის ანდერძში“ პიროვნების დამთრგუნველ უიმედობას თავისებური პათეტიკა სჭარბობს, პათეტიკა, რაც, თავის მხრივ, ტრაგიკული ტონალობითაა გამსჭვალული.

*ციხე სტირს შექიაურთა, უხმობს ქვითკირის ფარია,
სიკვდილსა მარტიასას იწყენს წყალშუის ჯვარია:
ორივ დამეცა ბედელი, დროშას შამიწყდა ზარია,
პატრონ მარტია მამიკვდა, მტერმ შამამართვა თვალია...*

მიუხედავად იმისა, რომ შეუზღუდავია ხალხური ლექსის „ამოთქმის“ დრო და ადგილი, მელექსე შემოქმედებითი „წვისთვის“ არ ეძებს შესაფერის პირობებს, სიმარტოვეს და საგანგებო სიმყუდროვეს, მაინც სახელდება ხოლმე დრო, როცა ყველაზე ხევარიელი პოეტური „მოსავლის“ მოწვევა შესაძლებელი:

*დაბლა დაყინა ქვიშანი, მაღლა დატოვნა მთანია,
დაგვიდგა გიორგობისთვე, ლექსის საუბრის ხანია...*

ზოგიერთი „მათქვამი“ ლექსის ბოლოს საკუთარ ვინაობასაც გვიმხელს (მოკრძალებული სურვილი თავისი ნაამგარის არდავიწყებისა:

ლექსო, არ დაიკარგები, ნათქვამო ომბასო.

ხშირია მიმართვა მუსიკალური საკრავისადმი. ეს, როგორც წესი, ლექსის დასაწყისში ხდება ხოლმე. უძველესი ტრადიციის კვალი და ნახევრი (პრელუდიის ადრესატად, ღვთაებათა დასახელება ძველ საბერძნეთში) ხევსურულმა პოეზიამ ფანდურისა თუ გარმონის ქებაში გამოხატა:

დაუკარ, ჩემო ფანდურო, ანგელოზივით ხმინო...

ასეთ ნიმუშებში ინსტრუმენტი შემოქმედებითი აღგზნების წყაროდ გვევლინება.

ხევსური მელეესები, კაი ყმათა ხოტბისა თუ მოსაგონართა ავტორები, თავიანთი გარჯის საზღაურად, სიმბოლურ საჩუქარსაც ითხოვენ ხოლმე, მერწილად, ჭურჭელს ანდა სასმისს. და ამას აკეთებენ არა მატერიალური ფასეულობის შეძენის სურვილით, არამედ იმისთვის, რომ ლექსის ადრესატისთვის შენდობის შეთვლის შესაძლებლობა მიეცეთ:

სალექსო გამამიგზავნე, ჭრელი ჭურჭელი ქვისაო,

გამომიყოლე ჭიქაი, სასმელი არაყისაო...

ხევსურეთში დღესაც ცოცხლობს მელეესების ძირძველი ტრადიცია, ცხოვრებისეული გამოცდილების მხატვრულ სიტყვად გარდასახვის ოდინდელი ხელოვნება. და ეს მყარი წინაპირობაა საიმისოდ, რომ მთებში გამოკეტილი ეს კუთხე კვლავაც რჩება მკვლევართა თუ მოგზაურთა მზარდი ინტერესის უნიკალურ ობიექტად.

ცნობილ ხალხურ მელეესესა და ზეპირსიტყვიერების შემკრებზე ბესარიონ გაბურზე მისი ქალიშვილი ამბობს: „თავისად ლექსების საუბარ იცოდის საქმის კეთებაში. რო გულ გეძლივ, სრუ ლექსთ ჩიფრიფედის... ფვნაში, ფარნ რო დავასვენნიდთა თივა მიუყარიდით... ჩადვის გუთნის კვალში, ქვან აიღნისად მჯიღზე იკაწრნის ლექსნ. მტყელ მჯიღ ხეონდის, მაფსონს... მემრ შინ მისულმ ქალაღდზე გადასწერის.“

ზამთრის, ქალაღდ რო გაუთავდის, კედლებზე სწერდის ლექსებს, ცალია ალაგს ვერ ღნახევდ ჩვენ დედა-ბოძზე, სრუ ლექსებით იყვის ვაგსიღო...”

ლექსი ვეფხვისა და მოყმისა

მოყმემ თქვა, პირშიშველამა,
 შიბნ გავიარე კლდისანი,
 მოვინადირენ, დავლახენ,
 ბილიკნი ჭიუხისანი.
 შამამხვდეს კლდისა თავზედა
 ხორონი ჯიხვებისანი,
 ჯიხვსა თოფ დავკარ ბერხენსა,
 ჭალას ჯახნ იქნენ რქისანი.
 შავვარდი ვეფხვსა ნაწოლსა,
 დრონ იყვნეს შუალამისანი,
 ვეფხვი რომ წამამიფრინდა,
 თვლანი მარისხნა ხთისანი.
 შაიბნეს ვეფხვი, მოყმეი,
 მაშინ დაიდრნეს მიწანი,

კლდეები ჩამაინგრივნეს,
შტონ დაილეწნეს ტყისანი,
დრო არარ დარჩა მოყმესა,
ხანი რო ჰქონდეს ცდისანი.
ფარსა უფარებს, ვერ ჰფარავს,
ვეფხვი ჩქარია კლდისანი,
გაზით გაართვნა კალთანი,
ჯაჭვისა ჯავშანისანი.
მოყმემაც ხელში იყარნა
ვადანი თავის ხმლისანი.
მაშინ გაუჭრა ფრანგულმა,
დრონ იყვნეს წაქცევისანი.
ვეფხვი კლდით გადმაეკიდა,
ჩამაწითნა ქვიშანი.
თაოდ კლდის თავზე შამაწვა
მოყმე სულამამდინარი,
ქვიშას მაჭლებავს წითლადა,
სისხლი ზედ ჩამამდინარი.
ვინ ეტყვის მაგის დედასა,
კარს უსხედს ქადაგ-მკითხავნი.
უერთოდ კი არ იხარჯნეს
ჩვენ მონადირის ისარნი.

იარებოდა დედაი
ტირლით თვალცრემლიანი,
ჩემს შვილს გზად ვეფხვი შაჰყრია
გაჯავრეული, ტიალი,
ჩემს შვილს – ხმლით, იმას – ტოტითა
დღე დაულამდათ მზიანი.
არც ვეფხვი იყო ჯაბანი,
არც ჩემ შვილ შახვდა ჭკვიანი,
მათ დაუხოცავ ერთურთი,
არ დარჩენ სირცხვილიანნი.
ტირლით წყლულებს უხვევდა
ვეფხვის კლანჭებით დაჭრილსა,
შვილო, არ მახკვდი, შენ გძინავ,
დაქანცული ხარ ჯაფითა,
ეგ შენი კაბის კალთები
ტიალმა როგორ დაფლითა?
შენც იმის საფერ ჰყოფილხარ,
ხმალი ქნვაში გაგიცვდა.
არც იმან მოგცა მეტი დრო,
აღარც შენ დააცალია,

ველარც შენ დაიფარიე
 შენ ხელთ ნაჭერი ფარია,
 ველარცა ვეფხვმა ტოტები,
 ხმაღმა დაკუწა ძვალთა.
 მაგის მეტს აღარ გიტირებ,
 შენ არ ხარ სატირალთა.
 ლაშქარში, მეგობარშია
 არ იყავ საწუნარია.
 მშვიდობით, ჯვარი გეწეროს,
 ეგეც სამარის კარია,
 ერთ შვილ ხო მაინც გაგზარდე,
 ვეფხვებთან მეომარია.

ხან ვეფხვი, ხან თავის შვილი
 ელანდებოდა მძინარსა,
 ხან ვეფხვი ვითომ იმის შვილს
 ტანზეით აყრის რკინასა,
 ხან კიდენ იმისი შვილი
 ვეფხვს გადაავლევს ყირასა.
 აი, ამ სიზმრებს ხედავდის,
 გამაელვდიხს მტირალსა.
 ხან იფიქრებდა, უდედოდ
 გაზრდა ვინა თქვა შვილისა,
 იქნება ვეფხვის დედაი
 ჩემზე მწარედა სტირისა.
 წავიდე, მეც იქ მივიდე,
 სამძიმარ უთხრა ჭირისა,
 ისიც მიაბობს ამბავსა,
 მეც უთხრა ჩემი შვილისა,
 იმასაც ბრალი ექნების
 უწყალოდ ხმლით დაჭრილისა!

„მგლოვიარე დედა შვილის მზნევის (ამ შემთხვევაში, ვეფხვის) დედასთან მიდიოდეს, მიიჩქაროდეს და მზად იყოს მისი მწუხარების გასაზიარებლად. ასეთი რამ მსოფლიოს ხალხთა სიტყვიერებაში არ მოიძებნება. შვილის მკვლელის მშობლებთან თანაგრძნობის გამძლე ძაფის გაბმის ცდა და სურვილი ჩვენი ფოლკლორული შემოქმედების კუთვნილებაა! აი, ხევსური მელექსის მხატვრული ამროვნების თვალსაჩინო მაგალითი“.

ამირან არაბული

სარწმუნოება

ხევსურთა სარწმუნოებრივი სისტემა სიმბიოზია წარმართობისა და ქრისტიანობისა. ღვთაებათა სიმრავლე ანუ პოლითეიზმი დასტურია იმისა, რომ უხსოვარ დროში ხევსურები ქრისტიანობამდელი რწმენა-წარმოდგენებით სარგებლობდნენ. მათ სწამდათ ცა-ღრუბლისა და ლაშქრობის, მეკობრობისა (მეკობრეობა) და მონადირეობის, სვილიერებისა და საქონლის მფარველ ღვთისშვილთა არსებობა. ეთაყვანებოდნენ და ემსახურებოდნენ ზეციური ძალების მიწიერ საბრძანისებს, ანუ ჯვარ-ხატებს, მიჰქონდათ მათთვის შესაწირი წლის გარკვეულ დროს. ჯიხვისა და ირმის რქებით ამკობდნენ ნიშებს, სათემო და სასოფლო სალოცავებს, საკულტო ნაგებობებს.

თემი ჯვარ-ხატის საყმოდ, ხოლო თვითოეული მეთემე მამაკაცი მის ყმად იწოდებოდა.

თემის მმართველობის უზენაეს ორგანოს წარმოადგენდა „დარბაზი“, რომელიც როგორც საშინაო, ისე საგარეო საქმეებს არჩევდა და გამოჰქონდა განაჩენი.

არათანაბარი ძალა და გავლენა ჰქონდათ იერარქიის სხვადასხვა საფეხურზე განმწესებულ ზეგუნებრივ ძალებს. მათ, თავის მხრივ, ჰყავდათ თანაშემწეები მწევრების, იასულების, დობილების სახით.

ჯვარ-ხატების საბრძანებელი წმინდა ადგილად ითვლებოდა. ე.წ. „კკრივთან“, საკულტო ობიექტის შუაგულურ ნაწილთან მისვლის უფლება მხოლოდ ხუცეს-ხევისბერებს ჰქონდათ.

დადგენილი იყო მიჯნა, რომლის გადალახვა და სამლოცველოსთან მიახლოება მდედრობითი სქესის წარმომადგენლებს ეკრძალებოდათ.

ჯვარ-ხატის მსახურთა ერთობლიობა „დასტურ-ხელოსნების“ სახელწოდებით აღინიშნებოდა. მათი პრეროგატივა იყო სადღესასწაულო რიტუალების გაძღოლა. ხელოსნის – საუფლო საქმეთა ხელმძღვანელის – არჩევა ჯვარ-ხატების ნებით ხდებოდა. ესა თუ ის ღვთაება ხალხის სიმრავლიდან ამორჩეულ კონკრეტულ პირს „დაამიზეგებდა“ (დააავადებდა) და ამ გზით აიძულებდა, მის სამსახურში ჩამდგარიყო. ხუცესის ხელქვეითობას ასრულებდა დეკანოზი. იყვნენ უფლებრივად მათზე დაბლა მდგომნიც: ჩანჩხი (ვინც ხატის მამულებს ამუშავებდა და ჭირნახულს მეთვალყურეობდა), მედროშე, მეგანძური, ხატის დიასახლისი და ა.შ.



ხელოვნება და ყოველდღიური ცხოვრება არაა ერთმანეთისგან შორს



ხატი უკანაფშავში

ხუცესი, იგივე ხევისბერი, წინამძღოლი იყო არა მხოლოდ სასულიერო ცხოვრებაში, მასვე ევალებოდა საომარი და სამართლებრივი საკითხების წარმართვა და გადაწყვეტა.

ფუნქციონალურად ერთმანეთს უტოლდებოდა ხუცეს-ხელოსანთა ინსტიტუტი ხევსურეთში და ხევისბერის ინსტიტუტი ფშავში. კულტის მსახურთა შორის თვალსაჩინო პერსონა იყო ქადაგი, ერთ-ერთი მთავარი ქურუმი, რომელიც მრევლსა და ღვთისშვილებს შორის შუამავლის ფუნქციასაც ასრულებდა. მას ავი თუ მშვიდობიანი მომავლის წინასწარმეტყველების უნარიც მიეწერებოდა.

რელიგიური თუ საზოგადოებრივი საქმეების მოწესრიგების განმრავლით ქადაგს ჯვარ-ხატის პრიმიტიულ ნაგებობაში დასვამდნენ. ის უხილავ ციურ ძალებთან „ამყარებდა“ კონტრაქტს და მათ ნება-სურვილს ხალხს ატყობინებდა (აქ შეიძლება გავიხსენოთ ვაჟა-ფშაველას პოემა „ბახტრიონის“ დასაწყისი, სადაც „განაცრებული“ ქადაგი ლაშარის ჯვარს ელაპარაკება და მის გადაწყვეტილებას მეომრებს ამცნობს).

სახელდება ცოტათი განსხვავებული კატეგორიის კიდეც ერთი სასულიერო პირი – „მკადრე“. ის ხატის მიერ იყო „დატერილი“. ღვთისშვილი მას ფრინველის, ცეცხლის ანდა ჯვრის სახით ეცხადებოდა და ხილულად ესაუბრებოდა.

ხევსურეთის საკრალური გარემო იცნობს რამდენიმე გამორჩეულ, სახელგანთქმულ მკადრეს. ესენია: მინანი, ვიდაური, ბასხაჯაური, გახუა მეგრელაური, მგელა ჯაბუშანური, საღირა ჭინჭარაული.

ხევსურეთში ყველაზე მასშტაბური და ხალხმრავალი დღეობაა „ათენგენობა“. იმართება ივლისის მეორე ნახევარში. ამ

დროს მთის სამლოცველოებში მიდიან არა მხოლოდ მათი „უნჯი“ (მკვიდრი) ყმები, არამედ დიდი ხნის წინათ ბარში გადასახლებული მლოცველებიც.

როგორც ბოლო დროის კვლევებმა აჩვენა, „ხევსურები მართლმადიდებლები ქრისტეშობამდე იყვნენ! ანუ მაშინ, როცა ისინი „ძველი აღთქმის“ რჯულით ცხოვრობდნენ. მესიის განკაცების შემდეგ ხევსურთა დიდი უმრავლესობა ე.წ. „თვითრჯულის“ მდგომარეობაში აღმოჩნდა და საღმრთო მადლის კლებაც ნელ-ნელა დაეტყო ამ კუთხეს“ (ლელა გაბური).

მითოლოგია

ხევსურული ზეპირსიტყვიერების ძეგლებს შორის საპატიო ადგილი უჭირავს მითოლოგიურ ლექსებსა და გადმოცემებს, რომელთა გულისგულს ღვთის შვილთა ანუ ლოკალური ხასიათის დარგობრივ ღვთაებათა გაჩენისა და თავგადასავლების მხატვრული თხრობა შეადგენს.

უძველესი სიუჟეტის თანახმად, ციურ ძალთა პანთეონში უზენაესი ღვთაებაა მორიგე („მორიგე ღმერთი“), რომელიც ქვეყნის მართვაში უშუალოდ არ მონაწილეობს (მას საამისოდ სათანადო უფლება-მოვალეობებით აღჭურვილი ხელქვეითები ჰყავს) და, როგორც მისი სახელწოდებიდან ჩანს, მხოლოდ და მხოლოდ ამქვეყნიური წესრიგის გამგრიგაა.

„ფშაველები და ხევსურები, – წერს ივ. ჯავახიშვილი, – უზენაეს ღვთაებას „მორიგეს“ უწოდებენ“...

უხსოვარ დროში ფშავ-ხევსურეთის ტერიტორიის დიდი ნაწილი ავსულებს, ბოროტ ძალებს, ე.წ. დევკერაებს სჭერიათ. მათ ადგილობრივი მოსახლეობა უვიწროებითა და უჟღერტიათ. აზგეურებელი ავსულების მომრევი არავინ ყოფილა. საამქვეყნო წესწყობას მოშლის საფრთხე დამუქრებია.

სწორედ ამ დროს, სხვა ღვთაებებთან ერთად, „დასახა“ მორიგე ღმერთმა იახსარი და კოპალა

სადოცევი მუქეთში





და მათ დევ-კერპებისგან ადამიანთა სამკვიდრო ადგილების გაწმენდა და გათავისუფლება დაავალა.

„ნახორცივლარმა“ (ე.ი. თავდაპირველად, ადამიანის სახით არსებულმა) ღვთისშვილებმა მუსრი გაავლეს ხალხის

მთანჯველ უკეთურ ძალებს და დასაბამი მისცეს საამსოფლო სიმშვიდესა და სილამაზეს.

შემზარავი გარეგნობის დევებთან ერთად, კაცთა მოდგმის დაუძინებელ მტრებად მიიჩნეოდნენ მჭედლობის საიდუმლოს მეფლობელი ქაჯები. მათ სამყოფელს „ქაჯეთი“ ერქვა. გიორგი ნალვარშმვენიერის სახელით ცნობილმა ხახმატის ხატმა ქაჯთა ქვეყანაში გალაშქრება განიზრახა. თან იახლა ხევსურეთის სხვა ღვთისშვილები და გუდანის ჯვრის მკადრე (მსახური) გახუა მეგრელაური.

ზეციურმა მოლაშქრეებმა ქაჯავეთური სამჭედლო დაარბიეს, დახოცეს ქაჯები, მოაცამტვერეს მათი საბუდარი და დიდძალი განძით დაბრუნდნენ სამშეოზე. თან წამოიღეს: თასი, ოქროს ფანდური, ფურის რქა, საკიდელი, ცხრაენიანი ხარი, საცერი და ქურთემული ანუ გრდემლი.

ეს იყო სოციუმის არსებობისა და ნორმალური ფუნქციონირებისთვის საჭირო საგნობრივი ატრიბუტები. გარდა ამისა, ქაჯავეთიდან წამოიყვანეს ქაჯის ქალები: სამძიმარი, მშექალი, აშქქალი და სიმენქალი.

ამათგან გამორჩეულია სამძიმარი, ერთადერთი პოპულარული მდედრი ღვთაება ხევსურეთში, ვისთვისაც უცხო არაა სასიყვარულო ურთიერთობანი მოკვდავ აბულეთაურთ ხოლიგასთან და მატეობის – სხვა სახედ გარდაქმნის, მეტამორფოზის – ზეებუნებრივი უნარი. მისი ეპითეტებია „ხელი“ და „ყვლეღიანი“, რაც ამ არსების სითამამეზე, სიკოხტავესა და მხიარულ ხასიათზე მიანიშნებს.

ხევსურული პანთეონის თვალსაჩინო წევრებია: მოლაშქრე გუდანის ჯვარი („ბერი ბუქნაი ბაადური“), „თეთრი მთის ქორი თერგვაული“ და მჭედელი პირქუში („ცეცხლის ალიანი“, „გვეთეი ყაწიმისა“). უდიდესია თითოეული მათგანის ღვაწლი და დამსხურება, მაღლი და სიკეთე ხევსურეთის საკრალურ ისტორიაში.

რომ არა სხვადასხვა მისიით დედამიწაზე მოვლენილი დარგობრივი ღვთაებების თანადგომა, მფარველობა და წინამძღოლობა, შესაძლოა, ხევსურეთის მიწა-წყალზე დღესაც ისეთივე ქაოსი და შიშინაობა ყოფილიყო, როგორიც უხსოვარ, პრესიტორიულ, დევ-კერპების ბატონობის ხანაში სუფევდა.

ხევსურებს სწამდათ ადგილის დედის – კონკრეტული გეოგრაფიული გარემოს მეთვალყურე ანგელოზისა და – ოჩოპინტეს – ნადირთმფარველი ღვთაების არსებობა.

ადგილის დედას ქალად წარმოსახავდნენ, ხოლო ოჩოპინტეს – მამრად, რომელიც ერთგულად პატრონობდა თავის სამწყსოს და უმკაცრესად სჯიდა დადგენილი წესების დამრღვევ ურჩ მონადირეებს.

ადამიანის დაბადებას, ხევსურთა რწმენით, თან სდევდა ცაზე მისი ბედის ვარსკვლავის გაჩენა. კვდებოდა ადამიანი და ციდან მისი კუთვნილი ვარსკვლავიც წყდებოდა.

ბედის ვარსკვლავის რეალურობაში დაუეჭვებლობა ჩანს ხევსურული ლექსის შემდეგ ფრაგმენტში:

ა, ის მასკვლავა ჩემია,
მარტო რო დაკა ცამედა...

ასტრალური სიმბოლიკა, საერთოდ, ინტენსიურად ფიგურირებს ხალხურ ამროვნებაში. საინტერესოა, ხევსურების წარმოდგენა სამი მზის შესახებ. ხალხური მეღელსე მიჰნატრის ქურამიშვილების ძლიერ გვარს, რომელთათვისაც, განსხვავებით სხვა გვარებისაგან, სამი – პურადობის, მამაცობისა და თოფოსნობის – მზე ამოდის ცაზე.

„მინდი რო დაბადებულ, ცაზე სამ მზე მდგარ“ – ასე გამოხატავს განღმრთობის გზაზე შემდგარი მითოსური გმირის დაბადების უჩვეულობას ხალხური ამბის ხევსური მთხრობელი.

ხოგაის მინდი ქართული მითოლოგიის ის ღირსშესანიშნავი პერსონაა, ვინც ვაჟა-ფშაველას პოემა „გველისმჭამელის“ მთავარი გმირის პროტოტიპად იქცა. ამავე პერსონის არაორდინალური ცხოვრების მხატვრული გააზრების საინტერესო ნიმუშია კონსტანტინე გამსახურდიას ნაწარმოები „ხოგაის მინდია.“

ხევსურული წარმომავლობის მითოსური გმირებია თორღვა ძაგანი, ალექსანდრე ბატონიშვილის უკანონო შვილი და მამუკა ქალენდაური. რიგითი სახელხმიანი გმირებისაგან მათ „ნაწილიანობა“ გამოარჩევთ. „ნაწილიანობა“ (ღვთისნასახობა) უშიშვითესი მოვლენაა და განიმარტება, როგორც ღვთის წილის ფლობა, ღვთიურ საწყისთან წილდებულობა, მოკვდავის არსებაში ზებუნებრივი სუბტანციის არსებობა.

ხალხური პოეზია ორივე მთვანის განსაკუთრებულობას ასტრალური ნიშნების სიჭარბეში ხედავს:



მსხვერპლშეწირვა



როშკას ქვები – მითიური იახსარისა და
დედების ბრძოლის ადგილი

*დიდებულობა დაუთქვებს, ბეჭებს უნახეს ჯვარიო,
მარჯვნივ მზე წერებუღიყვა, მარცხნისკე – მთვარის ნალიო.
აღურდის წყალში გავარდა, ირემმ გაიღწა რქანია,
შამაუბრუნდა, ფარავდა პირზე მზე, ბეჭებს – ფარიო.*

ხევსურულ მითოსში სრულქმნილია საიქიოს უაღრესად შთამბეჭდავი ხატი: გაღმა სოფლის შესასვლელში ასაკოვანი ბიჭები დგანან და ყოველი ახალსულის მომავალ ბედს (სამოთხეში მოხვდება ოთუ ჯოჯოხეთში) მისი ამქვეყნიური საქმიანობის მიხედვით წყვეტენ.

საიქიოში (სულეთი, შავეთი) არის მდულარე კუბრის ტბა. ზედ გადადებულია ბეწვის ხიდი. სცოდვილები უვნებლად გადადიან ხიდზე, ხოლო ცოდვიანები ტბაში ვარდებიან და უკვალოდ იკარგებიან.

საიქიოს შუაგულში ცხრათვალა ციხე დგას და ახალგარდაცვლილებს იღებს. უბრალონი და უდანაშაულონი ზედა სართულებზე თავსებებიან. სიცოცხლეში სიავის ჩამდენთათვის ციხის ქვედა სართულებია განკუთვნილი.

ბუნება



ფშავ-ხევსურეთი

ფშავ-ხევსურეთი მდებარეობს საქართველოს ჩრდილო-აღმოსავლეთით. კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთ და ჩრდილოეთ კალთებზე.

აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან ფშავ-ხევსურეთი მკაფიოდ არის შემოსაზღვრული მაღალმთიანი ქედებით. დასავლეთის საზღვარი შემდეგია (ჩრდილოეთიდან სამხრეთით): კიდევანას ქედი, ჭაუხების მასივი და მდინარეების ქსანის და არაგვის შორის გუდამაყრის და ალევის ქედები. აღმოსავლეთით: მუცოს ქედი, აწუნთის ქედი, ბორბალოს მთა და კახეთის ქედი.

დიდი კავკასიონის იმ ნაწილს, რომელიც ჭაუხების მასივის და ბორბალოს მთის შორისაა მოქცეული ხევსურეთის ქედი ეწოდება. იგი ხევსურეთს ორ ნაწილად ყოფს: პირაქეთ ანუ სამხრეთ ხევსურეთად და პირიქითად ნუ ჩრდილო ხევსურეთად. პირაქეთი ხევსურეთი მოქცეულია ე.წ. ხევსურეთის არაგვის სათავის სხვადასხვა შენაკადთა ხეობებში. პირიქითი ხევსურეთი თავის მხრივ ერთმანეთისგან დაშორებული რამდენიმე ხეობისგან შედგება: მდინარე ასას – არხოტის ხეობა და მდინარე არღუნის – გურო-შატილისა და არდოტის ხეობები. ფშავი ხევსურეთის სამხრეთით მდინარე ფშავის არაგვის აუზს წარუადგენს.

ხევსურეთის ქედისთვის დამახასიათებელია ციცაბო კალთებისა და შედარებით მოსწორებული თხემის განვითარება.

აქაური მთებიდან ყველაზე მაღალია თებულოს მთა (4493 მ). ზღვის დონიდან 4000 მ-ს აღწევს აგრეთვე მთა კიდევანა. ამ მონაკვეთზე მნიშვნელოვანია ასევე ტსნიეს მთა (3499მ), ამლის-მაღალი (3741მ), მახისმაღალი (3991მ), მაისტისმთა (4081მ), კიდევანას მთა (4275მ) მთა ჭაუხი (3842მ), მთა როშკისხორხი (3572მ), საძელისღელე (3085მ), მთა არხოტისთავი (3246მ), მთა ცროლი (3600მ), მთა ბოროლა (2954მ), დიდი და პატარა ბორბალო (3295მ და 3134მ). მნიშვნელოვანი უღელტეხილებია: არხოტის-



ჭაუხის მასივი – ხევსურეთის დასავლეთ საზღვარი



თებულოსმთა (4493 მ.) – ხევსურეთის უმაღლესი მწვერვალი

ლელე (2932მ) და დათვისჯვარი (2663მ), ანდაქი (2887), არხოტის-თავის ლელე (3235მ) და აწუნთა (3431).

რეგიონი ხასიათდება საშუალო და მაღალმთიანი მრავალ-სართულიანი ლანდშაფტით და მოიცავს მთა-ტყის, სუბალპურ, ალპურ, სუბნივალურ და ნივალურ ზონებს. სუბნივალური ლანდშაპტი უშუალოდ ესაზღვრება მარადიულ თოვლებს, ხოლო თავად მარადიულ თოვლებს და ყინულებს ნივალურ ლანდშაპტს უწოდებენ.

ფშავის და პირაქეთი ხევსურეთის ტერიტორიაზე თანამედროვე მცინვარები თითქმის არ შემორჩა. თანამედროვე მცინვარების ერთადერთი წარმომადგენელი ჭაუხის მასივის კალთაზე, მდინარე აბუდეღაურის სათავეში მდებარეობს. მთავარ ქედზე და ბორბალოს მთის მიმდებარე ტერიტორიაზე შეიმჩნევა ძველი მცინვარების კვალი.

არღუნ-არდოტის ხეობაში კარგადაა განვითარებული მცინვარებიანი ქედები, როგორიცაა თებულოს მთა, ამუგო, პირჩიტა, მახის მაღალი და სხვა.

კიდევანისქედის აღმოსავლეთით, ასას ხეობაში არსებობს ცირკული და ჩამოკიდებული მცინვარები, რომელნიც ასაზრდოებენ ასას მარცხენა შენაკადებს – ჭიმლის წყალს, ახიელის წყალს, ჩხათანას.

მცინვარული წარმოშობის მოვლენება შორის აღსანიშნავია ე.წ. მოხეტიალე ლოდების არსებობა როშკის ხორხში. იგი მიეკუთვნება პლეისტოცენური გამცინვარების პერიოდის ძეგლს და ჩამოტანილია მცინვარების მიერ ჭაუხის მასივიდან, დაახლოებით 3700-3800მ სიმაღლიდან. ეს უნიკალური ლოდნარი, ამჟამად თავმოყრილია სუბალპურ სარტყელში (ზ.დ.1950-2000მ-ზე).



ფშავი და პირაქეთი ხევსურეთი

ფშავის არაგვი სათავეს მთა ბორბალოდან ღებულობს.

პირაქეთ ხევსურეთს მდინარე ხევსურეთის არაგვის მთელი აუზი უჭირავს. ხევსურეთის არაგვი შედგენილია სამი მდინარით, რომლებიც სოფელ ლულის მიდამოებში, ზღვის დონიდან 1600-1700მ-ზე ერთდებიან. ესენია მდინარე აბუდელაური, რომელიც ჭაუხის მყინვარებიდან გამოედინება, ოდნავ უფრო ზევით მას უერთდება გორშელმისწყალი, რომელიც არხოტისა და ანატორის უღელტეხილების კალთებიდან მოედინება, აღმოსავლეთიდან კი მოედინება ხახმატისწყალი, რომელიც სათავეს დათვისჯვრის მასივიდან იღებს.

ფშავის და პირაქეთი ხევსურეთის ტერიტორია აგებულია იურული, ცარცული და პალეოგენური ნაფენებით*.

პირიქითა ხევსურეთი

არხოტის ხეობა მაღალია და ხასიათდება ძლიერი დაქანებული ფერდოებით და ციცაბო კლდებით. აღსანიშნავია ჭიმლის კლდეები, რომელნიც დიაბაზებისა და პორფირიტებისაგან შედგება. ასეთივე კლდეებს ვხვდებით ტანიესა და კალოთანის წყალგამყოფ ქედზე.

მდინარეების ასასა და არლუნის ხეობაში შეხვდებით მიწისქვეშა წყლების მიერ დედამიწის წიაღიდან ამოტანილ კიროვანი

* იურული პერიოდი დაიწყო 195 მილიონი წლის წინ და დასრულდა 140 მილიონი წლის წინ. ცარცული პერიოდი – 135-137 მილიონი წლიდან 70-67 მილიონ წლამდე. პელეოგენური პერიოდი დაიწყო 67 მილიონი წლის წინათ და გრძელდებოდა 42 მილიონი წელი.


ნივთიერებების გამოყოფას – დალექვის შედეგად დაგროვილი ტრავერტინებს.

კლიმატი

ფშავ-ხევსურეთის კლიმატი მის სხვადასხვა ნაწილში განსხვავებულია. მდინარე ასას და არღუნის (ჩრდილო ანუ პირიქითი ხევსურეთი) ხეობების კლიმატი უფრო მკაცრია ვიდრე ფშავისა და პირაქეთი ხევსურეთის (არაგვის ხეობა). ხევსურეთის ქედი ჩრდილოეთიდან მოქროლილ ცივ ქარებს სახმრეთით გავრცელებაში ხელს უშლის. ფშავს და პირაქეთ ხევსურეთს მხოლოდ სამხრეთის, აღმოსავლეთის და დასავლეთის ქარები აღწევენ და ჰავას სინოტივეს მატებენ.

კავკასიონის მაღალმთიან ნაწილში ჭარბობს კონტინენტური ჰაერის მასები. ქარების მიმართულებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს კავკასიონის რთული მთათა სისტემა. შესაბამისად, სხვადასხვა ხეობას ხშირად განსხვავებული კლიმატი ახასიათებს.

აღწერილი ტერიტორიისთვის დამახასიათებელია სიმაღლეთა დიდი ცვლილება, რაც განსზღვრავს ტემპერატურის სიმაღლებრივ ცვლას. არაგვის აუზი უფრო თბილია, ვიდრე კავკასიონის ჩრდილოეთით მდებარე ასას და არღუნის მდინარეთა ხეობები. ზღვის დონიდან დაახლოებით 1500მ-დან ჰაერის ტემპერატურის საშუალო მინიმუმები უარყოფითი ნიშნითაა 5 თვის განმავლობაში, ხოლო 3600მ-ზე მთელი წლის განმავლობაში უარყოფითი ნიშნითაა. ჰაერის მაქსიმალური ტემპერატურები აუზის ფარგლებში დიდი მერყეობით არ ხასიათდება. აბსოლუტური მაქსიმუმი ყველა პუნქტისათვის აგვისტოში აღინიშნება. საშუალო მთიან ნაწილში ზაფხული ხანგრძლივია, მაგრამ მაინც შედარებით გრილია და 10 გრადუსზე მაღალი ტემპერატურა მხოლოდ 5 თვის განმავლობაშია. მაღალმთიან ნაწილში ზაფხული ხანმოკლე და გრილია, 2-4 თვის განმავლობაში საშუალო თვიური ტემპერატურა 2500მ სიმაღლემდე 10 გრადუსს აღემატება. უფრო ზემოთ კი – 3000მ-დან ზაფხული უფრო გრილია.



კავკასიონის ქედის ჩრდილო ფერდობებზე მნიშვნელოვნად მცირე ნალექი მოდის ვიდრე სამხრეთით, თუმცა სიმაღლის მატებასთან ერთად ნალექების რაოდენობას შორის სხვაობა მცირდება. 1200-1300მ-დან 1800-1900მ-მდე დამახასიათებელია ზომიერად ნოტიო, ზომიერად ცივი კლიმატი ხანგრძლივი გრილი ზაფხულითა და ცივი ზამთრით. იანვრის საშუალო ტემპერატურა -3 ჰერადუსიდან -6 გრადუსამდე მერყეობს, აბსოლუტური მინიმუმის დროს ტემპერატურა - 25-28 გრადუსამდე ეცემა. ნალექების რაოდენობა საკმაოდ მაღალია და 900-1400მმ-მდე მერყეობს. ნალექების მაქსიმუმი მაისშია. შეფარდებითი სინოტივის მაქსიმუმი წლის თბილ პერიოდშია და 74-76%-ს აღწევს, ხოლო მინიმუმ ზამთარში - 67-68%. თოვლის საბურველი 30-100სმ ხანგრძლივობა (3-ნთვე).

უ ზემოთ, 1800-1900მ-დან 2400-2500მ-მდე დამახასიათებელია ზომიერად ნოტიო კლიმატი ცივი ზმთრითა და ხანმოკლე გრილი ზაფხულით. ნალექების მაქსიმუმი გაზაფხულის ბოლოს და ზაფხულის დასაწყისში, ხოლო მინიმუმი იანვარშია. უთბილესი თვის ტემპერატურა 10 დან 15 გრადუსამდეა. წლიური ნალექების ჯამი 1200-1500მმ-ს შეადგენს. ნალექების მაქსიმუმი გაზაფხულის ბოლოს და ზაფხულის დასაწყისში, ხოლო მინიმუმ იანვარშია. თოვლის საბურველიზოგან 2მ-მდე აღწევს.

ზაფხული ხანმოკლეა, ხოლო ზამარი მკაცრი და ხანგრძლივი 2400-2500მ-დან 3400-3500მ-მდე. იანვრის საშუალო ტემპერატურე - 12-14 გრადუსია, ივლისის საშუალო ტემპერატურე 5-10 გრადუსამდე მერყეობს. საშუალო თვიური ტემპერატურა დადებითინიშნით 4-6 თვის განმავლობაშია. თემპერატურის აბსოლუტური მინიმუმ - 30 გრადუსამდე ეცემა.. აქაც თოვლის საბურველის სიმაღლე 2მ-მდე აღწევს.

ზამთარი არხოტის ხეობაში



ამაზე ზევით უკვე მაღალმთის კლიმატია, მარადი თოვლით, რომელიც 3500მ-ს ზემოთ ვრცელდება.. აქაურობისთვის დამახასიათებელია ძალიან ცივი და მკაცრი ზამთარი. სუბტილესი თვის ტემპერატურა 5 გრადუსზე დაბალია. აბსოლუტური მინიმალური ტემპერატურები -30-35 გრადუსამდე ეცემა.

ნიადაგი

აღწერილ რაიონში სიმაღლეთა ცვლის მიხედვით სხვადასხვა ტიპის: ტყის, ტორფიანი, მთა-მდელოს პრიმიტიული ნიადაგები გვხვდება. მთა-მდელოს ნიადაგებს ყველაზე მაღალმთიანი ნაწილი (2000-3500 მ.) უჭირავთ. მათ შემადგენლობაში ჭარბობს თიხა-ფიქალები და ქვიშა-ქვები.

ფლორა და მცენარეულობა

ფშავ-ხევსურეთის ფლორის და მცენარეული საფარის მრავალფეროვნებას განაპირობებს ის, რომ ეს ისტორიულ-გეოგრაფიული რაიონი მდებარეობს ცენტრალური და აღმოსავლეთი კავკასიონის მიჯნაზე. მისი ფლორისტული სიმდიდრე აერთიანებს 1000-მდე მცენარის სახეობას. მცენარეთა აღნიშნული რაოდენობა არათანაბრადაა განაწილებული როგორც ჩრდილო და სამხრეთ ფერდობებზე (ფშავი-პირაქეთი ხევსურეთი და პირიქითი ხევსურეთი) ისე ცალკეული ვერტიკალური სარტყლების შიგნით.

ფშავისა და პირაქეთი ხევსურეთის ფარგლებში (მდინარე არაგვის აუზის ხეობა) წარმოდგენილია შემდეგი ვერტიკალური სარტყლები:

1. მთების შუა სარტყელი წიფლნარების და მუხნარ-რცხილნარებით.
2. სუბალპური ტყის სარტყელი სუბალპური ტყეებით, მაღალმთის ბუჩქნარებით, სუბალპური მაღალბალახეულობითა და მდელოებით.
3. ალპური სარტყელი ალპური მდელოებით და მაღალმთის ბუჩქნარებით.
4. სუბნივალური სარტყელი კლდე-ნაშალ-ლორღიანების ანუ პეტროფილური ფლორით.



ტყე, მდელო და ყინულით დაფარული ზონები

მდინარე ასას და არღუნის ხეობებში (პირიქითი ანუ ჩრდილო ხევსურეთი) ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ვერტიკალური სარტყელია წარმოდგენილი.

არაგვის ხეობაში ფიჭვნარი ტყეები მხოლოდ მცირე ფართობზეა გავრცელებული, ხოლო პირიქით ხევსურეთში უფრო მეტად არის წარმოდგენილი. ასა-არღუნის ხეობათა საქართველოს ტერიტორიის მონაკვეთზე საერთოდ არ გვხვდება წიფლნარი ტყე, რომელიც ფართოდ არის გავრცელებული მდინარე არაგვის ხეობაში ზღვის დონიდან 1000-2200მ-მდე. ასას ხეობის საქართველოს ტერიტორიაზე არღუნის ხეობისაგან განსხვავებით, მუხნარი ტყეები არ ვრცელდება, შედარებით ნაკლებად გვხვდება სუბალპური მაღალბალახეულობა, ალპური მდელოები და სუბნივალური სარტყელი.

ტყის სარტყლის მცენარეულობა

მდინარისპირული ტყეები ძირითადად წარმოდგენილია მურყნარებით (*Alnus barbata*, *A. incana*), რომელსაც ერევა ტირიფის სახეობები (*Salix exelsa*, *S.alba*). ცალკეულ ადგილებზე გვხვდება ასევე ოფი (*Populus nigra*) და ხვალო (*Populus canescens*). სამხრეთ ექსპოზიციებზე ფართოდ არის წარმოდგენილი მუხნარი ტყეები, სადაც დომინირებს ქართული მუხა (*Quercus petraea* subsp. *iberica*). მისი გავრცელების ოპტიმალური სიმაღლეა ზ.დ. 1000მ. მუხნარებისფორმაციაში წარმოდგენილია მუხნარები-რცხილნარის, მუხნარები-იელის, მუხნარები-თხილნარის, მუხნარები-შინდის, მუხნარები-თივაქასრას, მუხნარები-მთის წივანას მონაწილეობით.

უფრო მაღლა, ზ. დ. 1500-1800-მზე მას ენაცვლება მაღალმთის მუხა (*Quercus macranthera*). ეს ტყეები ფშავ-ხევსურეთში საკმაოდ გაჩეხილია და მათ ნაალაგარზე იელი (*Rhododendron luteum*), და ველური ხილი: პანტა, მაჟალო, კუნელი და ზღმარტლი არის გავრცელებული.

ჩრდილო ფერდობებზე დომინანტურია წიფელი (*Fagus orientalis*), მას ერევა რცხილა (*Carpinus betulus* = *C. caucasicus*),

ნეკერჩხალი (*Acer campestre*, *A. laetum*), იფანი (*Fraxinus exelsior*), თელა (*Ulmus scabra*), ვერხვი (*Populus tremula*). უფრო ზემოთ წარმოდგენილია არყი (*Betula pendula*), მაღალმთის მუხა (*Quercus macranthera*). ბუჩქნარებიდან აღსანიშნა-



ვია თხილი (*Corylus avellana*), უზანი (*Viburnum lantana*), ძახველი (*Viburnum opulus*), ასკილი (*Rosa canina*), ჭანჭყატი (*Euonymus latifolia*). მთის შუა სარტყლის ტყეები და განსაკუთრებით ე. წ. ტყის ფანჯრები, რომელიც ტყის გაჩეხვის შედეგად არის გაჩენილი, საკმაოდ მრავალფეროვანი ფლორით გამოირჩევა.

ფშავ-ხევსურეთის ტერიტორიაზე წიფლნარი ტყის საფართო მრავალსახეობა აღინიშნება: რცხილნარის, თხილის, გვიმრების, მაღალბალახეულის, მაცვლის, თივაქასრის და სხვა.

მთის შუა სარტყლის ტყეები (1500-1700მ), რომელიც ძირითადად წიფლნარებითა და მუხნარებით არის წარმოდგენილი, თანდათანობით სუბალპურ ტყეებში გადადის. აქ დამახასიათებელია არყნარი ტყეები (*Betula litwinowii*). პირიქით ხევსურეთში გავრცელებულია ჩრდილო კავკასიის ენდემური ჯიში ანუ შავი არყი (*Betula raddeana*). არყნარებს ერევა ჭნავი (*Sorbus aucuparia*=*S. caucasigena*), მდგნალი (*Salix caprea*), მთრთოლვარე ვერხვი (*Populus tremula*), მაღალმთის ნეკერჩხალი (*Acer trautvetteri*). პირიქით ხევსურეთში, როგორც ტყის შემქმნელის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კავკასიური ფიჭვის (*Pinus sosnowskyi*) ხვედრითი წილი. სუბალპურ სარტყელში (1800-2000მ) გვხვდება, როგორც წმინდა ფიჭვნარები, ისე ფიჭვნარები არყნარებთან და (*Betula litwinowii*, *B. Pendula*, *B. Raddeana*) მთრთოლვარე ვერხვთან (*Populus tremula*) ერთად. არღუნის ხეობაში შატღილ-მუცოს მონაკვეთზე, სამხრეთ-აღმოსავლეთის კლდოვან, ღია ფერდობებზე გვხვდება ფიჭვნარებისა და მაღალმთის მუხის ნარევი.

არყნარი ტყეები ზოგან ზღვის დონიდან 2500 მ-ს აღწევენ. არყნარებში გარეულია: დეკა, იელი, ტირიფი, ჭრელი წივანა, ბრძამიანი და სხვა. ფშავ-ხევსურეთის რაიონში მთრთოლვარე ვერხვს კი თხილის, იელის და ნაირბალახოვანი საფარი ახასიათებს.

სუბალპური სარტყელი ადგილობრივი მოსახლეობის მიერ ინტენსიურად იყო და არის ათვისებული როგორც სათიბ-საძოვარი და სასოფლო სამეურნეო სავარგული. ამის გამო, სუბალპური ტყეები გაჩეხილია. მათ ადგილზე გავრცელებულია იშვიათი ბალახების 200-ზე მეტი სახეობა, რომელსაც საქართველოში ანალოგი არ გააჩნია. მცენარეთა მსგავსი თანასაზოგადოება ფართოდაა გავრცელებული დაღესტანსა და ჩეჩნეთ-ინგუშეთში. მცენარეულობის ეს ტიპი უძველესია და მიეკუთვნება მთის სიმშრალის მოყვარულ მცენარეულობას. კავკასიაში მისი გავრცელება დაკავშირებულია კლდოვან, ქვიან ნიადაგთან და მოიცავს ზღვის დონიდან 1000-2000მ სიმაღლეებს.

სუბალპებში, ჩრდილო-დასავლეთ ფერდობებზე ფართოდაა გავრცელებული კავკასიური დეკნარები (*Rhododendron*



caucasicum), და მოცვის (*Vaccinium myrtillus*, V, *vitis idaea*) სახეობები. აღსანიშნავია, რომ დეკა მუდამ ჩრდილოეთ ფერდობებზე იზრდება და არასოდეს – სამხრეთზე. სუბალპურ სარტყელში გავრცელებული ბუჩქნარებიდან აღსანიშნავია თხილი (*Corylus avellana*), ბიბერშტეინის და ალპური მოცხარი (*Ribes biebersteinii*, *R. alpinum*), უზანი (*Viburnum lantana*), წერწა (*Lonicera caucasica*), ხურტკმელი (*Grossularia reclinata*). კავკასიური დეკიანები განსაკუთრებით ფართოდაა წარმოდგენილი არღუნის (დათვისჯვრის მიდამოები, გურო-გიორგიშინდა, შატილის, მუცოს, ხონის, ჭუროს, ხაროჭკის, არდოტ-არჭილო-ანდაქის წყლის სათავეები) და ასას (ცირცლოვანი, კალოთანა, ტანიე) სუბალპურ და ალპურ სარტყელში.

სუბალპური მაღალბალახეულობა (Tall Herbaceous)

მცენარეულობის ეს ტიპი ფართოდაა გავრცელებული ფშავსა და ხევსურეთში. მისი გავრცელების გარემო მოიცავს ზღვის დონიდან 1800-2200მ სიმაღლეებს. ყველაზე ფართოდ არის გავრცელებული სოსნოვსკის დიყი (*Heracleum sosnowskyi*). იგი საკმაოდ სახიფათო მცენარეა, შიშველ სხეულზე მოხვედრისას სტოვებს განაკაწრს, რომელიც მალე წყლულდება და დიდხანს არ გადის. გამოუცდელი ტურისტები და მოგზაურები ხშირად ხდებიან დიყის მსხვერპლი. ამიტომ დიყის ბუჩქების გავლისას სასურველია გვეცვას გრძელი შარვალი და გავუფრთხილდეთ ხელებს. პირაქეთ ხევსურეთში იგი ყველაზე მეტად გავრცელებულია როშკის, გუდანის და ხახმატის მიდამოებში, ხოლო პირიქით ხევსურეთში – ხონის და ხახაბოს მიდამოებში. მაღალბალა-

ხეულობის სხვა წარმომადგენლებიდან აღსანიშნავია: გოქშო, კატაბალახა, ტილჭირი, დეზურა და სხვა.

მაღალმთის მდელოები (High Mountain Meadow)

ფშავ-ხევსურეთში მდელოების მრავალპეროვნება ძალიან მდიდარია და აერთიენებს მცენარეების 400 ზე მეტ სახეობას. სუბალპური მდელოები მოიცავს ზღვის დონიდან 1800-2500მ სიმაღლეებს. მანდ გავრცელებულ ფლორაშ როგორც მარცვლოვანი მცენარეები ისე სხვადასხვა ბალახები ქმნიან. მათ შორის არიან: ნამიკრეფიანი (*Agrostis planifolia*), ძიგვიანი (*Nardus stricta*), ჭრელწივნიანი (*Festuca varia*), ბრძამიანი (*Calamagrostis arundinaceae*), ჭრელშვრიელიანი (*Bromus variegatus*) მდელოები. ერთი სახეობის მიერ დომინირებული ნაირბალახოვანი მდელოებიდან აღსანიშნავია ფრინტიანი (*Anemone fasciculata*), უძოვრიანი (*Trollius patulus*), მზიურიანი (*Inula orientalis*), მარმუჭიანი (*Achillea caucasica*, *A. sericata*) მდელოები. ინტენსიური ძოვების ადგილებში გავრცელებულია შხამა (*Veratrum lobelianum*), ლოლო (*Rumex alpinum*), ნარი (*Cirsium obvalatum*) და ძიგვა (*Nardus stricta*). ასეთი მდელოები გვხვდება საზაფხულო საძოვრებზე ბოროლას მთის მასივში, როშკის ხორხში, ველკეთილისა და წუბროვნის მასივებში, გიორწმინდის მიდამოებში, შატილის წყლის სათავეებში და ჭუროს და ხაროჭკის მიდამოებში.

პირიქით ხევსურეთში, მდინარე არღუნის ხეობაში სიმშრალეს შეგუებულ მცენარეულობის შემადგენლობაში გვხვდება მთის სტეპის ელემენტები – ვაციწვერა, ავშანი, გლერძა და



ალპური მდელო კისტანში

სხვა (*Stipa pulcherrima*, *S. capillata*, *S. dagestanica*, *Artemisia chamaemelifolia*, *Astragalus microcephalus*). ამ მცენარეთა აქ არსებობა მიგვანიშნებს, რომ არღუნის ხეობის ფლორა აღმოსავლეთიდან განიცდის დაღესტნის ფლორის გავლენას, ხოლო ჩრდილოეთიდან იჭრება ველის მცენარეულობა. ამ მონაქვეტზე ალპური მცენარეულობა და კონკრეტულად მდელოები, გავრცელებულია ზღვის დონიდან 2500-2900მ-მდე. ამ სიმაღლეებზე დომინანტურია მარცვლოვან-ნაირბალახოვანი მდელოები.

ალპური ხალები (ალპური ხალიჩები) (*Alpine carpets*)

მცენარეულობის ეს ტიპი ძირითადად პირიქითი ხევსურეთში, მასიურ მაღალმთის ალპური და სუბნivalური სარტყლის მიჯნაზე-ზღვის დონიდან 2900-3300მ სიმაღლეებზეა წარმოდგენილი. ალპური ხალებს ქმნიან დაბალი ტანის მცენარეები (*Taraxacum confusum*, *Carum caucasicum*, *Poa alpine*, *Carex micropodioides*, *Briza marcowiczii*, *Luzula sudetica*, *Plantago saxatilis*, *Minuartia oreina*). ალპური ხალები გვხვდება არხოტის მთაზე, გურო-გიორგიწმინდის ხეობებში, ხონისხორხში და აწუნთის მასივში.

კლდე-ნაშალების (პეტროფიტური) ფლორა (*Petrophitic Flora*)

განსაკუთრებით საინტერესოა ფშავ-ხევსურეთის სუბნივალური სარტყელის ფლორა. ზღვის დონიდან 2900-4000 მ სიმაღლეებზე ბინადრობს რამდენიმე იშვიათი ადგილობრივი მცენარეების სახეობა. აქ კლდეებში, ლოდებში და ღორღში ალაგ-



ტებულოს მთასთან ახლოს ბუნებრივი გარემოა მცენარეებისთვის, რომლებიც ქვევებზე იზრდება

ალაგ გვხვდება მცენარეთა პატარა დაჯგუფებები, რაც განპირობებულია მკაცრი, ექსტრემალური კლიმატური პირობებით. მიუხედავად იმისა, რომ ზღვის დონიდან სიმაღლის მატებასთან ერთად მცენარეთა რაოდენობა კლებულობს, იშვიათი და ენდემური მცენარეთა რაოდენობა იზრდება. მათგან აღსანიშნავია ფსევდოვესიკარია (*Pseudovesicaria digitata*), სიმფიოლომა (*Symphyloma graveolens*), ვავილოვია (*Vavilovia formosa*), ბაიერნის ფურისულა (*Primula bayernii*), გრიგორაშვილის პოდოსპერმუმი (*Podospermum grigorashvili*), დაბალი ქოთანა (*Silene humilis*), თებულოს ბაია (*Ranunculus tebulosicus*) და მრავალი სხვა.

ფშავ-ხევსურეთის რაიონის მაღალმთაში გავრცელებულია ასევე არქტო-ალპური მცენარეები – *Saxifraga flagellaris*, *S. moschata*, *S. exarata*, *Myosotis alpestris*, *Oxyria digyna*, *Empetrum caucasicum* (= *E. hermaphroditum*), *Vaccinium myrtillus*, *Ligularia subsagittata*, და სხვა. ფშავსა და პირაქეთ ხევსურეთში სუბნივალური სარტყელი მცირედაა გამოხატული და შესაბამისად მოკლებულია ამ ზონისთვის დამახასიათებელ უნიკალურ ფლორას.

რელიქტური და ენდემური სახეობები (*Relicts and Endemics*)

ფშავ-ხევსურეთის ფლორაში მნიშვნელოვნად არის ცარმოდეგნილი უძველესი, ადგილობრივი და უნიკალური მცენარეთა ჯიშები. ასე მაგალიტად გვხვდება უთხოვრის უნიკალური კორომი, კავკასიური დეკა (*Rhododendron caucasicum*), ლიტვინოვის და რადეს არყი (*Betula litwinowii*, *B. raddeana*) და ეკლიანი გლერძა (*Astracantha denudata* = *Astragalus denudatus*). საქართველოში მხოლოდ შატილის და წუქიოს მიდამოებში გვხვდება ჰაიესტანის ტნავი (*Sorbus hajastana*), რომელიც ბოლო დრომდე სომხეთის ენდემად ითვლებოდა.

ფშავ-ხევსურეთის მაღალმთის ფლორის ნახევარი შედგება მხოლოდ საქართველოსთვის და კავკასიისთვის დამახასიათებელი, უნიკალური მცენარეებისგან. მათი უმეტესობა სუბნივალურ სარტყელშია გავრცელებული.





ხახაბო

ფშავ-ხევსურეთის ლოკალური ენდემებია-ფშავის ტყის კამა (*Peucedanum pschavicum*), ჭრელი ჩაწყობილა ბაია (*Ficaria varia*), შატილის ანისული (*Pimpinella schatilisensis*), ხევსურული ხახვი (*Allium chevsuricum*), ოჩიაურის ხახვი (*Allium ochiauriae*), პატარათავცეცხლა (*Galeopsis nana*). ასე სოფელ ხონის მიდამოებში გვხვდება კავკასიაში გავრცელებული 17 ენდემური გვარიდან 6 – სობოლევსკია, ტრიგონოკარიუმი, მანდენოვია, გადელია, ფსევდოვეზიკარია, სიმფიოლომა, აგაზილისი, ვავილოვია (*Sobolewskiacaucasica*, *Trigonocaryuminvolucratum*, *Mandenoviakomarovii*, *Gadelia lactiflora*, *Pseudovesicaria digitata*, *Symphyolomagroveolens*, *Agasyllis latifolia*, *Vavilovia formosa*

ენდემებითაა გაჯერებული როშკა-არხოტის და შატილ-მიღმახევ-აწუნთა-თუშეთის ტურისტული ბილიკების მიმდებარე ტერიტორიები. აქ გვხვდება ბევრი იშვიათი ენდემური და სპორადული გავრცელების მცენარე (*Lilium monadelphum* subsp. *georgicum*, *Lamyropsis sinuata*, *Primula luteola*, *P. bayernii*, *P. darialica*, *Mandenovia komarovii*, *Trigonocaryum involucratum*, *Aconitum tuscheticum*, *Rosa tuschetica*, *Symphyoloma graveolens*, *Pseudovesicaria digitata*, *Podospermum grigorashvili*, *Delphinium caucasicum*, *Ranunculus tebulossicus*, *Silene humilis*, *Senecio lapsanoides*, *Teprosieris karjaginii*, *T. caucasi-gena*, *Campanula argunensis*, *C. petraea*, *C. sarmatica*, *Cerastium kasbek*).

ფშავ-ხევსურეთის სამკურნალო და სამეურნო მცენარეები (Economic Plants)

მფშავ-ხევსურეთში ხალხურ მედიცინის განვითარებას ხანგრძლივი ისტორია აქვს. იმის გამო, რომ ეს რეგიონი მოწყვეტილი იყო ბარისაგან, შეუძლებელი იყო აქ სხვადასხვა დანიშნულების წამლების შეტანა. ამის გამო, ადგილობრივი მოსახლეობა იძულებული იყო ადგილზე გამოენახა სამკურნალო საშუალებები. ამ მიზნით ფართოდ გამოიყენებოდა ადგილობრივი ფიტოგენოფონდი. საქვეყნოდ ცნობილია ხევსური და ფშაველი ექიმბაშები. მათ მიერ ადგილზე ხდებოდა ისეთი რთული ოპერაციები, როგორიცაა თავის ტრეპანაცია და სხვა.

რაც შეეხება სამკურნალო თვისებების მქონე მცენარეებს, პირიქით ხევსურეთში, მდინარე ანდაქის წყლის ხეობაში ფართოდაა გავრცელებული სხვადასხვა ვიტამინებით მდიდარი სვია (*Humulus lupulus*) და ქაცვი (*Hippophae rhamnoides*). სუბალპურ და ალპურ სარტყელში ფართოდაა გავრცელებული კავკასიური დეკა, ასკიდი, ჟოლო, კეწერა და მოცვი.

როშკის კლდეებზე იზრდება აგრეთვე ხარიშხლა (*Senecio platyphylus*), რომლისგან ამზადებენ საგულე საშუალებას – პლატიფილინს. პირიქით ხევსურეთში, გურო-გიორწმინდის და არჭილო-ხახაბოს მიდამოებში გვხვდება დუცი (*Angelica tatianae*), რომელიც გამოიყენება კუჭ-ნაწლავის დაავადებების დროს.

ფშავ-ხევსურეთის ფაუნა

არის ერთი ფრინველი, რომლის ხმა მუდმივად ისმის ფშავის და ხევსურეთის, ისევე, როგორც მთელი კავკასიონის ყველაზე მაღალ უღელტეხილებზე და მწვერვალებზეც კი. ეს კავკასიური შურთხია (*Caucasian Snowcock*) – საკმაოდ დიდი (შინაური ქათმის ზომის) და თითქმის უხილავი ფრინველი, რომლის სტვენა ერთ-ერთი ყველაზე ჩვეული ხმა არის კავკასიონისა, მაგრამ ამ ფრთხილ არსებას ცოტა მოგზაური თუ ხედავს. შურთხი ძალიან მაღლა ცხოვრობს, ზამთარსაც კი სამი ათასი მეტრის სიმაღლეზე ატარებს და მხოლოდ გაზაფხულობით, აპრილ-მაისში, ეშვება მედარებით დაბლა.

ხევსურები ამბობენ: შურთხის მომკვლეელი შუნსაც (დედალ ჯიხვს) მოკლავსო. მართლაც, შურთხი და აღმოსავლეთკავკასიური ჯიხვი (*East Caucasian Tur*) – კავკასიელი მთიელების ყველაზე სასურველი ნადავლი, ერთ სიმაღლეზე ცხოვრობენ. მათ თანაცხოვრებაზე მთებში მრავალ ლეგენდას და მოარულ ამბავს გაიოგონებთ – თითქოს შურთხეები ჯიხვების ჯოგებს დარაჯობას



აღმოსავლეთ კავკასიური ჯიხვი

უწევენ და მოახლოებულ საფრთხეზე აფრთხილებენ, სამაგიეროდ ზამთარში მათ მიერ გადაქეცილ თოვლში პოულობენ საბრდოს...

ჯიხვი არის კავკასიონის მთების ნამდვილი მშვენიება, განსაკუთრებით მამალი დიდრქიანი ხარ-ჯიხვები, რომლებიც მთელი წლის მანძილზე ცალკე ჯოგებად ბალახობენ მიუვალი მწვერვალების ძირში და მხოლოდ ნოემბრის თვეში – ბოტობის ჟამს – შეეყრებიან მათზე გაცილებით დაბლა მობინდრე დედლებს. გასაოცარია ამ ცხოველის გამძლეობა და გარემო პირობებთან შეგუება. დამფრთხალი ჯიხვების ჯოგს სრულიად ვერტიკალური კლდეების დაძლევა შეუძლია. და რადგან მისი თავშესაფარი მიუვალი კლდის სიმაგრეებია, ჯიხვი კავკასიონის უფრო ციცაბო ჩრდილოეთ ფერდობებზე ცხოვრობს. მას ძირითადად პირიქით ხევსურეთში შეხვდებით, ხოლო პირაქეთში მისი გამოჩენა დიდი იშვიათობაა.

ჯიხვზე უფრო დაბლა სუბალპურ და ალპურ მდელოებზე ბინადრობს კიდევ ერთი ჩლიქოსანი – არჩვი (Chamois). ეს უფრო მომცრო ტანის ლამაზი ცხოველია, რომელიც პატარა ჯოგებად ცხოვრობს. თუკი სადმე ეულ არჩვს მოჰყარით თვალი, ეს აუცილებლად ასაკოვანი განდგომილი მამრია – მარტოფსიტი, როგორც მას ხევსურები უწოდებენ. არჩვს შეხვდებით როგორც ხევსურეთში, ისე ფშავის მთებში. განსაკუთრებით დიდია მისი პოპულაცია ბორბალოს მთის მიდამოებში.

სუბალპურ ტყეებსა და დეკიან ფერდობებზე ბინადრობს კავკასიური როჭო (Caucasian grouse). საინტერესო ფრინველი, რომელიც კარგა ხანს ჩვეულებრივ როჭოდ (Black Grouse) მიაჩნდათ. მისი, როგორც ცალკე საეობის, აღმოჩენის ისტორია




კავკასიური შავი როჭო

პოლონელი ნატურალისტის მლოკოსევიჩის სახელს უკავშირდება. ეს საინტერესო კაცი მეცხრამეტე და მეოცე საუკუნეების მიჯნაზე იმუშადა რუსი თავადი დემიდოვის კუთვნილებაში მყოფ ლაგოდების სანადირო ნაკრძალში მუშაობდა მეტყვედ. სწორედ მან მიაქცია ყურადღება იმას, რომ კავკასიონის მთების ბინადარი როჭო მისი ევროპელი თანამოდმისაგან განსხვავდებოდა, მოიპოვა რამდენიმე ფრინველი და მათი ფიტულები ვარშავის უნივერსიტეტში გააგზავნა. იქაურმა ავტორიტეტებმა კავკასიური როჭო დამოუკიდებელ სახეობად აღიარეს და მას ლათინური სახელი მლოკოსევიჩის როჭო (*Lyrurus mlokosiewiczi*) დაერქვა.

შურთხის მსგავსად, როჭოც კავკასიონის მთების მკვიდრი მობინადრეა. ზამთარს ის მთების ჩრდილოეთ კალთებზე, მარადმწვანე დეკის ბუჩქნარებში ატარებს, სადაც თოვლში გვირაბები აქვს გაყვანილი და სარჩოსაც პოულობს, ხოლო გაზაფხულისკენ, როდესაც თოვლი მძიმე და სველი ხდება, მზისგულ სამხრეთ ფერდობებზე ინაცვლებს. სწორედ ამ დროს ყველაზე ადვილია როჭოს ხილვა, განსაკუთრებით – მამლის, რომელიც თოვლზე ან წინა წლის გარუხებულ ბალახზე კარგად ხილულ შავ ლაქად მოსჩანს.

ხევსურეთისა და ჩეჩნეთის საზღვარზე, ანატორიის მახლობელ კლდეებზე, დღემდე შესაძლებელია ნიამორის (*Bezoar Ilex*) ნახვა. ამ ადგილის გარდა, საქართველოში ნიამორი მხოლოდ თუშეთში ბინადრობს. ამ გარეული თხის ჰაბიტატი ხეობების ციცაბო, ხანდახან სრულიად ვერტიკალური, ტყით დაფარული ფერდობებია. სამწუხაროდ, საქართველოში სულ რამდენიმე



ათეული ნიაშორი დარჩა და მათ პოპულაციას განსაკუთრებული გაფრთხილება სჭირდება.

ფშავ-ხევსურეთში უკვე ველარსად ნახავთ ირემს (Red Deer). ან არადა, ფშავის სალოცავებს დღემდე ამშვენებს, ვინ იცის რამდენი წლის წინ მოკლული, ირმების რქები. მთიელები საუკეთესო ნადავლს თავიანთ ღვთაებებს წირავდნენ, რომ მომავალშიც ნადირობაში ხელი მომართვოდათ. ხევსურეთის ხატებს ჯიხვების რქები ამშვენებს, ფშავისას – ირმების. არავის შეუძლია სალოცავისთვის შენაწირისთვის ხელის ხლება და ადგილიდან დაძვრა. ირმის რქები დღემდე აწყვია ქვის მარტივი კონსტრუქციის ხატებზე, თავად ამ კეთილშობილ ცხოველს კი ფშავში ველარსად შეხვდებით.

ირმის პატარა თანამოძმე – შველი (Roe Deer) კი ფშავ-ხევსურეთში დღემდე ბევრია. მისი სამოსახლო აქაური ფოთლოვანი ტყეებია. თუკი ძალიან არ შეაწუხე, ამ პატარა ცხოველს ადამიანის უშუალო სიახლოვეს შეუძლია ცხოვრება და მისი პოპულაციაც სწრაფად იზრდება.

ამ მთიან კუთხეებში დათვის (Brown Bear) ნაკვალევს შეიძლება ძალიან დიდ სიმაღლეებზეც წააწყდეთ. კავკასიონის ბინადარი მურა დათვი სრულიად არააგრესიული და ფრთხილი ცხოველია, მისი ხილვა ძალიან ძნელია. ფშავ-ხევსურეთსა და მთლიანად საქართველოში მისი პოპულაცია საკმაოდ სტაბილურია, მაგრამ დათვიც ისევე, როგორც აქაური ფაუნის სხვა წარმომადგენელი ხშირად ხდება ბრაკონიერების სამიზნე.

სხვა მტაცებელთაგან ფშავ-ხევსურეთში გავრცელებულია: მგელი, ფოცხვერი (რომელსაც ხევსურები კინდოლს ეძახიან),

მელა, კლდის კვერნა და პატარა, მაგრამ ძალიან წარმატებული, მტაცებელი სინდიოფალა (ხევსურულად ქურცინა), რომელიც ადამიანის უშუალო სიახლოვეს, პირდაპირ სოფლებთან ცხოვრობს.

შორეულ წარსულში ხევსურეთში ბინადრობდა ჯიქიც (ლეოპარდი), რომლებსაც მთიელები ვეფხს უწოდებდნენ. მეცნიერები არ კარგავენ იმედს, რომ სადმე პირიქითა ხევსურეთში ან თუშეთში ჯიქი შეიძლება ისევ ბინადრობდეს და მის აღმოსაჩენად ექსპედიციებსაც აწყობენ – ჯერჯერობით უმედეგოდ. უკანასკნელი ლეოპარდი საქართველოს ყველაზე სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში – ვაშლოვანის ნაკრძალში – 2003 წელს გამოჩნდა და 2009 წელს გაქრა. ხევსურეთში მისი ბინადრობის შესახებ ცნობები კი ძალიან ძველია. სამაგიეროდ, ამ ცხოველის მთაში არსებობამ შვა ხევსურული ხალხური პოეზიის შედეგრი – პოემა „ვეფხი და მოყმე“, რომელიც ორი ერთმანეთის ღირსი მოწინააღმდეგის – ახალგაზრდა მონადირის და ჯიქის შეხვედრას და მათ ორთაბრძოლას აღწერს. ეს არის ვაჟკაცობის, სიმამაცის და, რაც მთავარია, ჰუმანურობის ჰიმნი. ორთაბრძოლაში ორივე იღუპება. ლექსი დაღუპული მონადირის დედის ტირილით მთავრდება. მგლოვიარე დედა გადაწყვეტილებას იღებს – წავიდეს ვეფხის დედა იპოვოს, რათა ორივემ ერთად იგლოვოს დაღუპული შვილები...

ფშაგ-ხევსურთა მსოფლმხედველობა ბუნების უშუალო სიახლოვეს ყალიბდებოდა. მათ რწმენებში და ადათებში მათ გარშემო მობინადრე ნადირ-ფრინველს დიდი ადგილი ეკავა. ასე, ხევსურებს სჯეროდათ, რომ არსებობდნენ „მძლევარი“ ფრინველები – წერო (Crane), ბოლოქანქარა (Wagtail), გუგული



ბატკანძერი

(Cuckoo), რომლებშიც გარდაცვლილთა სულები სახლობდნენ. მძლევარის მოკვლა ყოვლად დაუშვებელი, უბედურების მომტანი რამ იყო. საიქიოს ხევსურები სულაც „გუგულების ქვეყანას“ ეძახდნენ...

აღმოსავლეთკავკასიონის მთებში მრავალი საინტერესო ფრინველი ცხოვრობს. ეს განსაკუთრებული ადგილია ეკოტურიზმის იმ მიმართულებისთვის, რომელსაც „ბერდვოჩინგი“ ეწოდება. უკვე ნახსენები შურთხის და როჭოს გარდა, ბერდვოჩერების სანატრელი სამიზნეებია, ასევე, მაღალი მთების მობინადრე დიდი კოჭობა (Great Rosefinch) და დიდი ბოლოცეცხლა (Guldenstadts Redstart). ასევე ულამაზესი პატარა ჩიტი – წითელფრთიანი კლდეცოცა (Wallcreeper), რომლის ხევსურული სახელი, კლდისცეცხლა, სწორედ ზედგამოჭრილია ამ ფრინველისთვის, რომელიც სალ კლდეებზე დახტის და თავისი წითელი ფრთების მოქნევით, თითქოს მართლა ცეცხლის ალივით ედება არემარეს...

ფშავ-ხევსურეთის სოფლებში დილა ჩვეულებრივი კოჭობების (Common Rosefinch), ჩიტბატონების (Goldfinch), მელორღების (Wheatear) გალობით იწყება. გუგულების საქორწილო გადაძახილი აქაური გაზაფხულის მთავარი ხმაა.

და რა თქმა უნდა, მთა წარმოუდგენელია დიდი ფრთოსანი მტაცებლების გარეშე. აქაურობის უპირობო მბრძანებელი მთის არწივა (Golden Eagle). ვისაც ეს მძლავრი ფრინველი მსხვერპლზე პიკირებისას უნახავს, აღიარებს, რომ ეს დაუვიწყარი სანახაობაა. მასიური ფრინველი ფრთებდაკეცილი, მხოლოდ მიქრის დაბლა. მას ფრთხილი და მიუვალ კლდეებში მობინადრე შურთხიც კი ვერ გაურბის...

სხვა მტაცებლებიდან ფშავ-ხევსურეთში კირკიტას (Kestrel), შვეარდენს (Peregrine Falcon), კაკაჩას (Common Buzzard), მიმინოს (Sparrowhawk) შეხვდებით. ლემისმჭამელებიდან აქ ორბი (Griffon Vulture) და ბატკანძერია (Lammergeier) გავრცელებული. ეს უკანასკნელი კავკასიონზე გავრცელებული ერთ-ერთი ულამაზესი ფრინველია. არავინ იცის, რატომ იღებს ბატკანძერი მუავე მინერალური წყლის აბაზანებს, მაგრამ ფაქტია, რომ მის ბუმბულზე დალექილი მინერალები უზარმაზარ (გამწიფილი ფრთების სიგრძე ორი მეტრი) ფრინველს საოცარ ოქროსფერ შეფერილობას აძლევს. ბატკანძერი და ორბი ლემისმჭამელთა ელიტას ეკუთვნიან. საოცარი მხედველობის პატრონები, ისინი თითქოს არსაიდან ჩნდებიან, როცა მთაში ლემი ჩნდება. ოღონდ შეიძლება დიდხანს, ძალიან დიდხანს არ დაფრინდნენ დაღუპული ნადირის ან შინაური ცხოველის სიახლოვეს, სანამ ლემთან ერთ-ერთი ყველაზე დიდი ინტელექტის პატრონი ფრინველი – ყორანი (Raven) არ მიფრინდება. თუკი ყორანმა ჭამა დაიწყო,

ესე იგი, საფრთხე არსაიდანაა მოსალოდნელი და მაშინ ორბის და ბატკანძერის ჯერი დგება...

როდესაც ფშავ-ხევსურული საზაფხულო დღეობები ჩაივლის, სალოცავების სიახლოვეს მრავალი ცხვარ-ძროხის ტყავი, შიგნეული და თავი რჩება, ადამიანების შემდეგ ფრინველები იწყებენ ღრეობას. ესეც ბუნებრივი ნაწილია ამ უნიკალური კუთხეების ყოველწლიური სასიცოცხლო ციკლისა.

ტურიზმი



ფშავ-ხევსურეთის ტურისტული სერვისი

სასტუმროები

ფშავ-ხევსურეთში ვერ ნახავთ ნამდვილ სასტუმროს. არის უამრავი საოჯახო ტიპის სასტუმრო. ზოგიერთი მასპინძელი გთავაზობთ დამატებით მომსახურებას: ტრანსპორტს, ცხენებს, გზამკვლევეს. ქვემოხსენებული ფასები არ არის საბოლოო, შე-
საძლოა მოლაპარაკება. ფასები დამოკიდებულია სეზონსა და სასტუმროში დარჩენილ თავისუფალ ადგილებზე. ხშირად მას-
პინძელი ფასს აკლებს დიდი ჯგუფების ან მათთვის, ვინც ხანგრ-
ძლივ დასვენებას აპირებს.

საოჯახო ტიპის სასტუმროები ხევსურეთში

შატილი

მასპინძელი: მიხეილ ჭინჭარაული; +995 595-50-37-98

საწოლი – 12

ოთახი – 4 (2 ორსაწოლიანი ოთახი, ერთი სამ საწოლიანი და ერთი ხუთ საწოლიანი ოთახი)

ფასი – 20 ლარი კაცი/ერთი ღამე (კვების გარეშე), პლუს ჩაი და ყავა.

დღეში ერთჯერადი კვებით – 30 ლარი

დღეში ორჯერადი კვებით – 50 ლარი

დღეში სამჯერადი კვებით – 60 ლარი

თქვენ შეგიძლიათ დაიქირაოთ „ჯიპი“ ან ცხენები, სასტუმრო აგ-
რეთვე გთავაზობთ მთებში გიდებით მომსახურებას.

მასპინძელი: ვაჟა ჭინჭარაული; +995 577-72-93-62

alionitour@gol.ge

საწოლი – 10

ოთახი – 4 (2 ორადგილიანი ოთახი; 2 სამადგილიანი ოთახი)

ფასი – 15 ლარი ერთი ღამე (კვების გარეშე), პლუს ყავა და ჩაი.

დღეში ერთჯერადი კვებით – 25 ლარი

დღეში ორჯერადი კვებით – 35 ლარი

დღეში სამჯერადი კვებით – 45 ლარი

მასპინძელი: მზია წიკლაური; +995 599-80-73-80

საწოლი – 14

ოთახი – 4

ფასი : 20 ლარი ერთ ღამე (კვების გარეშე)

დღეში ორჯერადი კვებით – 50 ლარი

დღეში სამჯერადი კვებით – 60 ლარი

მენიუში შედის ჩაი, ყავა, ხინკალი და მაგარი სასმელი.

მასპინძელი: ნანა გოგოჭური; +995 599-99-20-25

საწოლი – 15

ფასი – 15 ლარი ერთი ღამე (კვების გარეშე) პლუს ჩაი და ყავა.

დღეში ორჯერადი კვებით – 30 ლარი

დღეში სამჯერადი კვებით – 40 ლარი

ისტორიული კოშკი შატილში, მასპინძელი: შორენა ჭინჭარაული;
+995 595 518452

ელფოსტა: *shorenaliqokeli@mail.ru*

საწოლი – 12

ოთახი – 6 (ორადგილიანი ოთახები)

ფასი: 30 ლარი კაცზე ერთ ღამეში (საკვების გარეშე)

დღეში ორჯერადი კვებით – 60 ლარი

დღეში სამჯერადი კვებით – 70 ლარი

მასპინძელი: ირმა გიგაური +995 595-50-36-22

საწოლი – 8

ოთახი – 3 (1 ერთადგილიანი ოთახი, 2 სამადგილიანი ოთახები)

ფასი – 20 ლარი ერთი ღამე (კვების გარეშე)

დღეში ორჯერადი კვებით – 50 ლარი

დღეში სამჯერადი კვებით – 70 ლარი

მასპინძელი: ლამარა ჭინჭარაული; +995 599-77-54-73

საწოლი – 8

ოთახი – 3 (ერთადგილიანი ოთახი, 2 სამადგილიანი ოთახი)

ფასი – 20 ლარი ერთი ღამე (კვების გარეშე)

დღეში ორჯერადი კვებით – 50 ლარი

დღეში სამჯერადი კვებით – 70 ლარი



მასპინძელი: ჟუჟუნა ტინჭარაული; +995 599-20-32-08

საწოლი – 12

ოთახი – 4 სამადგილიანი

ფასი – 10 ლარი ერთი ღამე (საკვების გარეშე)

დღეში ორჯერადი კვება – 40 ლარი

მასპინძელი: სოფო ტინჭარაული; +995 595 71-97-99

საწოლი – 12

ოთახი – 4 (1 ხუთადგილიანი ოთახი, 2 ორადგილიანი ოთახი, 1 სამადგილიანი ოთახი)

ფასი – 20 ლარი ერთი ღამე (კვების გარეშე)

დღეში ორჯერადი კვებით – 50 ლარი

დღეში სამჯერადი კვებით – 70 ლარი,

მენიუში შედის ჩაი, ყავა და მაგარი სასმელები (ღვინო, ტაჭა)

მასპინძელი: ლელა გოგოჭური; +995 599 99-28-83

ელექტრონ ფოსტა: *nunuca-2008@yandex.ru*

საწოლი – 15

ოთახი – 8 (5 ორადგილიანი ოთახი, 1 სამადგილიანი ოთახი, 2 ერთადგილიანი ოთახი)

ფასი: 20 ლარი ერთი ღამე (კვების გარეშე)

დღეში ერთჯერადი კვებით – 30 ლარი

დღეში ორჯერადი კვებით – 40 ლარი

დღეში სამჯერადი კვებით – 50 ლარი

მენიუში შედის ჩაი, ყავა და მაგარი სასმელები (ღვინო, ტაჭა).

1 ლიტრი ტაჭა ღირს 7 ლარი.

ისტორიული კოშკი შატილი

მასპინძელი: დავით ჯალაბაური; +995 598 12-76-14; *www.jalabauri.ge*,

jalabauri.ge,

ელექტროფოსტა: *datojalabauri@yahoo.com*

საწოლი: 16

ოთახი: 6 (5 ორადგილიანი ოთახი, 1 ექვსადგილიანი ოთახი)

ფასი: 30 ლარი ერთი ღამე (კვების გარეშე)

დღეში ერთჯერადი კვებით – 40 ლარი

დღეში ორჯერადი კვებით – 50 ლარი

დღეში სამჯერადი კვებით – 60 ლარი

მენიუში შედის: ჩაი, ყავა და მაგარი სასმელები (ღვინო, ტაჭა).



აქ შესაძლებელია ცხენების დაქირავება: 1 ცხენი მოკლე მარშ-რუტზე – 30 ლარი; გრძელ მანძილზე – დღეში 50 ლარი (გიდით მომსახურება). მოგემსახურებიან ინგლისურად და რუსულად მოლაპარაკე გიდები.

სოფელი კორშა

მასპინძელი: მამუკა არაბული; +995 599 741 199

ელექტროფოსტა: korshaltd@gmail.com

Facebook/korshaguesthouse

საწოლი – 18

ოთახი – 6 (2 ორადგილიანი ოთახი, 2 სამადგილიანი ოთახი, 2 ოთხადგილიანი ოთახი)

კერძები – ტრადიციული: ხინკალი, ხაჭაპური და სხვა.

ფასი: 20 ლარი ერთი ღამე (კვების გარეშე)

დღეში ერთჯერადი კვებით – 30 ლარი

დღეში ორჯერადი კვებით – 40 ლარი

დღეში სამჯერადი კვებით – 50 ლარი

მენიუში შედის: ჩაი, ყავა და მაგარი სასმელები (ღვინო, ჭაჭა).

ცხენების დაქირავება შესაძლებელია შემდეგ ფასებში: 1 ცხენი ერთი დღით – 50 ლარი (გიდის მომსახურებით). სასტუმრო აქირავებს „ჯიპსაც“. სტუმრებს შეუძლიათ მოინახულონ ეთნოგრაფიული მუზეუმი (მდებარეობს სასტუმროსთან ახლოს), სადაც დაათვალიერებენ: იარაღებს, საოჯახო და სხვა საინტერესო ნივთებს. მუზეუმს ხელმძღვანელობს ხელოვანი შოთა არაბული, რომლის ნახატებისა და ხის ქანდაკებების ნახვა შესაძლებელია საერთო საცხოვრებელში. მუზეუმში შეგიძლიათ შეისყიდოთ ხევისურული ტრადიციული სუვენირები და ხელით ნაკეთობები.

სოფელი გუდანის

მასპინძელი: ძილა ჭინჭარაული +995 593 30-11-70

საწოლი – 14

ოთახი – 5

მენიუ – ტრადიციული კერძები: ხინკალი, ხაჭაპური და სხვა ცხელი კერძები

ფასი – 10 ლარი ერთი ღამე (კვების გარეშე)

დღეში ერთჯერადი კვებით – 25 ლარი

დღეში ორჯერადი კვებით – 40 ლარი

დღეში სამჯერადი კვებით – 50 ლარი



საფასურში შედის: ჩაი, ყავა, რძე, მოშუშული ხილი და მაგარი სასმელები (ღვინო, ჭაჭა) ინგლისურად და რუსულად მოლაპარაკე გიდის მომსახურება ღირს 25 – 35 ლარი.

სოფელი როშკა

მასპინძელი: შოთა წიკლაური +995 599 39-97-89

საწოლი – 13

ოთახი – 4 (2 ოთხადგილიანი, 1 სამადგილიანი და 1 ორადგილიანი ოთახი)

ფასი – 20 ლარი ერთი ღამე (კვების გარეშე)

დღეში ორჯერადი კვებით – 40 ლარი

შესაძლებელია ცხენების დაქირავება, 1 ცხენი დღეში – 50 ლარი (გიდის მომსახურებით).

სოფელი ჯუთა

მასპინძელი: ანანო არაბული, კემპინგი „ზეტა“

საწოლი – 12

ოთახი – 3

ფასი – ერთი კაცი/ერთ ღამე 25 ლარი კვების გარეშე. საკვების შეძენა შესაძლებელია კემპინგის მდებარე სამზარეულოში. „ზეტა“ გთავაზობთ ადგილებს ახალ აშენებულ ხის სახლში ან კარავში, ასევე გთავაზობთ საძილე ტომრებს. ადგილზე არის საშხაპე ცხელი წყლით. ანანო ლაპარაკობს ინგლისურად, გერმანულად და რუსულად. მომსახურე პერსონალის ნაწილი ბერძნულ ენას ფლობს.

კონტაქტი: www.zeta.ge, facebook.com/zetacamping +995577501057



მასპინძელი: იაგო არაბული

საწოლი: 10

ფასი – 25 ლარი ერთი კაცი/ ერთი ღამე, კვებით, გარემონტებულ სახლში. იაგო ლაპარაკობს გერმანულად, მისი ცოლი ინგლისურად. იაგო დაგეხმარებათ გიდის, ცხენებისა და სხვა ტრანსპორტის დაქირავებაში.

მობ: +995 9953 3239.

საოჯახო სასტუმროები ფშავში

სასტუმრო „ფშავი“ (მაღაროსკარი)

მასპინძელი: ბესო წოწკოლაური 500188883,

ვებ-გვერდი: www.pshavi.ge

ადგილების რაოდენობა – 50

სასტუმროს აქვს პატარა საკონფერენციო დარბაზი, შესაძლებელია გიდის და ცხენის დაქირავება.

ფასი: ერთი კაცი კვების გარეშე – 20 ლარი, კვებით – 35-50 ლარი.

მასპინძელი: ევა ბაჩიაშვილი 591 22 26 57

ადგილების რაოდენობა – 20

საოჯახო სასტუმრო გთავაზობთ ტრანსპორტსა („ჯიპი“) და რუსულად მოლაპარაკე გამოცდილი გიდებით მომსახურებას.

რაოდენობა: კვების გარეშე ერთი სტუმარი – 15 ლარი, კვებით – 35-50 ლარი.

მასპინძელი: მარინა გოგნელაშვილი

ადგილების რაოდენობა – 8

საოჯახო სასტუმროს ჰყავს ცხენები და მანქანა (ჯიპი), სტუმრებს შეუძლიათ ინგლისურად მოლაპარაკე გიდის დაქირავება.

ფასი: ერთი კაცი კვების გარეშე – 15 ლარი, კვებით მომსახურება – 35-50 ლარი.

საკონტაქტო ინფორმაცია – ტელ: 0790282 493

სოფელი შუაფხო

მასპინძელი: ზაზა კოჩიაშვილი 0790 94 54 57

ადგილების რაოდენობა – 20

სასტუმროში მათ ჰყავთ გასაქირავებელი ცხენები და მანქანა („ჯიპი“).

ფასი: ერთი კაცი კვების გარეშე 15 ლარი, კვებით – 35-50 ლარი.

მასპინძელი: გოდერძი 0790 65 38 26

ადგილების რაოდენობა – 6

მათ ჰყავთ ცხენები და მაქანა („ჯიპი“), მოგემსახურებათ ინგლისურად და რუსულად მოლაპარაკე გიდი.

ფასი: კვების გარეშე ერთი კაცი – 15 ლარი, კვებით – 35-50 ლარი. სხვა კერძებთან ერთად მენიუში შედის მთის კალმასი.

სოფელი ჩარგალი

მასპინძელი – მელანო მჭედლური, **599 15 22 41**

საწოლი – 15

ოთახი – 4

ფასი: 35 ლარი 1 დღე/ ერთი კაცი (ორჯერადი კვებით)

მომსახურება: მობილური ტელეფონი, ცხელი წყლით მომსახურება. შესაძლებელია ცხენის დაქირავება დღეში 30 ლარად, მომსახურებათ გიდი.

მასპინძელი – თამრიკო ზურაბაშვილი **558 37 47 31**

საწოლი – 10

ოთახი – 3

ფასი: 35 ლარი კაცი/1 დღე (ორჯერადი კვებით).

მომსახურება: მობილური ტელეფონი, ცხელი წყლით მომსახურება. შესაძლებელია ცხენის დაქირავება დღეში 30 ლარად. მოგემსახურებათ გიდი.

მასპინძელი: ამირან ზურაბაშვილი **595 16 62 24**

საწოლი – 13

ოთახი – 4

ფასი: 35 ლარი კაცი/1 დღე (ორჯერადი კვებით).

მომსახურება: მობილური ტელეფონი, ცხელი წყალი.

შესაძლებელია ცხენის დაქირავება, 30 ლარი/1 დღე. მასპინძელი გთავაზობთ გიდით მომსახურებასაც.

ჩარგალში მდებარეობს ცნობილი პოეტის *კაჟა-ფშაველას* სახლ-მუზეუმი.

გიდები ფშავში

ირმა ბუთხაშვილი, ლაპარაკობს რუსულად, მობ: 577 676 733

მაიკო, ლაპარაკობს ინგლისურად, მობ: 599 30 53 53

მარი ჩუბინიძე, ლაპარაკობს იტალიურად, მობ: 555 577 655

გიდები ხევსურეთში

მამუკა არაბული, ლაპარაკობს რუსულად, მობ: 599 741 199

ივანე არაბული, ლაპარაკობს რუსულად, მობ: 598 19 65 69

ზვიად დაიაური, ლაპარაკობს რუსულად, მობ: 574 84 33 11
დავით ჯალაბაური, ლაპარაკობს რუსულად, მობ: 598 12 76 14
ალექო მიშელაშვილი, ლაპარაკობს ინგლისურად,
 მობ: 558 14 31 54
ანანო ჭინჭარაული, ლაპარაკობს ინგლისურად და რუსულად,
 მობ: 598 54 26 30

„ჯიპებს“ აქირავებენ:

ივანე არაბული (მიცუბიში პაჯერო), მობ: 598 19 65 69
მამუკა არაბული (მიცუბიში პაჯერო), მობ: 595 59 34 84
ბესიკ ჭინჭარაული (ისუძუ ტრუპერი), მობ: 599 24 38 14

ცხენების დაქირავება

ცხენის დაქირავებისას სასურველია მასპინძლების წინასწარ ინფორმირება. შესაძლოა, რომ ცხენები საძოვარზე იყოს გაშვებული, ამიტომ მფლობელებს სჭირდებათ დრო მათ მოსაყვანად. ტურისტების რაოდენობა ყოველ წელს იზრდება და ცხენები შესაძლოა დაკავებული იყოს. ერთი ცხენის დაქირავება ღირს 30 ლარი.

ცხენების დაქირავება სოფელ კორშაში (პირაქეთა ხევსურეთი)
საკონტაქტო პირი: მამუკა არაბული; +995 599 741 199
ელფოსტა:

korshaltd@gmail.com

საკონტაქტო პირი:

შოთა წიკლაური;
 +995 599 39-97-89

ცხენების დაქირავება

შატილში (პირიქეთა ხევსურეთი)

საკონტაქტო პირი:

დათო ჯალაბაური;
 +995 598 12-76-14

ელფოსტა:

datojalabauri@yahoo.com

საკონტაქტო პირი:

მინდია ჭინჭარაული;
 +995 599 26-91-05



ცხენით სეირნობა. ჯუთა

სასადილო სახლები და მაღაზიები

ფშავ-ხევსურეთში არ არის რესტორანი, მაგრამ არის ე.წ. სასადილო სახლები. ისინი განთავსებულია სოფელ შატილში, კორშაში, ხევსურეთში, მაღაროსკარსა და ფშავში (ჩარგალში). აქ ამზადებენ ტრადიციულ კერძებს.

სასადილო სახლი კორშაში

მასპინძელი: მამუკა

ტელ: +995 599 741 199

სასადილო სახლი შატილში

მასპინძელი: ირმა

ტელ: +995 595 503 622

ფშავში არის ორი მაღაზია, რომელიც მდებარეობს სოფელ მაღაროსკარში. ხევსურეთში სასურსათო მაღაზიები სამ ადგილასაა: სოფელ კორშასა და ბარისახოში (პირაქეთა ხევსურეთი) და შატილში (პირიქითა ხევსურეთი). მაღაზიებში იყიდება: სიგარეტი, ალკოჰოლური და გამაგრილებელი სასმელები, ჩაი, ყავა, შაქარი და პირველადი მოხმარების სხვა საქონელი. შატილის მაღაზიაში არ იყიდება პური. არ არის ბენზინგასამართი სადგური, მაგრამ ბენზინი შეძენა შესაძლებელია კორშასა და ბარისახოს მაღაზიებში.

ხევსურეთის ადგილობრივი ტურისტული ოპერატორები

www.shatilitour.ge

საკონტაქტო პირი: ირაკლი ჭინჭარაული; მობ: 551 943 446

ელფოსტა: schatilitour@gmail.com

tebuloturi; www.paata.ge

საკონტაქტო პირი: პაატა ვარდანაშვილი;

მობ: 599 91 46 55, 574 444 813

ქართული მთების აღმოჩენა

საკონტაქტო პირი: ზურა ჭინჭარაული; მობ: 599 30 53 53

ელფოსტა: daquexi@ymail.com

კულტურის პოპულარიზაციის ცენტრი

საკონტაქტო პირი: მაკრინე ჩაბაშვილი; მობ: 551 600 844

ტურები საქართველოში

საკონტაქტო პირი: ვაჟა ჭინჭარაული; მობ: 595 50 36 57

ელფოსტა: vchincharauli@yahoo.com

ნახეთ მთელი საქართველო; www.seeallgeorgia.ucoz.com
საკონტაქტო პირი: მინდია წიკლაური; მობ: 551 844 644
ელფოსტა: mindiatsiklauri@yahoo.com

გიდები ფშავში:

ირმა ბუთხაშვილი – ფლობს რუსულ ენას; მობ: 577 676 733

მაიკო – საუბრობს ინგლისურად; მობ: 599 30 53 53

მარი ჩუბინიძე – საუბრობს იტალიურად; მობ: 555 577 655

დასაბანაკებელი ადგილები ხევსურეთში

ხევსურეთში დასაბანაკებელი ადგილები დაფიქსირებული არ არის, მიუხედავად ამისა გაშლილ კარავს თითქმის ყველგან შენიშნავთ.

ხევსურული ტრადიციების თანახმად აკრძალულია ხმაური ან სანთლის ანთება სალოცავთან. ქალებს ეკრძალებათ წმინდა ადგილთან მიახლოება. ტურისტებმა უნდა გაითვალისწინონ არსებული შეზღუდვები და ადგილობრივებს დაეკითხონ კარვის ადგილის არჩევისას.

პირაქეთა ხევსურეთში კარგი დასაბანაკებელი ადგილებია სოფელ ხახმატთან ახლოს, დათვისჯვარისა და როშკას სიახლოვეს, პირიქითა ხევსურეთში – კისტან-ლებაისკარში, შატილში (არლუნის მდინაროს მიდამოებში), მუცოს, მარდოტის მახლობლად და სხვა. იმ ტურისტებისთვის, რომლებიც თუშეთში მიდიან კარვის გასაშლელად მოსახერხებელი ადგილია წყაროს მახლობლად, ჰიდოტანთან ახლოს, აწუნთის გადასასვლელის წინ.

სამთო აღჭურვილობის დაქირავება

კარვისა და საძილე ტომრის დაქირავება შესაძლებელია სოფელ გუდაურში (სამხრეთ ხევსურეთი).

1 დღის ქირა ერთი კაცისთვის: კარავი – 10 ლარი, საძილე ტომარა – 5 ლარი

საკონტაქტო პირი: ძილა ჭინჭარაული; მობ: 593 30 11 70; 079 040 1997

კარვისა და საძილე ტომრის დაქირავება შესაძლებელია შატილში (სამხრეთ ხევსურეთი).

კარავი – 10 ლარი, საძილე ტომარა – 5 ლარი (1 დღე/1 კაცი)

საკონტაქტო პირი: ბესო ჭინჭარაული; მობ: 599 24 38 14

პირები, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ისტორიული ძეგლებით, უძველესი კულტურითა და პიქტოგრამებით (აღმოჩენილია ფშავ-ხევსურეთში), შეუძლიათ დაუკავშირდნენ



ჯომარდობა მდინარე არაგვზე

მკვლევარ გიორგი გიგაურს. ის გეგმავს ტურებს თემატიკის შე-
საბამისად.

გიორგი გიგაური; მობ: 577 453 481;

ელფოსტა: maraisdze@yahoo.com

ნავით გასეირნებას მდინარე არაგვზე გთავაზობთ სათავგა-
დასავლო კლუბი „ჯომარდი“.

საკონტაქტო პირი: მამუკა ბურდული; მობ: 599 141 160;

www.jomardi.ge

ტურის სირთულის დონე: 2-3

მონაწილეთა მინიმალური ასაკი – 10

ტური იწყება სოფელ მაღაროსკარიდან (ფშავი) და მთავრდება
სოფელ თვალივში (ფშავი).

მარშრუტის სიგრძეა 15 კმ, ხანგრძლივობა 1 საათი და 30 წუთი.

მონაწილეებს ჩაუტარდებათ ინსტრუქტაჟი.

ფასი – 40 ლარი, საფასურში შედის აღჭურვილობა (მუზარადი,
ჟილეტი, წყლის საწინააღმდეგო ჟილეტი, ფეხსაცმელები, და
სხვა).

სემონი იწყება 1 მაისიდან და გრძელდება 15 ოქტომბრამდე.

ტრადიციული ნაკეთობები

ფშავ-ხევსურეთის რეგიონისთვის დამახასიათებელია ტრა-
დიციული ხელით ნაკეთობანი. ასეთი ნივთები შეგიძლიათ შე-
იძინოთ დუშეთში, მთავარ მოედანთან – ხვარამხეს მაღაზიში.
მსგავსი ხელნაკეთობები იყიდება კორშას მუზეუმშიც. შესაძლე-
ბელია ადგილობრივ მეწარმეებთან კონტაქტი. ქვემოთ მოცემუ-
ლია მათი სია:

თინათინ არაბული ქარგავს და ქსოვს ხევსურული ორნამენტების გამოყენებით. მობ: 598 97 23 20

მზისო თურმანული – ქარგავს და ქსოვს ხევსურული ორნამენტების გამოყენებით. ფშავი, მაღაროსკარი, მობ: 91 24, 20 50.

თიკო მეკოკიშვილი მუშაობს ხევსურული ორნამენტებზე. ხევსურეთი, ბარისახო, მობ: 598 52 18 66.

ელა გიგაური ქარგავს და ქსოვს ხევსურული ორნამენტების გამოყენებით. ხევსურეთი, ბარისახო, მობ: 599 43 84 36

მელანო მჭედლური ქსოვს ხალიჩებს ტრადიციული ორნამენტებით. ჩარგალი, მობ: 599 15 22 41.

თინა ნახეური კერავს ფშავ-ხევსურულ ტანსაცმელს ტრადიციული ორნამენტებით და მუშაობს თექაზე. არასამთავრობო ორგანიზაცია „ფშაური სახლი“. უკანაფშავი, მაღაროსკარი, მობ: 599 20 36 69.

ალაზა შავერდაშვილი ამზადებს სუვენირებს ტრადიციული ორნამენტებით. აგრეთვე ტრადიციული ელემენტებს იყენებს კერვაში, ქარგვასა და ქსოვაში. მაღაროსკარო, მობ: 599 25 80 13.



ქეთევან ველტაური ტრადიციული ორნამენტებით ამზადებს ტანსაცმელს, ჩანთებსა და აქსესუარებს (თექის გამოყენებით). დუშეთი, საწარმო „ხვარამზე“, მობ: 599 18 31 56; www.khvaramze.ge

სანათა გიგაური ქარგავს და ქსოვს ხევისურული ორნამენტების გამოყენებით. ჟინვალი, კორპუსი 12, ბინა 14, ზაფხულში სოფელი Bბლო, მობ: 598127163.

საზღვრის პოლიცია, ოფიციალური კონტაქტები

ხევისურეთში არის საზღვრო პოლიციის რამდენიმე პუნქტი, რომელიც მკაცრად აკონტროლებს საქართველოს სახელმწიფო საზღვარს, ამიტომ უცხოელებს თან უნდა ჰქონდეთ პასპორტი. პოლიცია ამოწმებს ტურისტულ მოგზაურობებს ხევისურეთიდან თუშეთამდე, მუხოსა და აწუნთის გადასასვლელთან ახლოს, ჯუთა-არხოტის გზაზე ხევისურეთთან და ყაზბეგის რეგიონის საზღვართან. საზაზღვრო პოლიცია ეხმარება ტურისტებს განსაკუთრებული სიტუაციების დროს.

განსაკუთრებული სიტუაციების დროს, თქვენ შეგიძლიათ დარეკოთ შემდეგ პირებთან:

პირაქეთა ხევისურეთი: **არმაზ წიკლაური**; ტელ: +995 591 223 575
პირიქითა ხევისურეთი: **ლევან ზვიადაური**; ტელ: +995 591 140 899
თქვენ შეგიძლიათ მიმართოთ ოფიციალური ხელისუფლების წამომადგენლებს:

დუშეთის მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების სამსახური, მობ: 595 22 03 41; 599 30 53 53; www.pshav-khevsureti.info
შატილი, თემის მობ: 558 441 441

მაღაროსკარის თემის წარმომადგენელი ტარიელ უძილაური, მობ: 595 229 657 ან **ნუგზარ გუშარაშვილი**; 790 23 88 54

საჯარო ტრანსპორტი ფშავ-ხევისურეთისკენ

ფშავი

ქვემოთ ჩამოთვლილი 3 ავტობუსი გადის დიდუბის სადგურიდან:

- მაღაროსკარისკენ მინიავტობუსები მიდის ყოველდღე: 11.00; 16.00 და 18.00 საათზე.
- ჩარგალისკენ ავტობუსი გადის 11.00 და 15.00 საათზე.
- შუაფხოვსკენ ავტობუსი გადის კვირაში სამჯერ: ორშაბათს, სამშაბათსა და შაბათს 15.15 საათზე.
- მაღაროსკარიდან თბილისისკენ ავტობუსი დადის ყოველდღე 06.00, 08.00 და 14.00 საათზე. ჩარგალიდან თბილისისკენ ყოველდღიური ავტობუსი – 08.30-სა და 14.00 საათზე.
- შუაფხოვთან თბილისისკენ ავტობუსი გადის კვირაში სამჯერ: ორშაბათს, სამშაბათსა და შაბათს 09.00 სთ-ზე.

ხეცსურეთი

- ბარისახოსკენ ავტობუსები გადის დიდუბის სადგურიდან კვირაში ოთხჯერ: ხუთშაბათს, ოთხშაბათს, პარასკევსა და კვირას 16.20 საათზე. მბარისახოდან თბილისისკენ – სამშაბათს, ოთხშაბათს, პარასკევსა და კვირას 09.00 სთ-ზე.
- ნავთლუდის (სამგორის მეტროსთან ახლოს) ავტოსადგურიდან მინიავტობუსი შატილის მიმართულებით გადის პარასკევსა და სამშაბათს 09.00 საათზე.
- შატილისკენ ავტობუსი გადის დიდუბიდან, ოთხშაბათსა და შაბათს 09.00 საათზე. შატილიდან თბილისის მიმართულებით – ოთხშაბათს, ხუთშაბათსა და კვირას 12.00 სთ-ზე.
- ზაფხულობით შატილისკენ დადიან საკუთარი ავტობუსებით, რომელთა გასვლის დრო ცვალებადია. შეგიძლიათ დარეკოთ მათთან გამგზავრების დროის დასადგენად (კომუნიკაცია შესაძლებელია რუსულად).
- დავით ჩუბინიძე, მობ: 551 400 851
- მაია ჭონქაძე, მობ: 555 495507
- დათვისჯვარი ეკუთვნის პირიქითა ხეცსურეთს, ის მიუვალაა ზამთარსა და გაზაფხულზე. იგივე ეხება შატილსაც. ამ მიმართულებებით გვიან ოქტომბრიდან გვიან მაისამდე საზოგადოებრივი ტრანსპორტი.

ტურისტული მარშრუტები ხევსურეთისა და დიდი კავკასიონის კალთებზე

ხევსურეთში, ისევე როგორც მეზობელ თუშეთსა და ხევში (ყაზბეგის რაიონი) ქვეითად მოგზაურობისათვის შესანიშნავი გზებია. თითქმის 3 000 მეტრ სიმაღლემდე გვხვდება ალპური მდელოები, სადაც ქვეითი და საცხენოსნო ტურიზმისათვის იდეალური პირობებია. ამ მდელოებს მრავალი ბილიკი კვეთს, მათ მწყემსები და ადგილობრივი მაცხოვრებლები იყენებენ. ზოგიერთი ტრასა კიდევ უფრო მაღლა ადის, მათ კლდოვან, ციცაბო ფერდობებზე ავყავართ, ამის მაგალითია ხევსურეთის საზღვრისკენ მიმავალი ტრასა აწუნთის უღელტეხილის გავლით (3 219 მეტრი ზღვის დონიდან). უნდა აღინიშნოს, რომ ამ დადგენილ ტრასებზე მოძრაობისას, მიუხედავად დიდი სიმაღლისა, ალპინისტური აღჭურვილობა საჭირო არ არის.

პრობლემა შეიძლება შეგვექმნას მთის ბოხოქარი ნაკადების გადალახვისას. მოსახლეობისგან დაცლილ ან ძალზე მაღალ ადგილებში მთის მდინარეებზე ხიდები არ არის ან მხოლოდ სეზონურადაა. ხშირ შემთხვევაში ესაა ხის მორებისაგან შეკრული ბოგიერები, რომლებიც ზამთარში თოვლისაგან ნადგურდება, ხოლო თუ გაზაფხულამდე მიაღწიეს მაშინ მათ ადიდებული წყლის ნაკადები უღებენ ბოლოს. სასურველია თან გვქონდეს სანდლები, რათა ჩვენი ძირითადი ფეხსაცმელი არ დავასველოთ. მოზრდილი ნაკადების გადალახვისას თავის დასაზღვევად ბაგირი გამოგვადგება.

გრძელ ტრასებზე გასვლა, რომლებიც ზღვის დონიდან 2 500 მეტრსა და მეტ სიმაღლეზეა განლაგებული, კომპასისა და კარგი



აწუნთის უღელტეხილი

რუკის გარეშე არ უნდა გავრისკოთ. ერთი შეხედვით, ასეთ სიმაღლეზე განლაგებულ ვრცელ ალპურ მდელოებზე მოგზაურობა შეიძლება ადვილი მოგვეჩვენოს, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ასევე ადვილად შეიძლება ავცდეთ მონიშნულ მარშ-რუტს და გზა აგვებნეს. ზღვის დონიდან 3 000 მეტრ სიმაღლეზე ამინდი ძალზე არასტაბილურია და ამიტომ ასეთ სიმაღლეებზე, აუცილებლად, თან უნდა გვქონდეს შესაფერისი სამოსი. 20 კილომეტრზე მეტი სიგრძის მთის ტრასებზე უნდა წავიღოთ კარავი და სხვა ეკიპირება, რაც სავსე პირობებში ღამის გათევისათვის არის საჭირო.

ლაშქრობისას კარგად უნდა გვახსოვდეს, რომ ახლომახლო არც სამაშველო სამსახურებია და ტრასების უმეტესობაზე, ხშირ შემთხვევაში, არც მობილური კავშირია. უკაცრიელ რაიონებში იშვიათად თუ შეხვდებით ადამიანს, ისენი, ძირითადად, მწყემსები ან პატარა, იზოლირებული, რამდენიმეკომლიანი სოფლების მაცხოვრებლები არიან. ამდენად, თუკი ჩვენს შესაძლებლობებს ჯეროვნად არ შევაფასებთ ან ტრასას ავცდებით და გზა აგვებნევა, სწრაფად დახმარების დიდი იმედი არ უნდა გვქონდეს.

რეკომენდებულია, სპეციალური კრემების გამოყენება ულტრაიისფერი სხივებისაგან თავის დასაცავად, განსაკუთრებით ისეთ შემთხვევებში, როდესაც დიდ სიმაღლეებზე კვირაზე მეტი ხნის განმავლობაში ვიმყოფებით. მზის გულზე ხანგრძლივად ყოფნისას შესაძლებელია კანის დამწვრობაც მივიღოთ.

თუშეთის რეგიონის მოსახლეობა დღემდე ძირითადად მეცხოველეობითაა დაკავებული, მთებში არაერთხელ შეხვდებით მწყემსების სადგომებს, რომელთა მახლობლად უზარმაზარი ფარები ბალახობენ. ცხვრის ფარებს დარაჯობენ უზარმაზარი კავკასიური მეცხვარე ძაღლები – ქართული ნაგაზები, რომლებიც უცხო ადამიანების მიმართ მაინცდამაინც კეთილგანწყობილები არ არიან. ეს ძაღლები არც ისე აგრესიულები არიან, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ისინი ფარისა და საკუთარი ტერიტორიის დაცვის ინტინქტით ხელმძღვანელობენ. ნებისმიერ შემთხვევაში, აუცილებელია ელემენტარული სიფრთხილის დაცვა, სასურველია ხელთ გვქონდეს ჯოხი ან ელექტროსაფრთხოი (რეპელენტი).

საკადრისი პატივით უნდა მოვეპყროთ წმინდა ადგილებს – მცირე ზომის სამლოცველოებს, რომლებსაც ჯვარს ან ხატს უწოდებენ. აკრძალულია სამლოცველოებისა და მათთვის შეწირული ნივთების (მაგალითად, ცხოველთა რქების) ხელით შეხება, ქაღები კი საერთოდ არ უნდა მიუახლოვდნენ წმინდა ადგილებს. თუ გვინდა, რომ ადგილობრივ მოსახლეობასთან კარგი ურთიერთობა შევინარჩუნოთ, პატივი უნდა ვცეთ მათ წეს-ჩვეულებებს. თუ დარწმუნებულიები არ ვართ რასთან გვაქვს

საქმე, მაშინ არ უნდა მოგვერიდოს ადგილობრივებისთვის შეკითხვა – არის თუ არა ესა თუ ის ადგილი „ტაბუიზირებული“ და უნდა მოვერიდოთ თუ არა მას.

ფშავ-ხევსურეთის ტრასების აღწერა

გირჩევთ, წაიკითხოთ ეს აღწერა ამ წიგნზე თანდართული რუკის თანხლებით ან აღწერილი ტრასები პარალელურად გადამოწმეთ პორტალზე, www.mygeorgia.ge/geotrails.

1. ლურჯი ტრასა: ჯუთა – როშკა – მთავარი გზა – ღული – ჭიე – დათვისჯვრის უღელტეხილი (41 კმ.)

სოფელ ჯუთადან (2 150 მეტრი ზღვის დონიდან) უნდა გავიდეთ ფერდობზე, რომელზეც დასახლება და მივაღწიოთ კემპინგ „ზეთამდე“. კემპინგიდან სვლას ხეობის გავლით განვაგრძობთ, რომელიც სოფლიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობს. გზას ჭაუხის კლდოვან მასივამდე მივყავართ, სადაც უმაღლესი მწვერვალი ასათიანია (3 842 მეტრი ზღვის დონიდან). ზედ მასივის წინ ტრასა მარცხნივ უხვევს, გზას განვაგრძობთ და ჭაუხის ქედის თხემს ჩრდილოეთიდან ვუვლით. როდესაც მასივს ჩრდილოეთის მხრიდან მოვექცევით და დაახლოებით 2 900 მეტრის სიმაღლეზე აღმოვჩნდებით, საჭიროა მარცხნივ გადავუხვიოთ და ავიდეთ ქედზე, რომელიც ხეობას ჩრდილოეთიდან აკრავს. დაახლოებით 300-მეტრიანი აღმართის ავლის შემდეგ



ჭაუხის უღელტეხილი



3 200 მეტრის სიმაღლეზე აღმოვჩნდებით. მივემართებით ქედის გასწვრივ სამხრეთ-აღმოსავლეთით და მივაღწევთ ჭაუხის უღელტეხილს (3 338 მ. ზღვის დონიდან).

ქედიდან იშლება პანორამა, რომელიც მოიცავს ჭაუხის მასივის სამხრეთ ნაწილს, დასავლეთით ყაზბეგის მწვერვალს, ჩრდილოეთით კავკასიონის მთავარ ქედს, სადაც საქართველო-ინგუშეთის საზღვარზე 4 000 მეტრამდე სიმაღლის მწვერვალებია, აგრეთვე მოჩანს არხოტისთავისა და საძელეს უღელტეხილები. ჩრდილო-აღმოსავლეთით მოჩანს არხოტის, კალოთა-ნისა და ტანიეს ქედები თვით დათვისჯვრის უღელტეხილამდე. ქვემოთ, სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით დაინახავთ აბუდელაურის მცირე მყინვარულ ტბებს (2 650 მ. ზღვის დონიდან).

ტრასა ქედიდან ქვემოთ ეშვება და შემდეგ მდინარე აბუდელაურის ხეობას მიუყვება აღმოსავლეთისაკენ. ტრასის გასწვრივ მიმოხეულია „მოხეტიალე“ მყინვარული კაჭრები, რომელთა ჯგუფებიც სოფელ როშკამდეც კი (2 000 მ. ზღვის დონიდან) გვხვდება. სოფელ როშკაში ლურჯი მარშრუტი ყვითელ მარშრუტს კვეთს. როშკის ცენტრიდან ლურჯი მარშრუტი მდინარე აბუდელაურზე გადებული პატარა ხიდიტ სოფლის ჩრდილოეთ ნაწილში გადადის და შემდეგ აღმოსავლეთის მიმართულებით მიემართება. რამდენიმე კილომეტრის გავლის შემდეგ ტრასა ხევსურეთის არაგვს აღწევს. მარშრუტი მდინარეს პატარა, დაკიდული ხიდიტ გადაკვეთს, შემდგომ მთავარ გზას უერთდება და დაახლოებით 100 მეტრის მანძილზე ჩრდილოეთისაკენ მიემართება. შემდეგ მთავარ გზას ეყრება გრუნტიანი გზა, რომელიც სოფელ ლულს აღწევს (1 660 მ. ზღვის დონიდან). აქედან

ტრასა დასავლეთით მიემართება, გადაკვეთს მცირე წარაფს და მიდის სოფელ ჭიემდე (1 900 მ. ზღვის დონიდან). ამ ადგილას ლურჯი ტრასა შავ ტრასას ხვდება. შემდეგ სოფელ ჭიედან სამხრეთ-აღმოსავლეთით, დაახლოებით 3 კილომეტრის დაშორებით ლურჯი ტრასა ადის ქედზე, თითქმის 2 300 მეტრის სიმაღლეზე. აქედან, ქედის გასწვრივ ტრასა აღმოსავლეთისაკენ მიემართება და ნელ-ნელა იღებს სიმაღლეს. იგი გაივლის მწვერვალ ლიქოკს (2 868 მ. ზღვის დონიდან) და ჭიედან 11 კილომეტრის გავლის შემდეგ 3 000 მეტრ სიმაღლეზე ადის. აქ იგი ხვდება ყვითელ ტრასას, რომელიც სოფელ შუაფხოდან მოემართება. ლურჯი ტრასა ამ ადგილას ჩრდილოეთისაკენ უხვევს, რათა კიდევ 3 კილომეტრის გავლის შემდეგ მიაღწიოს დათვისჯვრის უღელტეხილს (2 676 მ. ზღვის დონიდან). აქედან ტრასა შატილისაკენ მიმავალ მთავარ გზას მიჰყვება.

2. წითელი ტრასა: ჯუთა – არხოტისთავის უღელტეხილი – ახიელი – ამლა (28 კმ.)

სოფელ ჯუთადან წითელი ტრასა გრუნტის გზას მიჰყვება, რომელიც, თავის მხრივ, მდინარის ფართო ხეობით მიდის ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ.


ჯუთადან დაახლოებით 4 კილომეტრის დაშორებით სასაზღვრო პოლიციის საგუშაგოა, სადაც აუცილებელია პასპორტების წარდგენა, რათა გზის გაგრძელების ნებართვა მივიღოთ. საგუშაგოს იქით გზა პატარა ბილიკად იქცევა და უხვევს სამხრეთ-აღმოსავლეთით. ოდნავ მოშორებით მდინარის გადალახვა მოგვიწევს, რათა მისი ჩრდილოეთ ნაპირიდან განვაგრძოთ



აღმასვლა ხეობით. ზღვის დონიდან დაახლოებით 2 400 მეტრის სიმაღლეზე ტრასა მთის ორი მდინარის შეერთების ადგილს მიაღწევა. ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით უღელტეხილისაკენ მიემართება პატარა მდინარე ვეშაწყალი. ტრასა ამ მდინარეს მიჰყვება და 2 700 მეტრის სიმაღლეზე ყვითელ ტრასას ხვდება (რომელიც სოფელ როშკაში მიდის), შემდეგ კი ზემოთ მიდის ხეობისკენ. 2 800 მეტრის სიმაღლეზე ტრასა ხეობის ფსკერიდან ოდნავ მარცხნივ გადაუხვევს და სულ უფრო და უფრო ზემოთ იწევს მანამ, სანამ არხოტისთავის უღელტეხილს არ მიაღწევა (3 287 მეტრი ზღვის დონიდან).

უღელტეხილიდან ტრასა თავიდან აღმოსავლეთით უხვევს და მთის ნაკადს მიუყვება, შემდეგ კი დაახლოებით 5 კილომეტრის დაშორებით, 2 400-2 500 მეტრის სიმაღლეზე ის უერთდება ბილიკებს, რომლებიც როშკიდან პირდაპირ არხოტისაკენ მიდის. იქ ტრასა მდინარესთან ერთად ჩრდილოეთისკენ უხვევს და ხეობით კიდევ 7 კილომეტრს გაივლის სოფელ ახიელამდე. სოფელ ახიელში რამდენიმე მთის ნაკადი იყრის ერთად თავს და ისინი მდინარე ასას ქმნიან, რომლის კალაპოტის პარალელურადაც ტრასა კიდევ 4 კილომეტრს გაივლის ასასა და კალთანის ხეობების შეერთების ადგილამდე.

3. ყვითელი ტრასა როშკის მდამოებში: ხიდი მდინარე არაგვზე – როშკა – საძელეს უღელტეხილი (17 კმ.)



საძელეს უღელტეხილი. უკან ტებულოსმთის მწვერვალი

ყვითელი ტრასის მონაკვეთი ხევსურეთის არაგვზე გადებული ხიდიდან სოფელ როშკამდე 7 კილომეტრია. ყვითელი ტრასის ეს მონაკვეთი ლურჯი ტრასის ანალოგიურ მონაკვეთზე გრძელია, მაგრამ გარკვეულ მანძილზე იგი გრუნტის გზას მიჰყვება და ამ გზით როშკამდე „ჯიპითაც“ კი შეიძლება მისვლა. დასახლებიდან ტრასა ჩრდილო-დასავლეთით მიემართება. როშკის ხევის გაყოფებით ტრასა ჩრდილო-დასავლეთისაკენ მიემართება ტაფობამდე, რომელიც საძელეს უღელტეხილის

ძირშია (3 056 მ. ზღვის დონიდან). დაახლოებით 2 500 მეტრის სიმაღლეზე იწყება შედარებით ციცაბო აღმართი უღელტეხილამდე. ჯუთის გზაზე დასავლეთ მხარეს ყვითელი ტრასა წითელს ხვდება. როშკა-ჯუთის მონაკვეთის გავლა ყვითელი და წითელი ტრასების საშუალებით გაცილებით უფრო ადვილია, ვიდრე ლურჯი – ჭაუხის გავლით. განსხვავება პირველი ორი ტრასის უმაღლეს წერტილსა და მესამე ტრასის უმაღლეს წერტილს შორის, თითქმის, 300 მეტრია.

4. მწვანე ტრასა: ორწყალი – ბარისახო – კორშა – ხიდი არაგვზე – გუდანი – ბაცალიგო – ატაბე (26 კმ.)

ეს ტრასა გადის გრუნტის გზაზე, რომელზეც შესაძლებელია „ჯიპით“ გადაადგილება კავკასიონის მთავარ ქედის ძირამდე. ორწყალის ხიდიდან სოფელ გუდანამდე ეს ტრასა ხევსურეთის მთავარ გზას მიუყვება. გუდანიდან ტრასა ჯერ დასავლეთით, შემდეგ კი ჩრდილოეთით მიემართება. დაახლოებით ერთი კილომეტრის მანძილზე მწვანე და შავი ტრასები პარალელურად მიდის, შემდეგ მწვანე ტრასა გამოეყოფა შავს და სოფელ ატაბეს აღწევს. აქედან მოუნიშნავი ბილიკებით შეგვიძლია ავიდეთ ქედზე და ქედის გადაღმა მდებარე კალოთანის ან ტანიეს ხეობებში მოვხვდეთ.

5. შავი ტრასა: ხიდი არაგვზე – აყნელი – სანაღელეს უღელტეხილი – გუდანი – ჭიე (8 კმ.).

გუდანის მიდამოებში არსებული შავი ტრასა ერთდლიანი მსუბუქი და ადვილად დასადგევი გზაა. ლურჯი ტრასის მცირე ფრაგმენტთან ერთად (ჭიედან არაგვის ხიდამდე, დაახლ. 4 კმ.) ეს ტრასები ქმნის 12 კილომეტრის სიგრძის წრეს. სიმაღლეთა სხვაობა ამ ტრასაზე 600 მეტრს არ აღემატება.

შავი ტრასა იწყება არაგვის ხიდიდან, ეშვება ქვემოთ პატარა ხიდამდე, შემდეგ ზემოთ მიემართება ფერდობით, რომელიც საშუალო სიხშირის ტყითაა დაფარული და რამდენიმე ასეული მეტრის გავლის შემდეგ უერთდება გუდანი-ატაბეს გზას. აქედან ეს ტრასა რამდენიმე ხნის განმავლობაში მწვანე ტრასის პარალელურად მიდის, სოფელ აყნელის გავლის შემდეგ კი სანაღელეს უღელტეხილის მიმართულებით აღმოსავლეთისაკენ უხვევს (2 138 მ. ზღვის დონიდან). უღელტეხილიდან შავი ტრასა სამხრეთით, გუდანისაკენ უხვევს. გუდანიდან გამოსვლის შემდეგ კვეთს მთავარ გზას და მდინარე გუდანისჭალას, მოგვიანებით კი დაახლოებით 1,5 კილომეტრის გავლის შემდეგ სოფელ ჭიეს აღწევს, სადაც უერთდება ლურჯ ტრასას და ამით მთავრდება კიდეც.

6. წითელი ტრასა წარმოადგენს წრეს, რომელიც მოიცავს შემდეგ პუნქტებს: მდინარე არაგვი – სოფლები: ჩირდილი – ბუჩუკურთა – უკანახო – მდინარე არაგვი (15 კმ.)

ტრასა იწყება მდინარე არაგვზე გადებული ხიდიდან სოფელ კორშას მიდამოებში. ტრასა მიდის დასავლეთის მიმართულებით მდინარე ბუჩუკურთას გასწვრივ, ჩაუვლის სასაზღვრო ჯარების საგუშაგოს და რამდენიმე ასეული მეტრის გავლის შემდეგ მიადგება ქვის შენობას, რომელზეც აღნიშნულია, რომ გზა ორად იყოფა. მარჯვენა ბილიკი გადის ფერდობზე, რომელიც მდინარე ბუჩუკურთას ჩრდილო ნაპირს გადმოჰყურებს, ამ ბილიკს მიუყვება წითელი ტრასაც. იგი ზემოთ აჰყვება ხეობას და დაახლოებით 4 კილომეტრის გავლის შემდეგ ადის მცირე ქედზე, რომლის სიმაღლეც 2 000 მეტრია ზღვის დონიდან. აქედან ტრასა სოფელ უკანახოსკენ მიემართება (1 750 მეტრი ზღვის დონიდან) თუმცა არ შედის სოფელში და გვერდზე გაუვლის მას ბილიკებით, რომლებიც დასახლების გვერდითაა. მას შემდეგ, რაც ტრასა დასახლებას გარს შემოუვლის, იგი იქვე სამხრეთ-დასავლეთით მდებარე მდელოდან დაბლა ეშვება და უერთდება გრუნტის გზას. შემდეგ ტრასა აღწევს სოფლებს, ბუჩუკურთასა და ჩირდილს და თავდება ბუჩუკურთას ხეობაში, ანუ იქ, საიდანაც იგი დაიწყო. მთელი გზის გავლა ერთ დღეშია შესაძლებელი. სიმაღლეთა განსხვავება მთლიანობაში 700 მეტრს არ აღემატება. დროის დეფიციტის შემთხვევაში ტრასა შეიძლება შევამოკლოთ სოფელ უკანახოს მიდამოებში – არ შემოვუაროთ დასახლებას და პირდაპირ ჩავიდეთ ქვემოთ მთავარი გზისაკენ.

7. ლურჯი ტრასაც წრიულია, იგი მოიცავს შემდეგ პუნქტებს: ბარისახო – მწვერვალი კუდნისლა – ბარისახო (10 კმ.)

ტრასა იწყება მდინარე არაგვზე გადებული ხიდიდან ბარისახოს მახლობლად, უხვევს მარცხნივ და გრუნტის გზით ადის ქედზე მწვერვალ კუდნისლას მახლობლად. გზად გვხვდება ცალკეული კომლები, გავლა მოგვიწევს მწყემსების მიერ აღმართულ ხის ჭიშკარში, საბოლოოდ ავდივართ ქედზე, რომლის სიმაღლეც მოცემულ ადგილზე 1 950 მეტრია ზღვის დონიდან. ამ ადგილას ღირს, რომ გზიდან გადაუხვიოთ და იქვე ახლოს მდებარე მწვერვალ კუდნისლაზე (2 090 მეტრი ზღვის დონიდან) ავიდეთ. მიუხედავად იმისა, რომ მწვერვალი არც თუ ისე მაღალია, მისი წვერიდან ფშავისა და სამხრეთ ხევსურეთის არაჩვეულებრივი ხედი იშლება. ტრასა რეკომენდებულია იმ პირებისათვის, რომლებსაც დროის დეფიციტისა თუ სხვა რაიმე შეზღუდვების

გამო არ შეუძლიათ სხვა უფრო რთული ტრასების დალაშქვრა. ქედამდე მისვლა შესაძლებელია „ჯიპითაც“. ასეთ შემთხვევაში ფეხით სასიარულო მხოლოდ ორასიოდე მეტრია რჩება. 1 900 მეტრის სიმაღლიდან ქვემოთ ეშვება ბარისახოში დასაბრუნებელი ალტერნატიული ტრასა, რომელიც ბურქნარებსა და ტყის განაკაფ ზოლში გადის.

8. მწვანე ტრასა ფშავში: ორწყალი – თხილიანა – შუაფხო – მუქო – უკანაფშავი (19 კმ.)

ტრასა გრუნტის გზას მიჰყვება მდინარე ფშავის არაგვის გასწვრივ. ეს გზა საშუალებას გვაძლევს, რომ „ჯიპის“ ტიპის ავტომანქანებით უკანაფშავამდე კი მივალწოთ. მწვანე ტრასას გამოეყოფა ბილიკები, რომლებიც კავკასიის მთავარ ქედამდე მიდის – ესაა ყვითელი ტრასები, ისინი სოფელ შუაფხოდან და სოფელ მუქოდან იწყება, და მოუნიშნავი ტრასა, რომელიც სოფელ უკანაფშავიდან იწყება.



მწვანე გზა მუკოსთან ახლოს. ანდაკის უღელტეხილის ხედი

9. შავი ტრასა: თხილიანა – ცაბაურთა (10 კმ.)

ტრასა გაივლის სოფელ თხილიანაში ფშავის არაგვზე გადებული ხიდს და შემდეგ ადის ციცაბო ფერდობზე დაახლოებით 1 950 მეტრის სიმაღლეზე ზღვის დონიდან. აქედან ტრასა უხვევს ალმოსავლეთისაკენ და დამრეცი კალთით მიემართება ზემოთ, პუნქტ ირემთკალომდე, რომლის სიმაღლე 2 222 მეტრია. ამ ადგილიდან ტრასა აღარ ადის ქედის უფრო მაღალ ნაწილში,

მაგრამ იგი ინარჩუნებს სიმაღლეს და გადადის მთიანი მასივის სამხრეთ ფერდობზე. რამდენიმე კილომეტრის შემდეგ სოფელ ცაბაურთაში (2 000 მეტრი ზღვის დონიდან) შავი ტრასა ხვდება ყვითელ ტრასას. შავი ტრასა ყვითელი ტრასის (ცაბაურთა – შუაფხო) და მწვანე ტრასის (შუაფხო – თხილიანა) ფრაგმენტებთან ერთად ქმნის თხუთმეტკილომეტრიან წრეს დაახლოებით 1 000-მეტრიანი სიმაღლეთა სხვაობით. შეიძლება ითქვას, რომ ეს არის ხშირალმართიანი ერთდღიანი ტრასა.

10. ყვითელი ტრასა: შუაფხო – ცაბაურთა – წყაროსმთა – შეერთება ლურჯ ტრასასთან აპრაოს ქედზე (15 კმ.)

სოფელ შუაფხოდან ტრასა ადის ციცაბო ქედზე და 3 კილომეტრის გავლის შემდეგ სოფელ ცაბაურთას აღწევს. ამ მონაკვეთზე 700 მეტრი აღმართის ავლა გვიწევს იმ 1 300-დან, რომელიც უნდა გავიაროთ 2 000 მეტრ სიმაღლეზე ზღვის დონიდან. უფრო ზემოთ ტრასა სიმაღლეს შედარებით ნელა იმატებს და 6 კილომეტრის გავლის შემდეგ აღწევს მწვერვალ წყაროსმთას (3 036 მეტრი ზღვის დონიდან). იქიდან ტრასა უკვე თითქმის ჰორიზონტალურად მიჰყვება ქედს და მომდევნო კილომეტრების გავლა სწორ ზედაპირზე გვიწევს. ტრასის დასასრულამდე მანამ, სანამ ყვითელი ტრასა ლურჯ ტრასას არ შეუერთდება 2 900 მეტრ სიმაღლეზე ქვემოთ არ ჩამოვდივართ.

11. ყვითელი ტრასა: მუქო – მათურა – ბოროლას ქედის მიდამოები (ლურჯი ტრასა) (14 კმ.)

ეს ტრასა ფშავის სოფლებიდან კავკასიონის მთავარ ქედზე გადასასვლელს წარმოადგენს. ყვითელი ტრასა სოფელ მუქოს მიდამოებში იწყება და მდინარე მათურხევის ხეობამდე მიდის. ტრასა პატარა ხის ბოგირებით მრავალჯერ გადადის მდინარის ერთი ნაპირიდან მეორეზე. ეს ბოგირები, როგორც წესი, მყიდვა და გაზაფხულის წყალდიდობების დროს ხშირად წყალს მიაქვს, ამიტომაც მათი ადგილმდებარეობა წლიდან წლამდე იცვლება ხოლმე. ხუთი კილომეტრის გავლის შემდეგ ტრასა აღწევს პატარა სოფელ მათურას. იქიდან ტრასა ადის ქედზე მდინარის აღმოსავლეთ ნაპირით და მიდის ადგილობრივ ხატამდე (1 700 მეტრი ზღვის დონიდან). შემდეგ ტრასა ლოკალურ მთიან მასივს გარს უვლის და თანდათან იმატებს სიმაღლეს. 2 100 მეტრის სიმაღლის მიღწევის შემდეგ ტრასა აღმასვლას წყვეტს და უკვე ჰორიზონტალურად გრძელდება ქედის გასწვრივ, აღმოსავლეთის მიმართულებით, მდინარე ბორილოსხევის პარალელურად. რამდენიმე კილომეტრის შემდეგ ტრასა დიდი კავკასიონის ქედის ძირს აღწევს. აქ იგი მდინარე ბორილოსხევის კვეთს და



ბორილოსხევის ხედი ყვითელი ტრასიდან

იწყება ციცაბო, 700-მეტრიანი აღმართი ქედისაკენ. ამ მანძილის გაგლის შემდეგ დაახლოებით 2 900 მეტრის სიმაღლეზე ზღვის დონიდან ყვითელი ტრასა ლურჯ ტრასას ხვდება.

12. ლურჯი ტრასა: დათვისჯვრის უღელტეხილი – ჭანჭახი – ბოროლა – ანდაქის უღელტეხილი (19 კმ.)

ტრასა დათვისჯვრის უღელტეხილიდან (2 767 მეტრი ზღვის დონიდან) იწყება და მთავარი გზით აღმოსავლეთისაკენ მიემართება. შემდეგ გზა დაბლა ეშვება, მდინარე არღუნის ხეობაში, 2 500 მეტრ სიმაღლემდე ზღვის დონიდან. აქედან თვითონ გზა ჩრდილოეთისაკენ, სოფელ შატილისაკენ მიემართება, ხოლო ლურჯი ტრასა კი ნაკადულს გადაკვეთს და პირდაპირ აღმოსავლეთისაკენ მიდის, სადაც იგი პატარა ბილიკით წუბროვანის (სხვანაირად ჭანჭახი, 2 855 მ. ზღვის დონიდან) უღელტეხილის კალთებს შეუყვება. უღელტეხილიდან ტრასა ისევ დაბლა ეშვება 2 500 მეტრის სიმაღლემდე, მდინარე ჭანჭახისწყლამდე, სადაც იგი ყვითელ ტრასას ხვდება, რომელიც სოფელ ხახაბოში მიდის. შემდეგ ლურჯი ტრასა სამხრეთისაკენ უხვევს და კავკასიონის მთავარ ქედზე ადის. 3 000 მეტრის სიმაღლის მიღწევის შემდეგ ტრასა ქედს მიჰყვება სამხრეთ-აღმოსავლეთით, გადაივლის მწვერვალ ჭანჭახისმთას (3 024 მეტრი ზღვის დონიდან), მწვერვალ ბოროლას (2 954 მეტრი ზღვის დონიდან) და გადაკვეთს ყვითელ ტრასას, რომელიც ფშავის სოფელ მუქოსაკენ მიემართება. შემდეგ ლურჯი ტრასა სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით მიდის საორბისგორის ქედამდე, რომლიდანაც სამხრეთის მიმართულებით სვლის შემთხვევაში მოუნიშნავი ტრასით უკანაფშავში შეიძლება მოვხვდეთ. საბოლოოდ, ქედზე



ხედი ანდაქის უღელტეხილიდან

ასვლის ადგილიდან დაახლოებით 13 კილომეტრის გავლის შემდეგ ტრასა აღწევს ანდაქის უღელტეხილს (2 887 მეტრი ზღვის დონიდან). აქედან თუ ჩრდილოეთის მიმართულებით დავეშვებით შეიძლება ჩავიდეთ ანდაქის ხეობაში ან სოფლებში, მუცოსა და შატილში, ხოლო თუ აღმოსავლეთის მიმართულებით წავალთ, ბორბალოს მთის მდამოების გავლით თუშეთში აღმოვჩნდებით.

13. შწვანე ტრასა: ანდაქის უღელტეხილი – სოფელი არჭილო – სოფელი ანდაქი – სოფელი არდოტი – მუცოს მდამოები (25 კმ.)

ანდაქის უღელტეხილის მდამოებში შწვანე ტრასა ქედიდან ჩრდილოეთისაკენ ეშვება 2 700 მეტრის სიმაღლეზე. შემდეგ იგი აღმოსავლეთისაკენ უხვევს და 2 400 მეტრის სიმაღლეზე მდინარე ბორილოსხევს აღწევს. ტრასა კვეთს მდინარეს და ისევ ჩრდილოეთისაკენ უხვევს, მცირე ქედის მიმართულებით. აქ იგი დაახლოებით 2 700 მეტრის სიმაღლის მიღწევის შემდეგ კვლავ ჩრდილოეთის მიმართულებით ეშვება და დაახლოებით 2 100 მეტრის სიმაღლეზე ზღვის დონიდან ორი მდინარის შესართავს აღწევს. შემდეგ ტრასა 6 კილომეტრის მანძილზე ხეობის ვაკეს მიუყვება მდინარის დინების პარალელურად და აღწევს არჭილოს ნასოფლარს (1 800 მეტრი ზღვის დონიდან). არჭილოს შემდეგ ტრასა გაივლის სოფელ ანდაქს, გადაკვეთს შავ ტრასას (რომელიც აღმოსავლეთით, ხიდოტანის ქედისაკენ მიემართე-

ბა), აგრეთვე გადაკვეთს ყვითელ ტრასას (ჭანჭახისწყლის ხეობით სოფლების – ხახაბოსა და ჭანჭახისაკენ მიემართება) და საბოლოოდ აღწევს ისტორიულ სოფელ არდოტს. არდოტიდან ტრასა გრუნტის გზაზე გადის და დაახლოებით 4 კილომეტრის გავლის შემდეგ ხიდთან, სასაზღვრო პოლიციის საგუშაგოს აღწევს, რომელიც სოფელ მუცოსთან ახლოს მდებარეობს. აქ მწვანე ტრასა წითელს ხვდება და სრულდება. მუცოდან ანდაქის უღელტეხილამდე ტრასა მრავალჯერ გადაკვეთს მდინარე ანდაქსა და მის მცირე შენაკადებს, აქედან გამომდინარე გაზაფხულობით წყლის დონის მომატებისას ტრასაზე მოძრაობა შეიძლება გართულდეს.

14. ყვითელი ტრასა: სოფელ არდოტის მიდამოები – სოფელი ხახაბო ჭანჭახის მთის მიდამოები (12 კმ.)

ამ ტრასას მდინარე ანდაქის ხეობიდან მდინარე ჭანჭახისწყლის ხეობაში შევყავართ. ჭანჭახისწყლის გასწვრივ გადაადგილების შემდეგად მივდივართ ჭანჭახის მთის ძირამდე, სადაც ეს ტრასა ლურჯ ტრასას ხვდება. ტრასა იწყება სოფელ არდოტის სამხრეთ მხარეს, მისგან დაახლოებით ერთი კილომეტრის დაშორებით. აქედან ტრასა მდინარე ჭანჭახისწყლის გასწვრივ დასავლეთისკენ მიემართება, იგი მრავალჯერ გადადის მდინარის ერთი ნაპირიდან მეორეზე. 6 კილომეტრის გავლის შემდეგ ტრასა სოფელ ხახაბოს აღწევს (2 050 მ. ზღვის დონიდან), სადაც მდებარეობს შუა საუკუნეებში აგებული კოშკების კომპლექსი. სოფლიდან გასვლის მერე ტრასა მიჰყვება მდინარის ხეობას სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით და მომდევნო 6 კილომეტრის გავლის შემდეგ, დაახლოებით 2 500 მეტრის სიმაღლეზე ხვდება ლურჯ ტრასას, სადაც ის სრულდება.

15. წითელი ტრასა: აწუნთის უღელტეხილი – ხიდოთანის ქედი – ხონისჭალა – მუცო – შატილი – კისტანი (40 კმ.)

ამ პოპულარულ ტრასას თუშეთიდან მუცოსა და შატილში მივყავართ, სოფლებში, რომლებიც ბევრის აზრით, ყველაზე საინტერესოა ხევსურეთში გაბნეული მრავალრი ისტორიული ციხე-სოფლებიდან.

აწუნთის უღელტეხილიდან (3 519 მ. ზღვის დონიდან) ტრასა ციცაბო სერპანტინად ეშვება ფიქლის კლდეების ფერდობებზე და ჩადის დაახლოებით 3 000 მეტრის სიმაღლემდე, პატარა მდინარე ხაროხისწყლამდე. აქედან ტრასა დასავლეთისკენ მიემართება და ხიდოთანის ქედის კალთებს აღწევს. რამდენიმე კილომეტრის მანძილზე ტრასა ქედის გაყოლებებზე მიდის პატარა პლატომდე, რომელიც დაახლოებით 2 500 მეტრის სიმაღლეზეა

ზღვის დონიდან. აქ წითელი ტრასა შავ ტრასას ხვდება. აქედან იწყება ხიდოთანის ქედიდან ჩასასვლელი დაღმართი, შემდეგ კი შეგვიძლია წითელი ტრასით გავემართოთ ჩრდილოეთისაკენ ან შავი ტრასით ჩრდილო-დასავლეთისაკენ. წითელი ტრასა ჩრდილოეთისკენ ჩადის ფერდობზე და შემდეგ ბილიკს მიუყვება, რომელიც ტყეზე გადის. აქედან იწყება ციცაბო დაღმართი, რომელსაც 2 400 მეტრის სიმაღლიდან 1 900 მეტრის სიმაღლეზე ჩავყვართ, რის შედეგადაც მივადგებით მდინარე ხონისწყლის ნაპირთან გამავალ გრუნტის გზას. შემდეგ ტრასა მიჰყვება მდინარეს, გაივლის სოფელ ხონისჭალას და აღწევს ადგილს, სადაც ხონისწყალი მდინარე ანდაკს უერთდება. აქ მდებარეობს პოლიციის საგუშაგო, სადაც აუცილებელია პასპორტების წარდგენა.

განვავრძობთ სვლას და ჩრდილოეთის მიმართულებით დაახლოებით ერთი კილომეტრის გავლის შემდეგ მივადგებით სოფელ მუცოს, რომელიც თავისი არქიტექტურით გამოირჩევა, აქ არის ქვის კოშკების კომპლექსი, ის წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს მნახველზე. მუცო ხევსურული არქიტექტურის ერთ-ერთი გამორჩეული ნიმუშია, ეს სოფელი მეოცე საუკუნის დასაწყისამდე მჭიდროდ იყო დასახლებული. დღეს ციხე-სოფელი მიტოვებულია, თუმცა მის მახლობლად კიდევ ცხოვრობს რამდენიმე კომლი, ძირითადად მარტოხელა მოხუცები. ნამდვილად ღირს, რომ გადავხვიოთ ტრასას, ავიაროთ რამდენიმე ათეული მეტრი და ერთი საათი დავუთმოთ ციხე-სიმაგრის, ახლომდებარე სასაფლაოებისა და სალოცავების მონახულებას.

მუცოდან 10 კილომეტრის დაშორებით, ჩეჩნეთის საზღვრთან ახლოს, მდინარე ანდაქი მდინარე არღუნს უერთდება. მდინარე-



ხიდოთანის ქედი და მდინარე ხონისწყლის ხეობა

ების შეერთების ადგილას არის ნასოფლარ ანატორის სამარხები. სოფელ ანატორის მოსახლეობა მე-19 საუკუნეში ეპიდემიის ემსხვერპლა და მას მერე ეს ტერიტორია გაუკაცრიელდა. ამ ადგილას ტრასა სამხრეთ-დასავლეთით უხვევს და არლუნის ხეობაში შედის. ტრასის ამ მონაკვეთზე, მდინარე არლუნის ნაპირებზე, ვხვდებით ამ რეგიონისთვის დამახასიათებელ მორუხომოცისფრო კლდოვან ფორმაციებს. ორი კილომეტრის გავლის შემდეგ შევდივართ შატილში – ჩრდილო ხევსურეთის ყველაზე დიდ და ყველაზე უკეთ შემონახულ სოფელში.

შატილის კომპლექსი რამდენიმე ათეული ქვის კოშკისაგან შედგება და მდინარე არლუნის ციცაბო ნაპირზე დგას, ის შუა საუკუნეებში აიგო. შატილი ხევსურეთის ნამდვილი მარგალიტია, ესაა ყველაზე ცნობილი ხევსურული ძეგლი და ამ რეგიონისთვის დამახასიათებელი არქიტექტურის საუკეთესო ნიმუში. კოშკები ერთ მთლიანობას ქმნის, ისინი ერთმანეთთან ტერასების, გასასვლელებისა და ხის კიბეების რთული სისტემით არიან დაკავშირებულნი, ასე რომ ერთი შენობიდან მეორეში გადასვლა გარეთ გამოსვლის გარეშეა შესაძლებელი. ამ ქვის ლაბირინთამდე ერთადერთ ბილიკს მივყავართ, რომლის გავლის შემდეგაც სოფლის შუაგულში აღმოვჩნდებით. დღეს ეს კოშკები მხოლოდ და მხოლოდ ტურისტების დასაბინავებლად გამოიყენება, დღევანდელი შატილები თანამედროვე სახლებში ცხოვრობენ დასახლებაში, რომელიც ამ ისტორიული ციხე-სოფლის მახლობლადაა. შატილი, როგორც ყველაზე უკეთ შემონახული სოფელი, პირიქითა ხევსურეთში მოსახლეობის შედარებით დიდი რაოდენობით გამოირჩევა (დაახლოებით 100 მოსახლე ზაფხულის სეზონზე). მინი-ელექტროსადგური დასახლებას ელექტრო-



კისტანი

ენერგიით უზრუნველყოფს, არის მობილური კავშირიც (კომპანია „მაგთი“), შესაძლებელია საკვებისა და პირველადი საჭიროების საგნების შეძენაც. კვირაში მინიმუმ ორჯერ თბილისსა და შატილს შორის მიკროავტობუსი („მარშუტკა“) დადის, შეიძლება „ჯიპის“ დაქირავებაც, რომელიც დათვისჯვრის უღელტეხილის გავლით სხვა დასახლებულ პუნქტებამდე მიგვიყვანს.

წითელი ტრასა შატილიდან სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით მიდის მთავარი გზის პარალელურად და დაახლოებით 15 კილომეტრის გავლის შემდეგ კისტანის ნასოფლარამდე მივყავართ. გზიდან დასავლეთით მოჩანს ორი კოშკი და მოზრდილი არქიტექტურული კომპლექსის ნანგრევები, აქ ოდესღაც საკმაოდ მჭიდროდ დასახლებული სოფელი უნდა ყოფილიყო.

16. შავი ტრასა: ხიდოთანის ქედი – მდინარე ანდაქის ხეობა (4 კმ.)

ეს ტრასა საშუალებას გვაძლევს ხიდოთანის ქედიდან დასავლეთის მიმართულებით პირდაპირ ანდაქის ხეობაში ჩავიდეთ. ის შედარებით უფრო რთულია, ვიდრე მთავარი ბილიკი, რომელიც წითელი ტრასის პარალელურად გადის, მაგრამ მუცოსა და შატილის მიმართულებით სვლისას ამ ტრასით გავივლით სოფელ არდოტს, რომელშიც აგრეთვე მრავლადაა მნიშვნელოვანი ისტორიული კოშკები. გარდა ზემოთქმულისა შავი ტრასა კარგი არჩევანია მათთვის, ვისაც აწუნთის მიდამოებიდან მოკლე გზით ფშავის რეგიონში ან შუა ხევსურეთში უნდა მოხვედრა.

გარდა 2012 წელს მონიშნული 300 კილომეტრისა, ხევსურეთის მთები კიდევ მრავალ საინტერესო მარშრუტს გვთავაზობს, მათ შორისაა:

დაგვეგმილი წითელი ტრასა ასას ხეობიდან კალოთანის უღელტეხილამდე (2 978 მ. ზღვის დონიდან) და შემდეგ აღმოსავლეთის მიმართულებით კავკასიონის მთავარი ქედის გავლით კისტანამდე (26 კმ.) ეს ტრასა აერთებს უკვე მონიშნული წითელი ტრასის ორ ფრაგმენტს და საშუალებას იძლევა, რომ მთელი ხევსურეთი უწყვეტად გადავკვეთოთ აღმოსავლეთიდან დასავლეთით. სხვა დაგვეგმილი ტრასაა აწ უკვე არსებული მწვანე ტრასის გაგრძელება, შუა ხევსურეთში მდებარე სოფელ ატაბედან ჩრდილოეთის მიმართულებით, რომელიც გადაკვეთს კავკასიონის მთავარ ქედს, ეშვება ტანიეს ხეობაში ამავე სახელწოდების მქონე ტბასთან, ხოლო შემდეგ კი ისართელის უღელტეხილის (3 486 მ. ზღვის დონიდან) გავლით აღწევს შატილამდე. აგრეთვე საკმაოდ პოპულარული ტრასაა როშკა-არხოტის მონაკვეთი – იწყება სოფელ როშკადან, მიდის ჩრდილოეთის მიმართულებით და არხოტისღელის უღელტეხილის (2 968 მ. ზღვის დონიდან) გავლით ჩადის არხოტის ხეობამდე.